# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№138 (12817) 15 ივნისი ორშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბექა გოცირიძე ბეწვზე გადარჩა



დიახ, **ბექა გოცირიძე** მართლაც რომ ბეწვზე გადარჩა. ის ცხვარიჭამიიდან თბილისისკენ, ძმის დაბადების დღიდან ავტომანქანით ბრუნდებოდა. საქართველოს ნაკრებისა და დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ თავდამსხმელმა, კოკისპირულ წვიმაში, ხიდზე მოძრაობისას, გზა ვერ დაინახა და დიდი სიმაღლიდან გადავარდა. მალე, ბედად, იმავე ხიდზე მისმა ახლობლებმა გაიარეს და შეჩერდნენ განგრეულ ჯებირთან, საიდანაც ბექას მანქანის ნაწილი ჩანდა - ფეხბურთელი გადავარდნილი ავტომობილიდან ამოიყვანეს და თბილისისკენ გამოსწიეს...

ახლა გოცირიძე საავადმყოფოშია, მაგრამ მოძრაობა ჯერჯერობით აკრძალული აქვს. ექიმებმა მას წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს. ნიჭიერ ფეხბურთელს დროულ გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ!

**მერაბ მამულაშვილი**

# საინტერესო ალტერნატივა



გიორგი ჩიხრაძე

თემურ მახარაძე

## მახარაძე თუ ჩიხრაძე?

**ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი ახალგაზრდული ნაკრების ახალ მწვრთნელზე 20 ივნისს იმსჯელებს**

>> გვერდი 2



## ივაშვილმა ისევ კარლსრუეს არჩია

**გოგუას ტრავმა და ჟანოს სოლო**

>> გვერდი 4 ლეგიონი

## ევროპის ჩემპიონის ჩემპიონური სტარტი





ფერნანდო ტორესმა პეთ-თრიკი იკმარა

>> გვერდი 5

## გაზა გაისად... მოკვდება



>> გვერდი 7

## მაიას თასი ბელას

**საერთაშორისო ტურნირი ბრწყინვალედ ჩატარდა**



ბელა ხოტენაშვილი ვაჟა დანელიას ფოტო

>> გვერდი 12 ჭადრაკი

საინტერესო ინიციატივა

# გვჭირდება თუ არა დუბლების ჩემპიონატი?

## გეგუჩაძის იდეას მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც

**გია გეგუჩაძე** მნიშვნელოვანი ინიციატივით გამოდის - „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი თვლის, რომ უმაღლესი ლიგის კლუბების დუბლშემადგენლობებმა უნდა ითამაშონ დუბლების ჩემპიონატში და არა პირველ ლიგაში.

„პირველ ლიგასთან დაკავშირებით, „ზესტაფონს" გარკვეული შეხედულება აქვს. ის უნდა გადაკეთდეს და ამ ტურნირში უნდა ითამაშონ მხოლოდ იმ გუნდებმა, რომლებიც უშუალოდ იბრძვიან უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად და არა ფარმკლუბებმა. ჩემი აზრით, მისაღებია დუბლების პირველობის ჩატარება და ამას ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი როლი მიენიჭება. დუბლების პირველობა ბევრ ქვეყანაში ტარდება. ჩემი აზრით, პირველი ლიგაში სპორტული პრინციპები მთლიანად დარღვეულია. ფარმკლუბს არ აქვს უმაღლეს ლიგაში გადასვლის უფლება, ამავე დროს მისი გავარდნა შეიძლება. მე კი ვიცი, რომ ფარმკლუბს სულ სხვა დანიშნულება აქვს. მისი მიზანია ფეხბურთელების აღზრდა. ვფიქრობ, ეს საკითხი პროფესიული ფეხბურთის ლიგისა და ფეხბურთის ფედერაციის წინაშე დასაყენებელია და აუცილებლად უნდა გადაწყდეს, რათა ქართული ფეხბურთის წინსვლა და განვითარება ამგვარად დაიწყოს. მე არ ვიცი, ლიგასა და ფედერაციაში დათანხმდებიან თუ არა ამ ნოვაციას, მაგრამ „ზესტაფონში" უკვე ვამზადებთ ამ პროექტს და თან არგუმენტირებულად დავასაბუთებთ, თუ რატომაა საჭირო დუბლების პირველობის გამართვა. ეს წინადადება განხილვის ღირსი ნამდვილად არის", - ამბობს გეგუჩაძე.

იდეა მართლაც საინტერესო და დასაფიქრებელია, რადგან წელს პირველი ლიგის აღმოსავლეთ ზონაში უმაღლეს ლიგაში გადასვლის მსურველი არ აღმოჩნდა! ეს არის უნიკალური ფაქტი არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში: ფინანსური პრობლემების გამო, „ამერმა" უარი განაცხადა, საჩხერეს „ჩიხურამ" ლიცენზია ვერ მოიპოვა, „ვიტ ჯორჯია 2-ს", „დინამო 2-ს", „გაგრა 2-სა" და „სიონი 2-ს" უმაღლესში გადასვლის უფლება არ გააჩნდათ, გორის „დილას", „თბილისს", „ჰერეთს", „კახეთსა" და „ნორჩ დინამოელს" არც ლიცენზია ჰქონდათ, არც ფული და არც გადასვლის უფლება.

რამდენიმე კლუბის წარმომადგენელს, გია გეგუჩაძის ინიციატივაზე კომენტარი ვთხოვეთ:



**ბესიკ შეროზია,** ზუგდიდის „მგლების" მთავარი მწვრთნელი:

- ჩემი აზრით, უფრო გამართლებული იქნება, ერთიანი პირველი ლიგა დავაკომპლექტოთ. მისი „დასავლეთ'' და „აღმოსავლეთ" ზონებად დაყოფა არასწორად მიმაჩნია. მიზეზი მათ შორის უდიდესი განსხვავებაა. „დასავლეთი" „აღმოსავლეთზე" ბევრად ძლიერი და კონკურენტუნარიანი გახლავთ. თითქმის არაა ისეთი დონის დაპირისპირებები, როგორიც იყო „ბაიას", 'სამტრედიას", „მერანსა" და „კოლხეთს" შორის. დასავლეთში ზოგჯერ აუტსაიდერებიც თავს გამოიდებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ისეთი ტრადიციული კლუბები თამაშობდნენ, როგორებიც არიან ქუთაისის „ტორპედო", „ბათუმი", ლანჩხუთის „გურია". აქ კიდევ იყო ბრძოლა, აღმოსავლეთში კი, ფაქტობრივად, მეზობლების ჩემპიონატი ტარდებოდა. ასე ჩვენი ფეხბურთი ვერ განვითარდება, პირიქით, უკან-უკან მიდის. ლიგების გაერთიანება საერთო დონეს უდავოდ გაზრდის და მეტ მაყურებელსაც მიიზიდავს. თავისთავად საინტერესოა ლიხს იქითა და აქეთა გუნდების თამაში.

**- რაც შეხება დუბლების ჩემპიონატის ცალკე გამართვას?**

- სიმართლე გითხრათ, ამაზე არც მიფიქრია, მაგრამ თავად იდეა ძალიან მომწონს. თუკი მისი გამართვა გადაწყდა, მაშინ სარეზერვო შემადგენლობებმა მთავარი გუნდების მატჩის წინა დღეს უნდა ითამაშონ. მართალია, ეს ყოველივე ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ საჭიროა და ყველა გუნდმა, ვისაც უმაღლესში თამაშის პრეტენზია გააჩნია, იდეის განხორციელებას ხელი უნდა შევუწყოთ.



**მალხაზ კაკაურიძე,** „ვიტ ჯორჯიას" გენერალური მენეჯერი:

- ძალიან საინტერესო იდეაა. მინდა გითხრათ, რომ ეს წინადადება პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომაზე რამდენჯერმე განვიხილეთ. იდეა ასეთი გახლდათ - ცალ-ცალკე უნდა ჩატარდეს პირველი ლიგის და დუბლების ტურნირი.

**- და ჩანაფიქრი დაიწუნეთ? რატომ არ დაამტკიცეთ?**

- სამწუახაროდ, პროექტის განხორციელებისთვის საჭირო თანხა ყველა კლუბს არ გააჩნია. ხომ ხედავთ, ძლიერი პირველი ლიგაც ვერ იკრიბება. დუბლების ტურნირის გამართვა დღემდე ამიტომ ვერ ხერხდება და ლიგის გამგეობაზე იდეა უარვყავით, თორემ, მშვენიერი იდეაა.



**ზურაბ ჯაფარიძე,** რუსთავის „ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტი:

- ძალიან საინტერესო ჩანაფიქრია, მაგრამ ქართულ ფეხბურთში ახლა საკმაოდ მძიმე ვითარებაა. გადახედეთ კლუბების ფინანსურ მდგომარეობას, რამდენი მათგანია დალხენილი? ასეთი თითქმის არ გვყავს. სიმართლე გითხრათ, დუბლების ჩემპიონატზე ჩამოყალიბებული მოსაზრება ამის გამო არ გაგვაჩნია - ასეთ ვითარებაში დამატებითი ხარჯის აკიდება ძნელია.

**- დუბლების ტურნირს რა განსაკუთრებული ხარჯი დასჭირდება?**

- ყოველ შემთხვევაში, კლუბების ბიუჯეტები ისედაც ყველგან მცირდება და ამ დროს, კიდევ ერთი კლუბის ხარჯის დამატება არავის გაახარებს. თორემ, იდეა რომ მშვენიერია და მისაღებია, მაგაზე არც ვდავობ. თუკი ბიუჯეტში თანხა გვექნება, ფარმკლუბს რატომაც არ დავაფინასებთ?

**- წელს ფარმკლუბი ამიტომ არ აიყვანეთ?**

- რა თქმა უნდა. ვიმეორებ, მომავალი თაობების გაზრდაზე ჩვენ არავიზე ნაკლებად არ ვფიქრობთ, მაგრამ ყველაფერს ფული სჭირდება.



**გია გეგუჩაძე,** „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი:

- მესმის, რომ ფინანსურ პრობლემებს ბევრი უფრთხის, მაგრამ განსაკუთრებული თანხა საჭირო არც არის. უმაღლესი ლიგის ყველა კლუბს ხომ ფარმ-კლუბი ისედაც ჰყავს. ახალგაზრდულ გუნდში თავი უნდა მოიყარონ ნიჭიერმა ახალგაზრდებმა, რომლებიც უმაღლესში გადასვლისთვის არ იბრძოლებენ. მისი დანიშნულება იქნება მხოლოდ და მხოლოდ მთავარი გუნდისთვის შემცვლელების გაზრდა. როდესაც შედეგზე ფიქრობ, იქ ნიჭიერი ბიჭების გაზრდა შეუძლებელია.

**- დასრულებულ სეზონში ზოგიერთ გუნდს ფარმკლუბი არ ჰყავდა, მაგალითად, „ოლიმპს", „მესხეთს", „ბორჯომს".**

- გასაგებია, მაგრამ მოთხოვნის შემთხვევაში, ფარმკლუბს ყველა მონაწილე აიყვანს. „ოლიმპი" საფეხბურთო სკოლასთან თანამშრომლობს და წესით, დუბლების ჩემპიონატი უნდა აწყობდეს.

ნებისმიერ შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ დირექტივა საჭიროა. სხვაგვარად, ფარმკლუბები და პირველი ლიგის სხვა მონაწილეები არათანაბარ მდგომარეობაში არიან.

**- დირექტივა ვინ უნდა გასცეს?**

- პროფესიული ფეხბურთის ლიგამ და ფედერაციამ. მათ აუცილებლად მივმართავთ, რომ ეს წინადადება განიხილონ. იდეა კლუბების ხელმძღვანელებს მოსწონთ და ყველამ იმსჯელოს, გამართლებულია თუ არა მისი გამართვა. თორემ, დააკვირდით რამხელა აბსურდთან გვაქვს საქმე - თეორიულად იყო შანსი, რომ „აღმოსავლეთ" ზონაში ხუთეულის მიღმა დარჩენილი კლუბი უმაღლესში გადასულიყო. ეს ხომ ჩვენი ფეხბურთის სირცხვილია.



**პაატა ბურჯალიანი,** პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი:

- სხვათა შორის, ამის თაობაზე მცირე ხნის წინ პროფლიგის გამგეობის სხდომაზე ვილაპარაკეთ. ვფიქრობ, დადგა დრო, რომ ეს მშვენიერი ჩანაფიქრი განვახორციელოთ. დუბლების ჩემპიონატის ცალკე გამართვა იდეალური ვარიანტი იქნებოდა ყველა თვალსაზრისით. უმაღლესი ლიგის ათივე კლუბს სარეზერვო შემადგენლობაც უნდა ჰყავდეს, პლუს პირველი ლიგა ჩატარდება. ეს უამრავ ფეხბურთელს დასაქმებისა და თავის გამოვლენის საშუალებას მისცემს. მასობრიობა კი ხარისხში გადავა.

**- იდეა მშვენიერია, მაგრამ ბევრი გუნდი ფინანსურად მეორე ტურნირს რომ ვერ გასწვდება?!**

- მერწმუნეთ, ასე მძიმედაც არაა ვითარება. უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა მონაწილეს ჰყავს ფარმკლუბი, გამოდის რეგიონალურ და ჭაბუკთა ლიგებში. დუბლებისა და პირველი ლიგის პირველობის ხარჯები ერთმანეთისგან ბევრით განსხვავებული არ იქნება. ჩვენ ეს დავითვალეთ და საკმაოდ დამაიმედებელი მდგომარეობა აღმოჩნდა. ფინანსებზე მეტად, მოედნების პრობლემაა მოსაგვარებელი.

**- საკმარისი რაოდენობდა არ არის?**

- რა თქმა უნდა. ეს საკითხი უმაღლესი ლიგის კლუბებს მეტ-ნაკლებად მოგვარებული აქვთ, პირველლიგელები და დუბლშემადგენლობები კი ხარისხიან მოედნებზე ვერ თამაშობენ. ეს პრობლემა უფრო მძაფრად რეგიონებში იგრძნობა. თუმცა, მიმაჩნია, რომ საკითხის დაყენების შემთხვევაში, ამასაც მოევლება.

**- კარგი, დუბლების ჩემპიონატის გამართვას როდისთვის ფიქრობთ?**

- არაა გამორიცხული, ტურნირი უკვე 2009/10 წლების სეზონისთვისაც გავმართოთ.

**- ასე მალე?!**

- დიახ, ასეა. მანამდე კონსულტაციას ყველა გუნდთან გავივლით და დეტალებს შევათანხმებთ. ყოველ შემთხვევაში, იდეა აუცილებლად განსახორციელებელია.

**- სხვათა შორის, გია გეგუჩაძე მომხრეა, რომ პროფლიგამ დირექტივა გასცეს და ამით მსჯელობაც დამთავრდება. თორემ, ზედმეტი ხარჯის გაღება არავის სურს.**

- ვეთანხმები ბატონ გიას. ის პროგრესულად მოაზროვნე კაცია და ჩვენი აზრები ძალიან ხშირად ემთხვევა. დუბლების ტურნირზე კლუბების წარმომადგენლებთან ერთად ვიმსჯელეთ და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ წინააღმდეგ არავინ წავა. უმაღლესი ლიგაში ეზოს გუნდები არ არიან, საჭიროა, მათ ჰყავდეთ ფარმკლუბიც და რეგიონალლიგის კლუბიც. ზედმეტი 30 ათასისთვის წუწუნი კი არ ღირს. ამაზე ლაპარაკიც სასაცილოა.

დუბლების ჩემპიონატის გამართვას ჯერ კიდევ პირველი ეროვნული ჩემპიონატის დროს ფიქრობდნენ, გაიმართა კიდეც, მაგრამ შემდეგ ფინანსურმა გაჭირვებამ ტურნირს წერტილი დაუსვა. შემდეგ იდეა მერაბ ჟორდანიას დროს გაცოცხლდა, ჩანაფიქრს ვიცე-პრეზიდენტი **რომან შოთაძე** ლობირებდა, ამგრამ კვლავ უშედეგოდ. მაშინაც პრობლემად უფულობა დასახელდა.

გია გეგუჩაძე მართალია, დუბლების ცალკე ტურნირი აუცილებელია და პროფესიული ფეხბურთის ლიგამ და ფეხბურთის ფედერაციამ დირექტივით ყველა კლუბი უნდა აიძულონ, დუბლშემადგენლობები აიყვანონ. სხვაგვარად ეს საკითხი ათი წლის შემდეგაც მოუგვარებელი დარჩება.

ახალგაზრდული ნაკრები

# ცხადაძის ორი ალტერნატივა: მახარაძე თუ ჩიხრაძე?



თემურ მახარაძე

20 ივნისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი კიდევ ერთხელ შეიკრიბება. განხილვის საგანი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი იქნება. **კახა ცხადაძის** წასვლის შემდეგ 21-წლამდელები უმწვრთნელოდ დარჩნენ. ჰოდა, აღმასკომს სწორედ ახალი თავკაცის დანიშვნა მოუწევს.

გადამოწმებული და დაზუსტებული ინფორმაციით, ფეხბურთის ფედერაციაში ორ რეალურ კანდიდატურას განიხილავენ - თბილისის „ამერის" მთავარ მწვრთნელ **გიორგი ჩიხრაძესა** და ამჟამად უმუშევარ **თემურ მახარაძეს**.

ჩიხრაძის კანდიდატურას ფედერაცია ჯერ კიდევ მაშინ განიხილავდა, როცა **პეტარ შეგრტი** გადააყენეს. თუმცა „ამერის" თავკაცს საამისოდ ნაკლები შანსი აქვს. და იცით, რატომ? ცხადაძეს ბაქოს „ინტერში" ასისტენტად **ზაურ სვანაძის** წაყვანა სურდა, მაგრამ ეს ვარიანტი გამოირიცხა. ახლა, ცხადაძემ თამაშემწის პოსტი ჩიხრაძეს შესთავაზა.

რაც შეეხება თემურ მახარაძეს, ქართულ ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი საკლუბო მწვრთნელი ფეხბურთის ფედერაციამ პირველად „შეამჩნია". ახლახან მას 60 წელი შეუსრულდა. ეს არის საუკეთესო ასაკი, როცა სპეციალისტმა საკუთარი ცოდნა და გამოცდილება რომელიმე ასაკობრივი ნაკრებისთვის უნდა გამოიყენოს. „ზესტაფონიდან" წასვლის შემდეგ, მახარაძემ ბევრ წინადადებაზე შეიკავა თავი, რაკილა საშუალო დონის გუნდებში მუშაობა არ სურს. ეს მის ამბიციაზე მეტყველებს. მახარაძე სადაც მიდიოდა, ყველგან კარგ გუნდს აკეთებდა.

ეტყობა, ფედერაციაში სწორედ ეს ფაქტორი გაითვალისწინეს. მახარაძე ნიჭიერი ფეხბურთელების მოძიება-დაწინაურებითაა ცნობილი. ის არასდროს ერიდებოდა უცნობი მოთამაშეების წინა პლანზე წამოწევას. და როგორც წესი, ეს მოთამაშეები უმეტესწილად იმედებს ამართლებდნენ...

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



გიორგი ჩიხრაძე

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ვიტ ჯორჯია

# ყირიმამდე სიმურგი

საქართველოს ჩემპიონი თბილისის „ვიტ ჯორჯია“ სეზონის განახლებისთვის ვარჯიშს დილმის მასივში, საფეხბურთო სკოლა „ავაზას“ ხელოვნურსაფრიან მოედანზე შეუდგა. მზადების მეორე ეტაპზე ვიტელები 24 ივნისს უკრაინაში, ყირიმულ კრიმტეპლიცაში გაემგზავრებიან და იქ ორი კვირით დარჩებიან. დაგეგმილია ოთხი საკონტროლო მატჩის გამართვაც.

რაც შეეხება სატრანსფერო საქმიანობას, უკვე დაწყებულია მოლაპარაკება კლუბის ხელმძღვანელობასა და **ალექსანდრე კვახაძეს** შორის ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე. საქართველოს ნაკრების მცველს „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა, თავისუფალი აგენტია და თუ უცხოეთიდან ხელსაყრელი და რეალური წინადადება არ გამოჩუნდა, ისევ „ვიტ ჯორჯიასთვის“ გაირჯება. ეს საკითხი 2-3 დღეში გადაწყდება. მალევე გაცხადდება, ჩაირიცხება თუ არა ჩემპიონთა შორის **გიორგი კახელიშვილი.**

ერთიც - 20 ივნისს ვიტჯორჯიელები აზერბაიჯანულ „სიმურგს“ თბილისში ამხანაგურად გაეჯიბრებიან. მატჩი „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება.

დავით თავართქილაძე

ზესტაფონი

# ხვალ, პოლონიასთან

## იმერლები სლოვენიის ახალგაზრდულის ბაზაზე ემზადებიან

როგორც გაუწყეთ, „ზესტაფონი“ ევროპის ლიგისა და საერთოდ, ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. **გია გეგუჩაძის** გუნდი, 22 ფეხბურთელის შემადგენლობით, შეკრებაზე სლოვენიაში იმყოფება. კლუბის პრესსამსახურის ხელმძღვანელ **სერგო ფუტკარაძის** ცნობით, იმერლები პატარა ისტორიულ ქალაქ პტუის „გრანდ ოტელ პრიმისში“ არიან დაბინავებულები, საწვრთნელ პროცესს კი კიდიჩევის კომპლექსში ატარებენ. სხვათა შორის, ეს ის ბაზაა, სადაც სლოვენიის 21-წლამდელთა ნაკრები ემზადება ხოლმე. ზესტაფონელებს ჩინებული პირობები აქვთ. გეგუჩაძე გუნდს დღეში ორჯერ ავარჯიშებს. სასტუმროს საპრესკონფერენციო დარბაზში გია გეგუჩაძე შეგირდებს თეორიულ მეცადინეობასაც უტარებს.

„ზესტაფონის“ საწვრთნელ გეგმებში მცირედი კორექტივები შევიდა. იმერლებს პირველი ამხანაგური მატჩი გუშინ უნდა გაემართათ, ახლა კი გაირკვა, რომ სასტარტო ტესტმატჩს ხვალ, 16 ივნისს, ქალაქ ბელტინცში, ვარშავის „პოლონიასთან“ ჩაატარებენ. ეს შეხვედრა თბილისის დროით 19:30 საათზე დაიწყება. ცნობისთვის, პოლონეთის ჩემპიონატის გასული სეზონი „პოლონიამ“, „ზესტაფონის“ დარად, მეოთხე ადგილზე დაასრულა.

დავით ცაგაძე

ლოკომოტივი

# მახარაძე და დიაკვნიშვილი დაბრუნდნენ

## კახელიშვილი: ლოკომოტივიდან ლოკომოტივში?

თბილისის „ლოკომოტივი“ ჯერ არ შეკრებილა, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, 20 ივნისიდან დაიწყებს მზადებას დამდეგი სეზონისთვის. „ლოკომოტივში“ ჯერ არ იციან, რა პროგრამით მოემზადება გუნდი XXI ეროვნული ჩემპიონატისთვის.

„ლოკომოტივში“ აღარ ითამაშებს საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე **გიორგი ლომაია - კახა ცხადაძეს** ის ბაქოს „ინტერში“ რომ მიჰყავს, „ლელოს“ წინა ნომერშიც გაუწყეთ. აზერბაიჯანში, „ბაქოში“ აპირებდნენ მოწყობას „ლოკომოტივის“ ნახევარმცველები - **კახა მახარაძემ** და **გიორგი დიაკვნიშვილმა** ამ გუნდში უკვე ივარჯიშეს, თუმცა უკვე დაბრუნდნენ აზერბაიჯანიდან და ალბათ ისევ „ლოკომოტივში“ ითამაშებენ.

„ლოკომოტივის“ დატოვებას ეშურება **გიორგი კახელიშვილი** - 22 წლის შემტევი ნახევარმცველი ვინძლო უზბეკეთში წავიდეს ტაშკენტის „ლოკომოტივში“ ან საქართველოს ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ მიაშუროს.

დავით თავართქილაძე

სამსაჯო ცხოვრება

ინტერვიუ ლაშა სილაგავასთან

# მსაჯი თითქოს დაბალი ლობესავითაა, არადა, ყველამ კარგად ვიცით, რას სჩადიან გუნდები...



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**პროფლიგის მიერ ჩატარებული გამოკითხვით (დია 2009) სეზონის საუკეთესო მსაჯად ლაშა სილაგავა დაასახელეს. ის მართლაც ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი არბიტრია და ასეთი აღიარების შემდეგ ინტერვიუც ჩამოვართვით. ვფიქრობთ, სილაგავა არერთ მნიშვნელოვან საკითხზე მეტად საყურადღებო კომენტარს აკეთებს...**

- ასეთი აღიარება ჩემთვის მართლაც ძალიან ბევრს ნიშნავს, უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ შრომა ასე დამიფასდა. თანაც ამ გამოკითხვაში საფეხბურთო სამყაროს მთელი სპექტრი მონაწილეობდა - სპეციალისტებიცა და ჟურნალისტებიც. მოკლედ, სეზონის საუკეთესო მსაჯად აღიარება ჩემთვის ძალიან დიდი ჯილდოა.

**- განვლილ სეზონში რომელი იყო თქვენთვის ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი მატჩი? გასაგებია, ყველა თამაშზე კონცენტრირებული გადიხართ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყველა თამაში ერთმანეთს არ ჰგავს.**

- იოლი არც ერთი მატჩის მსაჯობა არ არის, თუმცა, რა თქმა უნდა, საქართველოს თასის ფინალი უნდა გამოვარჩიო. ეს შეხვედრა თავისებური კულმინაცია იყო თუნდაც იმიტომ, რომ განვლილ სეზონში ყველაზე მეტი მაყურებელი სწორედ თასის ფინალზე მოვიდა. დაძაბული შეხვედრა გამოდგა, კარგი გოლები გავიდა, დამატებითი დროც დაინიშნა... როცა მატჩი ასეთი სიუჟეტით მიმდინარეობს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნიუანსიც კი შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგეს, მაგალითად, აუტის დანიშვნაც კი.

**- ალბათ არ არსებობს მსაჯი, სკანდალური თამაში რომ არ ემსაჯოს. როცა ლაშა სილაგავაზეა საუბარი, ყველას 2006 წელს „ოლიმპი“-“დინამოს“ შეხვედრა ახსენდება, როცა მატჩის მიწურულს თქვენ „ოლიმპის“ სასარგებლოდ 11-მეტრიანი არ დანიშნეთ და შეხვედრა დინამოელებმა მოიგეს 1:0. სხვათა შორის, იმ ეპიზოდზე ახლაც კამათობენ...**

- ის ეპიზოდი არაერთხელ დაატრიალეს ვიდეო ჩანაწერებზე და როცა ამდენი გამეორების შემდეგ მაინც სადავოდ რჩება ყველაფერი, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაშია მსაჯი - მას ხომ გადაწყვეტილების მისაღებად წამზე ნაკლები დრო აქვს, თანაც, ეს ეპიზოდი მატჩის მიწურულს მოხდა...დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ პენალტი არ უნდა დამენიშნა და სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

**- იმ მატჩის შემდეგ თქვენ გარკვეულწილად დაიქადნეთ, ვისაც ჩემს პატიოსნებაში ეჭვი ეპარება, სასამართლოში ვუჩივლებო. თუმცა ასე არ მოქცეულხართ...**

- დავაზუსტებდი: მე ვთქვი, თუ კიდევ განმეორდება მსგავსი რამ, ცილისწამებისთვის ვიჩივლებ სასამართლოში-მეთქი და რადგან ასეთი რამ არ განმეორებულა, მეც არ მიმიღია სათანადო ზომები.

**- ფიფა-ს არბიტრი ხართ და განვლილ სეზონში რამდენიმე საერთაშორისო მატჩიც იმსაჯეთ. თუმცა ვერ ავუვლით გვერდს იმ ფაქტს, რომ ქართველი მსაჯები საერთაშორისო ასპარეზზე მაინც იშვიათად თუ ჩნდებიან.**

- განვლილ სეზონში 4 საერთაშორისო თამაში ვიმსაჯე. ნამსაჯი მატჩების რაოდენობა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. 2004-05 წლების სეზონს გავიხსენებდი, როცა იმ პერიოდში ჩვენს ეროვნულ ნაკრებს პატარა წარმატებები ჰქონდა, ხოლო თბილისის „დინამო“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა. იმ სეზონში ქართველმა მსაჯებმა ბევრად მეტი მატჩი იმსაჯეს საერთაშორისო სარბიელზე, ვიდრე სხვა დროს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ არ ვართ შენგენის ქვეყანა და ქართველი მსაჯის ევროპაში მიმოსვლა სავიზო საკითხებთანაა დაკავშირებული, თითქოს ეს პატარა ნიუანსია, მაგრამ... საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი 2005 წელს გავხდი და მაშინ უეფაში რომ ჩავედი გამოცდის ჩასაბარებლად, ჩემთან ერთად იყო ინგლისელი ჰოვარდ უებიც. ჩვენი თაობიდან ის ყველაზე ცნობილი მსაჯი გამოდგა. ჰოვარდ უებს დღეს ყველა იცნობს და მაღალი რანგის თამაშებსაც უძღვება.

**- ანუ თითქმის ყველაფერს განაპირობებს ის, თუ მსაჯი რომელი ქვეყნიდანაა?**

- ჰოვარდ უები მსაჯობს ინგლისის პრემიერლიგის თამაშებს და ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა განსხვავებაა იმ და ჩვენს საშინაო ლიგებს შორის. როგორც ჩვენი ფეხბურთი ჩამორჩება ინგლისურ პრემიერლიგას, ასევეა მსაჯობაც. საკითხავია, როგორ უნდა დაეწიოს ქართველი მსაჯი იმ არბიტრს, ვინც ყოველ კვირა მსაჯობს ინგლისური პრემიერლიგის მატჩს.

**- გარდა ამისა, რა ფაქტორი განაპირობებს მსაჯის ოსტატობას?**

- ბევრი რამ არის დამოკიდებული ისევ და ისევ გამოცდილებაზე და აურაზე. საქართველოს ჩემპიონატის თამაშებზე საშუალოდ 200-300 კაცი დადის. მხოლოდ „ზესტაფონის“ საშინაო მატჩებს ჰყავს მეტი მაყურებელი, თუმც ბოლო დროს დასწრებამ იქაც იკლო. ასეთ შემთხვევაში წარმოუდგენელია აჯობო იმ მსაჯებს, რომლებიც ინგლისში, გერმანიაში, ესპანეთში თუ იტალიაში უძღვებიან თამაშებს.

**- არცთუ ცოტა ქართველი მსაჯი ერიდება ფეხბურთელებისთვის წითელი ბარათის ჩვენებას სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო. როგორ ფიქრობთ, რატომ ჩამოყალიბდა ასეთი ტენდენცია?**

- არ ვიცი, მე გინებისთვის არაერთი ფეხბურთელი გამიძევებია, რატომ უნდა ვაპატიო მათ ასეთი რამ? თითქოს თეთრი ყვავივით ვარ, ისე გამოდის, რომ მხოლოდ მე ვუჩვენებ ხოლმე წითელ ბარათს ფეხბურთელებს მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის.

**- ტენდენციის ფორმა მიიღო ყველაფრის მსაჯზე გადაბრალებამაც. უამრავ ისეთ მატჩს შევსწრებივართ, როცა გუნდი აშკარად იჯაბნება მეტოქისგან, მაგრამ დაჯაბნილი გუნდის გულშემატივრები ყველაფერს მაინც მსაჯს აბრალებენ და აგინებენ. ხშირად ფეხბურთელები, მწვრთნელები და კლუბების მესვეურებიც კი წარუმატებლობის შემთხვევაში მსაჯისკენ იშვერენ ხელს. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?**

- ასეთი კითხვისთვის მადლობა უნდა გადაგიხადოთ. უკვე ყველა ხვდება, რომ არის გაუთავებელი მცდელობა ყველაფერი მსაჯს დააბრალონ - ასე არ შეიძლება. ფეხბურთელი ცუდად თამაშობს - მსაჯის მოქმედებებით იმართლებს მთავს, გუნდს ცუდი შედეგი აქვს და მწვრთნელიც კლუბის პრეზიდენტთან ვითომდა ცუდი მსაჯობით იმართლებს თავს. მსაჯი თითქოს დაბალი ლობესავით არის, არადა ყველამ კარგად ვიცით, თუ რას სჩადიან თვითონ გუნდები, მაგრამ მათ ვერ სჯიან.

**- თვითონ კლუბები რომ არიან გარეული კორუფციაში და თამაშობენ ჩაწყობილ მატჩებს, ეს საკამათო ალბათ არავისთვის არ არის, მაგრამ ალბათ ყველა მსაჯიც არ არის ობიექტური და წესიერი. უკვე ჩამოყალიბდა მსაჯის მოქრთამვის ახალი ტექნოლოგიებიც: თუ ადრე მსაჯი ფულის გამო ნიშნავდა არარსებულ 11-მეტრიანს, დებდა გამოგონილ ჯარიმას, ახლა ასე თითქმის აღარ ხდება, სამაგიეროდ, კორუმპირებული მსაჯი ყველა საკამათო ეპიზოდში იმ გუნდის სასარგებლო უსტვენს, რომლისგანაც ფული აქვს აღებული. ვერავინ უარყოფს, რომ მსაჯობაში არის თავისებური ლუფტი, რითაც მსაჯს შეუძლია იყოს მიკერძოებული ისე, რომ მას ფორმალურად ვერავინ გაამტყუნებს.**

- მე ასეთი რამით არ ვარ დაკავებული. ჩემს კვალიფიკაციას და რეპუტაციას ჩემი საქმე გამოაჩენს. თქვენ მიერ ხსენებული მითქმა-მოთქმის და საერთოდ ამ პრობლემის თავი და თავი მსაჯების ხელფასია, თორემ როგორ გგონიათ, უცხოელი არბიტრები, თუნდაც მაღალი დონის შეხვედრებში შეცდომებს არ უშვებენ? ხომ ყველა კარგად ვნახეთ, რა მოხდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ შეხვედრაში. უცხოელ მსაჯებს აქვთ იმხელა გასამრჯელო და დაწესებული აქვთ ისეთი კონტროლი, რომ კორუფციის ალბათობა მინიმუმამდეა დაყვანილი. ასეთ დროს მსაჯს არ გააჩნია იმის საფუძველი, რომ იმაიმუნოს. ხომ გახსოვთ, როგორი იყო ქართული პოლიცია ადრე, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი პოლიციელებს ლამაზად ჩააცვეს, ხელფასის საკითხი მოუწესრიგეს და ფაქტია, რომ ახლანდელი მდგომარეობა უწინდელს არ შეედრება.

**- საშუალოდ რა ანაზღაურება აქვს მსაჯს, რომელიც საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშებას ემსახურება?**

- უმაღლესი ლიგის ერთ შეხვედრაში არბიტრი 260 ლარს იღებს, პირველ ლიგაში - 140 ლარს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, მსაჯებს აქტიური სეზონი 6-7 თვე გვაქვს და როცა თამაშები არ არის, ჩვენ გასამრჯელოს ვერ ვიღებთ, ფაქტობრივად, უხელფასოდ ვრჩებით. ერთ თვეში მსაჯს საქართველოში 1000 ლარამდე გამოსდის ანაზღაურება. წელიწადში კი თვიური ხელფასის სახით ეს არაუმეტეს 600 ლარს შეადგენს, თანაც სამივლინებო ხარჯებისთვის ჩვენ დამატებით ფულს არ გვიხდიან, სამივლინებო ფურცელსაც კი არ გვაძლევენ. ერთხელ, როცა საჩხერეში მივდიოდით, გორთან პატრულმა გაგვაჩერა და გვითხრა, ნარკოლოგიურში უნდა წაგიყვანოთო. ავუხსენით, რომ მსაჯები ვართ და თამაშზე გვეჩქარებოდა, მაგრამ პატრული მაინც თავის აზრზე იდგა. საბარგულიც კი ავხადე, ვაჩვენე ჩვენი ფორმები და ბუცები, მაგრამ ამანაც არ გაჭრა. ნარკოლოგიურში წაყვანას და გამოკვლევას რამდენიმე საათი დასჭირდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ იქ რიგებია. დავურეკე მსაჯთა კომიტეტის ხელმძღვანელ ამირან კაჭახიძეს და მისი დახმარებით როგორც იქნა, პრობლემა მოგვარდა, თორემ თამაშს ვერ ჩავუსწრებდით.

**- წელან, მსაჯის ოსტატობაზე გკითხეთ - ალბათ არის ისეთი რამ, რასაც მხოლოდ შრომით ვერ შეიძენ. რა თვისებები უნდა ჰქონდეს მსაჯს, რომ მას კლასი ეტყობოდეს?**

- პირველ რიგში, მსაჯი უნდა იყოს ობიექტური და ფიზიკურად კარგად მომზადებული. ბურთისგან მინიმუმ 10-15 მეტრში უნდა იყო. ხანდახან არბიტრი 12 კილომეტრს დარბის ერთ შეხვედრაში. არის თამაშები, ვერც კი დაიღლები. რაც შეეხება კლასს, თუ მსაჯს არა აქვს ავტორიტეტი, მისი არავის არ სჯერა. ავტორიტეტი კი მოდის წლების განმავლობაში გამოცდილებასთან ერთად.

**- საკუთარ თავს როგორ არბიტრად დაახასიათებდით? ალბათ ყველა გამორჩეულ მსაჯს აქვს საკუთარი ხელწერა...**

- არ მიყვარს, როცა მსაჯი ჯალათია. მსაჯი არ უნდა ტოვებდეს ისეთ შეგრძნებას, თითქოს მოედანზე ვილაც სამხედროა გამოსული. თვითონ თამაში გვიჩვენებს, მსაჯი მკაცრად უნდა მოიქცეს თუ არა. მიმაჩნია, რომ მსაჯს ფეხბურთელებთან საუბრითაც შეუძლია თამაშის კარგად წაყვანა. მოედანზე 22 სხვადასხვა ხასიათის ადამიანია და ეს მსაჯს უნდა ესმოდეს. მსაჯმა უნდა დაინახოს, ვინ არის გუნდში ყველაზე ავტორიტეტული ფეხბურთელი და თუ მასთან გამონახა საერთო ენა, მთელ დანარჩენ გუნდთანაც გაუადვილდება ურთიერთობის დამყარება. ანუ, მთავარია, რომ მსაჯმა იგრძნოს, ვინ არის ავტორიტეტი და არ არის აუცილებელი, რომ ის მაინცდამაინც გუნდის კაპიტანი იყოს.

დავით თავართქილაძე

ლეგიონერი

# სირაძეს ნალჩიკიდან დაურეკეს

დაახლოებით ნახევარი წელია, **დავით სირაძე** უგუნდოდაა და როცა მას გუშინ შევეხმიანეთ, გვითხრა, რომ დღე-დღეზე გადაწყდება, სად გააგრძელებს კარიერას - ან გერმანიაში დაბრუნდება, ან ნალჩიკის „სპარტაკში“.

*„ნალჩიკელთა მთავარმა მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა რამდენიმე დღის წინ დამირეკა და თავის გუნდში დაბრუნება შემომთავაზა. ამ წინადადებაზე უარი არ მითქვამს და ხვალ-ზეგ ისევ ველოდები ზარს ნალჩიკიდან, რათა ყველაფერი საბოლოოდ გადაწყდეს. გარდა ამისა, არის რამდენიმე გერმანული ვარიანტიც“,* - გვამცნო სირაძემ.

ეს თავდამსხმელი ბოლოს სწორედ ყაბარდოულ ნალჩიკის „სპარტაკში“ თამაშობდა, მანამდე კი მეორე ბუნდესლიგის არაერთი გუნდის ღირსებას იცავდა - „უნიონი“, „ტრირი“, „პადერბორნი“...

**ექტორ კუპერმა** უგუნდოდ დარჩენილი სირაძე მაშინაც ათამაშა, როცა ჩვენმა ნაკრებმა 11 თებერვალს ირლადიასთან (1:2) წააგო. იმ თამაშში **ალექსანდრე იაშვილმა** გოლი სწორედ სირაძის პასით გაიტანა. ამიტომაც საინტერესოა, როდის მოელება ბოლო ფეხბურთელის უგუნდოდ ყოფნას.

დავით თავართქილაძე

ინტერვიუ

ლადო ბურდული

# იმის ფუფუნება სად გვაქვს, რომ ასეთი ფეხბურთელები ჩამოვწეროთ?!

## ეს სია კუპერს უნდა ჰქონდეს, თუ არ აქვს, უნდა მისცენ



ლადო ბურდული

**გასულ უკრაინულ სეზონში ვასილ გიგიაძისა და ლადო ბურდულის „ტავრიამ" მე-8 ადგილზე დაასრულა. გიგიაძისგან განსხვავებით, ეროვნულ ნაკრებში ერთ დროს სტაბილურად მოთამაშე ბურდულს თითქმის არ მოუწია თამაშმა - ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში მან მხოლოდ 2-2 შეხვედრა ჩაატარა. უთამაშებლობის გამო ბურდულმა კლუბის შეცვლა გადაწყვიტა და მისი ტრანსფერის საკითხი წესით ამ თვეშივე უნდა გადაწყდეს.**

**ვნახოთ, რა აზრისაა ლადო ბურდული თავის დღევანდელობაზე, სად შეიძლება გააგრძელოს კარიერა და რით ხსნის უთამაშებლობას...**

- დიახ, სამწუხაროდ ასეა, გასულ სეზონი მხოლოდ 2-2 მატჩი მომიწია თასსა და ჩემპიონატში. უფრო გულდასაწყვეტი ისაა, რომ არც ერთ შეხვედრაში ნახევარი საათით მაინც არ მომცეს თავის წარმოჩენის შესაძლებლობა. კი, მართალია „ტავრიაში" მთელი სეზონის განმავლობაში არ ვყოფილვარ, 7 თუ 8 ტური იყო ჩატარებული გუნდში რომ მივედი, მაგრამ ზამთრის მოსამზადებელი შეკრება გუნდთან ერთად გავიარე და დავამტკიცე, რომ სათამაშოდ მზად ვიყავი. თუმცა რად გინდა, თამაშები მაინც არ მომცეს.

**- თავად რით ახსნით უთამაშებლობას?**

- ჯერ ერთი, ჩავედი თუ არა სიმფეროპოლში გუნდის მთავარი მწვრთნელი ფომენკო, ვინც გუნდში მიმიწვია, 2 მატჩის შემდეგ მოხსნეს. ახალი მწვთნელი კი, როგორც ჩანს სათანადოდ ვერ აფასებდა ჩემს შესაძლებლობებს. მწვრთნელს ყველა პოზიციაზე მაღალი დონის უკრაინელი ფეხბურთელები რომ ჰყოლოდა ლეგიონერებს არც ათამაშებდა... ჩემს პოზიციაზე თავისი მოთამაშეები ჰყავდა. მათ აშკარად ვჯობდი, მაგრამ რად გინდა. შანსი რომ მოეცა ეს უფრო საგრძნობი იქნებოდა და ალბათ ამიტომააც გავატარე სეზონი მოედანს მიღმა.

**- კლუბთან თქვენი კონტრაქტის ვადა უკვე ამოიწურა?**

- არა, ხელშეკრულების ვადა მომავალი სეზონის ბოლოს იწურება.

**- რას აპირებთ?**

- უკრაინაში მივემგზავრები „ტავრიას" თავკაცობას უნდა ვესაუბრო. უკვე გადაწყვეტილი მაქვს, გუნდს აუცილებლად შევიცვლი.

**- ქვეყანასაც შეიცვლით? მაინც რა ვარიანტები გაქვთ?**

- უკრაინის გარდა რუსულ და აზერბაიჯანულ კლუბებზეა ლაპარაკი, მაგრამ არა მგონია უკრაინა დავტოვო. ამ ეტაპზე უკრაინის ჩემპიონატში მიჯობს თამაში...

**- გუნდს არ გაგვიმხელთ?**

- 3-4 უკრაინული კლუბის ვარიანტი მაქვს. მომიტევეთ, მაგრამ მხოლოდ ერთს დაგისახელებთ, მარიუპოლის „ილიჩევეცი". აი, ჩავალ უკრაინაში, ჩემს აგენტს ვნახავ. ის უკვე შეუდგა ტრანსფერზე მუშაობას და სიახლეებსაც დამახვედრებს.

**- ვასილ გიგიაძე რას აპირებს?**

- მას ახალი სეზონის შემდეგ უმთავრდება კონტრაქტი და ალბათ დარჩება. ჩემგან განსხვავებით ვასოს უწევდა თამაში...

**- რამდენ ხანში გადაწყდება თქვენი ტრანსფერის საკითხი?**

- 1-2 კვირაში ყველაფერი გარკვეული იქნება. წესით თვის ბოლომდე უკვე უნდა ვიცოდე, სად გავაგრძელებ კარიერას.

**- ეროვნულ ნაკრებზეც გკითხავთ. როგორ შეაფასებდით მის თამაშს, შედეგებს და მომავალზე რას ფიქრობთ?**

- სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ჩვენს ნაკრებს უელსის შემდეგ თამაში არ მოუგია და თუ არაფერი შეიცვალა, მოუგებელი სერიაც გაგრძელდება...

**- რა უნდა შეიცვალოს?**

- კურსი, მიმართულებაა არასწორი...

**- რას გულისხმობთ?**

- აშკარაა, რომ ჩვენში ეროვნული ნაკრების დონის ფეხბურთელების მწვავე დეფიციტია. ამ დროს კი არ ვიყენებთ ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც არიან ასათიანი, მუჯირი, ცქიტიშვილი, გოგუა, ამისულაშვილი... დამისახელეთ ეროვნულში ვინაა მათზე უკეთესი? დღეს არ გვაქვს იმისი ფუფუნება, რომ ამ ფეხბურთელებს ხაზი გადავუსვათ, მართლა ნაკრების დონის ფეხბურთელები ეროვნულისთვის ჩამოვწეროთ. თაობათა ცვლა ნაკრებში ბუნებრივი პროცესია და მას ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ეს ეტაპობრივად და რაც შეიძლება უმტკივნეულოდ უნდა მოხდეს და არა ისე, როგორც ჩვენს ნაკრებშია დღეისათვის. ჯამარაულის, ქინქლაძის, არველაძის გვერდით მითამაშია ეროვნულში. ისინი ვარსკვლავები იყვნენ, სადაა დღეს ჩვენს ეროვნულში მათი დონის ფეხბურთელი. მაშინ ბატონმა ალექსანდრე ჩივაძემ თაობათა ცვლის პროცესი ეტაპობრივად მოახდინა. 10-15 წუთი მათამაშებდა შეცვლაზე ამ ვარსკვლავების გვერდით. ახალგაზრდა ფეხბურთელი სწორედ გამოცდილის გვერდით უნდა გაიზარდოს. ეროვნულში გამოცდილი მოთამაშეები თითქმის აღარ დარჩნეს... კალაძე, კობიაშვილი, ხიზანიშვილი, იაშვილი რომ დააკლდეს ეროვნულს, ვინღა დარჩა გამოცდილი? ასე ერთი ხელის მოსმით გაახალგაზრდავება და საჭირო ფეხბურთელებზე უარის თქმა არ შეიძლება. ეს კარგს არაფერს მოგვიტანს და ეს ჩანს კიდეც... ახალი ფეხბუთელები თუ გვინდა ნაკრებში, კი ბატონო, ბევრია ისეთი, რომელიც ალბათ თავად კუპერმაც კი არ იცის...

**- ვის გულისხმობთ?**

- თუნდაც გიორგი ადამიას... არაფრით ელირსა მას ეროვნულ გუნდში თამაში და ახლა აზერბაიჯანში ითამაშებს. თუნდაც ალექსანდრე გოგობერიშვილი... ამირან მუჯირი საუკეთესოა იყო აზერბაიჯანში, დავიჯერო მისი გამოყენება ნაკრებში არ შეიძლება? ჩივაძის მწვრთნელობის დროს ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა და დღესაც სასარგებლო იქნება. იგივე გიგიაძე, ჯაკობია, დემეტრაძეც ათამაშდება... უთამაშებელი ვარ და როცა ეს პრობლემა აღარ მექნება, მიმიწვიონ და კიდევ ერთხელ ვიტყვი ჩემს სიტყვას. ექტორ კუპერს ჰყავს შტაბი, მას ეს სია უნდა ჰქონდეს. თუ არ აქვს უნდა მიაწოდონ და შანსი ყველას უნდა მიეცეს.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

# იაშვილი 2013 წლამდე

**ალექსანდრე იაშვილმა** მალე დაუსვა წერტილი სატრანსფერო ციებ-ცხელებას. მას შემდეგ, რაც მისი გუნდი „კარლსრუე" ბუნდესლიგიდან გავარდა, ქართველ ფორვარდს რამდენიმე გერმანული კლუბი სთავაზობდა გადასვლას. ალექსანდრემ კი კვლავ „კარლსრუეში" დარჩენა გადაწყვიტა - მან ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომელსაც ვადა 2013 წლის ივლისში ამოეწურება. „კარლსრუეს" მენეჯერმა **როლფ დომენმა** შემდეგი განაცხადა: *„ჩვენ აქამდეც გვითქვამს, რომ იაშვილს ხელშეკრულებას ვთავაზობთ. მოხარული ვართ, რომ ფეხბურთელის სურვილიც დაემთხვა კლუბის ხელმძღვანელობის სურვილს. ალექსანდრე ჩვენი ახალი გუნდის ერთ-ერთი ბურჯი იქნება".*

*„ვფიქრობ, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მივიღე ჩემი კარიერისთვის. იმედია, „კარლსრუე" მალე დაუბრუნდება ბუნდესლიგას",* - განაცხადა ჩვენმა თანამემამულემ, რომელსაც [illegible] ლი კონტრაქტის დასრულების დროისთვის 35 წლის იქნება. ალექსანდრე იაშვილი 2007 წლის ზაფხულში შეუერთდა „კარლსრუეს" ამ გუნდის შემადგენლობაში მან ბუნდესლიგის 51 თამაშში 3 გოლი გაიტანა. სულ ბუნდესლიგაში მას 198 თამაშში 32 გოლი აქვს გატანილი, მეორე ბუნდესლიგაში კი, ჩვენებურმა 123 თამაშში 23 გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ჯანოს თავბრუდამხვევი სოლო

**ევროპის ლიგების უმეტესობაში სეზონი დასრულდა, გრძელდება მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცის ეროვნული პირველობები. ამ უქმეებზე გამოვყოფთ გოგიტა გოგუას დაბრუნებას დისკვალიფიკაციიდან და მის ტრავმას. ქართული გოლი კი მხოლოდ ერთი გავიდა, ჩვენს სამეზობლოში თავი გაგა თიბილაშვილმა გამოიჩინა.**



ჯანო ანანიძე

## გრიგალავა ჩვენთან აღარ იკითხოთ

რუსულ პრემიერლიგაში მე-12 ტურის მატჩები გაიმართა. ქვეყნის ჩემპიონი „რუბინი" მოულოდნელად ყაზანში „როსტოვთან" დამარცხდა - 0:2. მასპინძელთა სამი ქართველიდან მატჩის განაცხადში მხოლოდ **ლაშა სალუქვაძე** (2 თამაში) იყო, მასაც არ ელირსა მოედანზე შემოსვლა. „რუბინმა" ტაიმზე მეტი 10 კაცით ითამაშა, 43-ე წუთზე მასპინძლებს **ევგენი ბალიაიკინი** გაუძევეს. სამწუხაროდ, რაც უფრო ახლოვდება ჩემპიონთა ლიგის ახალი გათამაშება, მით უფრო ცხადი ხდება, რომ ქართველებს თამაშის შანსი ნაკლებად მიეცემათ. ამ თამაშში კინაღამ ტრაგედია დატრიალდა - მატჩის ბოლო წუთზე მოედანზე უგონოდ დაეცა **პიოტრ ბისტროვი** („რუბინი"). ექიმების დასკვნით მას ტვინში მცირე გაჟონვა მზის დარტყმის გამო მოუვიდა. წუხელ იგი საავადმყოფოში გონზე მოვიდა და ლაპარაკის უნარიც აღუდგა. ქართველებს არც დუბლების მატჩში (3:0 „რუბინის" სასარგებლოდ) უთამაშიათ.

**ლევან გვაზავა** კვლავ ტრავმის გამო დააკლდა „ტერეკს", გროზნოს გუნდმა „კრილია სოვეტოვი" 3:2 დაამარცხა. **გია გრიგალავა**, რომელმაც საქართველოს ახალგაზრდულში თამაშს რუსეთის 21-წლამდელთა გუნდში თამაში არჩია, გადავწყვიტეთ ამიერიდან აღარ ვახსენოთ ჩვენი ლეგიონის მიმოხილვაში, სანამ (თუ) ფეხბურთელი გადაწყვეტილებას არ შეიცვლის (ფიფა-ს ახალი წესი მას ამის შანსს უნარჩუნებს)...

გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივი" „სატურნს" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. **დავით მუჯირი** (7 თამაში, 1 გოლი) ამ შეხვედრაში სათადარიგო იყო. მას თავის გამოჩენის შანსი **იური სიომინმაც** მისცა. **მალხაზ ასათიანი** კი ჯერ არ არის საჩემპიონატო განაცხადში შეყვანილი, ეს აგვისტომდე არ მოხერხდება.

სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ მოედანს **გოგიტა გოგუა** (8 თამაში, 1 გოლი) დაუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ მე-7 ტურში მან მოედნის ცენტრში სრულიად უმიზეზოდ მოცელა „ლოკომოტივის" ფეხბურთელი. ნალჩიკში „სპარტაკმა" და „ზენიტმა" საინტერესო, უხვგოლიანი თამაში შესთავაზეს მაყურებელს. **ალექსანდრე ამისულაშვილი** (11 თამაში, 1 გოლი) სასტარტო შემადგენლობაში იყო, მან 90 წუთი ითამაშა. გოგუამ 28-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო, მე-60 წუთზე კი - ტრავმა და შესაცვლელი გახდა. გოგიტა საკაცით გაიყვანეს მოედნიდან, ქართველი ნახევარმცველი დაბრუნდა, მაგრამ იმ წუთშივე ცხადი გახდა, რომ ის თამაშს ველარ შეძლებდა. სხვათა შორის, „სპარტაკის" რიგებში დებიუტი ჰქონდა ყაზახეთის ნაკრების მეკარე **დავით ლორიას**. მოკლედ, 11 ნალჩიკელიდან სამი ქართველი იყო, სამი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე...

„რუბინი" 21 ქულით მეორე ადგილზეა, თუმცა პოტენციური ლიდერია, რადგან დაწინაურებულ „მოსკვაზე" თამაშით ნაკლები აქვს გამართული და დედაქალაქის კლუბს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება. „ლოკომოტივი" 16 ქულით ოდენ მეცხრეა, „ტერეკი" - მეათე. ნალჩიკის „სპარტაკი" 8 ქულით ბოლოსწინა, მე-15 ადგილზეა. არ შეიძლება არ ალვნიშნოთ 16 წლის **ჯანო ანანიძის** მორიგი წარმატება, ჯანომ ამას წინათ მოსკოვის „სპარტაკის" ძირითად გუნდთან ვარჯიშიც დაიმსახურა. ჩვენებურმა „ხიმკის" დუბლებთან (6:0) მატჩში 89-ე წუთზე „სპარტაკის" მეხუთე გოლი გაიტანა. ჯანოს 11 თამაშში 5 გოლი აქვს გატანილი, ის ფლანგის ნახევარმცველია. აი, რას წერს „სპარტაკის" ოფიციალური საიტი:

*„ჩვენი გუნდის მესამე და მეხუთე გოლები ულამაზესი იყო. ჯანომ თავბრუდამხვევი სოლო შეასრულა, გზად მან „ხიმკის" სამი მცველი მოატყუა".*

მახაჩყალის „ანჟი", სადაც 7 ქართველი ფეხბურთელი ირიცხება, 14 თამაშიდან 30 ქულით რუსეთის პირველი დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერია. „ანჟიმ" სტუმრად 2:0 დაამარცხა „ურალი". **ედიკ საჯაია** (13 თამაში, 2 გოლი), **კახაბერ ალადაშვილი** (5 თამაში) და **გოჩა ხოჯავა** (13 თამაში, 2 გოლი) სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. საჯაიამ მატჩის მიწურულს ყვითელი ბარათი მიიღო. 38-ე წუთზე **ცორაევს** საგოლე პასი გოჩა ხოჯავამ გადასცა. **ომარ თეთრაძე** შედეგით კმაყოფილი დარჩა, თამაშის ხარისხით კი - არა, თუმცა ამაში ფეხბურთელებზე მეტად ამინდი დაადანაშაულა. არ უთამაშიათ: **გიორგი ნავალოვსკის** (8 თამაში) და **ზურაბ არზიანს** (6 თამაში). ხოლო **სანდრო იაშვილმა** და **ოთარ მარცვალაძემ** ჯერ ვერ მოახერხეს რუსეთის ვიზის მიღება.

## ფოფხაძემ და კომპანიამ კარი გამოიჯახუნა

დანიის ვიასატდივიზიონში კარი გამოიჯახუნა **გიორგი ფოფხაძის** „ვიბროგმა". გუნდმა ვერ შეძლო უმაღლესი დივიზიონის საგზურის მოპოვება. ბოლო ტურში „ვიბორგი" კოპენჰაგენის „ფრემს" ესტუმრა და 6:0 გადაუარა. „ვიბორგმა" 54 ქულით მე-4 ადგილზე დაასრულა ასპარეზობა. გიორგიმ სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო თამაში, ის 61-ე წუთზე შეცვალეს. დანიის მეორე დივიზიონში **მიხეილ ბარაბაძის** ჰიკ შინ 2:2 დაუზავდა „ვანლოსეს", ქართველი ფორვარდი 75-ე წუთზე შეცვალეს. ჰიკ-მა ჩემპიონატი 45 ქულით მეხუთე ადგილზე დაასრულა.

## პერტიამ ჩემპიონი დაამარცხა

ფინეთის მეორე დივიზიონში, იკონენლიგაში **ირაკლი ციკოლიას** ტპ-47 სტუმრად 1:5 დამარცხდა „პოპასთან". ტპ-47 1 ქულით 16-გუნდიან ლიგაში უკანასკნელ ადგილზეა.

ლატვიური ვირსლიგის მე-15 ტურში **თამაზ პერტიას** „დინაბურგმა" ქვეყნის ჩემპიონი „ვენტსპილსი" დაამარცხა - 1:0. პერტიამ **ირაკლი ქორთუა** უკვე მე-17 წუთზე შეცვალა, ხოლო **ვასილ ლუჭაშვილმა** 90 წუთი დაყო მოედანზე. სტუმრებს ტრავმირებული **ზურაბ მენთეშაშვილი** აკლდათ. „სკონტომ" 2:1 დაამარცხა „მეტალურგსი". **დავით გამეზარდაშვილი** სასტარტო შემადგენლობაში იყო, ნაკრებში თავგამოჩენილი **ლადო დვალიშვილი** კი - სათადარიგო. ლადო მოედანზე 63-ე წუთზე გამოჩნდა. **გაგა გუგუნაშვილის** „იურმალა" შინ 1:1 დაუზავდა „დაუგავას". გუგუნაშვილმა 90 წუთი ითამაშა. „ვენტსპილსი" 33 ქულით კვლავ პირველია მარცხის მიუხედავად, „სკონტო" 29 ქულით მესამეა, „დინაბურგი" 18 ქულით მეოთხეა, ხოლო „იურმალა" - 16 ქულით - მეხუთე.

ლიტვაში „ტაურასი" „ვეტრას" დაუზავდა - 1:1. **დავით ჭიღლაძემ** მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა, ხოლო **ბესიკ ჭიღლაძე** 64-ე წუთზე შეცვალეს. სომხეთში გოლით გამოიჩინა თავი **გაგა თიბილაშვილმა**, მისი „ულისე" შინ 1:2 დამარცხდა „მიკასთან", გაგამ მე-10 წუთზე გაათანაბრა ანგარიში. უკრაინის პერშალიგის ბოლო ტურში „დინამო-2" „ჰელიოსს" დაუზავდა - 1:1. **თეიმურაზ ფარცვანიამ** შეუცვლელად ითამაშა, სეზონი ისე დასრულდა **ლაშა თოთაძე** დებიუტს ვერ ელირსა გუნდში. კიეველთა მეორე გუნდმა ჩემპიონატი მე-8 ადგილზე დაასრულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კონფედერაციათა თასი

ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი

# სანტანა ბორას წინააღმდეგ

## ევროპის ჩემპიონმა ნაყოფიერად ივარჯიშა

**სამხ. აფრიკა-ერაყი 0:0**

**სამხ. აფრიკა:** კუნე, მაზილელა, მოკოენა, ბუტი, გაქსა, მოდისე, დიკგასოი, მლონგო, სიბაია, პარკერი (85. პიენაარი), ფანტენი (78. მაშეგო).

**ერაყი:** ქასიდი, აბასი, რეემა, მაჯედი, ალი ქარემი, შაქერი, იასიმი (74. მულა მუჰამედი), აქრამი, მაჰდი ქარემი (88. სადირი), ემად მოჰამედი (76. ზაჰრა), მაჰმუდი.

**მაყურებელი:** 48 837

2009 წლის კონფედერაციათა თასის გათამაშება სამხრეთი აფრიკისა და ერაყის ნაკრებთა უსახური შეხვედრით დაიწყო. ადამიანი ასეთ საშინელებას იშვიათად თუ ნახავს. ტურნირის მასპინძელი ფავორიტად მიიჩნეოდა. მიმომხილველები სწორედ აფრიკელთა გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ **ჟოელ სანტანას** გუნდს საამისოდ ბევრი არაფერი გაუკეთებია. ლამაზი ფეხბურთი არც ერაყელებს უთამაშიათ. სტუმართა კართან ოდენ ერთი რეალური საგოლე მომენტი შეიქმნა და ამ სიტუაციაშიც ერაყელები კურიოზის წყალობით გადარჩნენ - გაგიკვირდებათ და, ბურთი, რომელსაც აზიელთა კარის ხაზი უნდა გადაეკვეთა, თავად შემტევთა ფორვარდმა **ბერნარ პარკერმა**... მოიგერია.

მოკლედ, 0:0. ცხადია, აფრიკელთა ბრაზილიელი მწვრთნელი ჟოელ სანტანა ნამატჩევს უგუნებოდ ბრძანდებოდა. თუმცა მან საკუთარ შეცდომებზე საუბარს მოწინააღმდეგის დადანაშაულება ამჯობინა: *„ჩვენ ტურნირის მასპინძლები ვართ და ერაყთან ფრე ნამდვილად არ გვახარებს. ეს წარუმატებელი შედეგია, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მეტოქე ასეთი ანტიფეხბურთით იყოს გატაცებული, არასოდეს მინახავს. ერაყელები ფეხბურთს არ თამაშობდნენ. მათ ამის მინიმალური სურვილიც არ ქონიათ. სტუმრებს საზოგადოებისთვის პატივი რომ ეცათ და ვაჟკაცურად ეთამაშათ, დღეს სულ სხვა ფეხბურთს ვიხილავდით“.*



ახალი ზელანდია-ესპანეთი. ფერნანდო ტორესის პირველი გოლი

ერაყელთა მთავარმა მწვრთნელმა, სახელგანთქმულმა **ბორა მილუტინოვიჩმა** კოლეგის შეფასება არ გაიზიარა: *„როგორც ჩანს, ბატონი სანტანა თავს ჩვენი დაკნინების ხარჯზე იმართლებს. ერაყის ნაკრებმა გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ბრძოლის ჟინი და შემართება წარმატების გარანტიას ყოველთვის არ იძლევა. ერაყის ეროვნულმა გუნდმა ღირსეულად ითამაშა. მე გამოუცდელ გუნდს წარმოვადგენ. ცნობილი მიზეზების გამო, ერაყის ნაკრები საკმაოდ რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მომავლის იმედი ყველა ფეხბურთელს აქვს და ჩემი შეგირდები უკან დახევას არ აპირებენ. სულაც არ მიმაჩნია, რომ ანტიფეხბურთი ვითამაშეთ. გავაკეთეთ ის, რაც შეგვეძლო. თუ სამხრეთაფრიკელებს მოგება სურდათ, უკეთ ეთამაშათ და მოიგებდნენ. ჩვენ ნურავინ დაგვადანაშაულებს“.*

**ახ. ზელანდია-ესპანეთი 0:5**

**ახალი ზელანდია:** მოსი, მულიგანი, ბოიენსი, ვისელიჩი, ლოჩედი, ელიოტი, ბრაუნი, ბროკი (26. კრისტი), ბერტოსი, კილენი, შმელცი (75. ჯეიმსი)

**ესპანეთი:** კასილიასი, კაპდევილია, ალბიოლი, პუიოლი, სერხიო რამოსი (53. არბელოა), ჩაბი ალონსო, რიერა, ფაბრეგასი, ჩავი (53. კასორლა), ვილია, ფერნანდო ტორესი (69. სილვა)

**გოლები:** 0:1 ფერნანდო ტორესი (6), 0:2 ფერნანდო ტორესი (14), 0:3 ფერნანდო ტორესი (17), 0:4 ფაბრეგასი (24), 0:5 ვილია (48)

**მაყურებელი:** 21 649

ესპანეთის ნაკრები კვლავ შეუჩერებელი და დაუმარცხებელია. თუმცა რომელ დამარცხებაზეა ლაპარაკი, როცა სელექსიონმა ახალი ზელანდიის ძალიან სუსტი ნაკრები მიწასთან გაასწორა. მოგეხსენებათ, კონფედერაციათა თასის გათამაშების დაწყებამდე **ვისენტე დელ ბოსკემ** ეროვნული გუნდის ნახევარმცველი **ანდრეს ინიესტა** დაკარგა. „ბარსას“ ვარსკვლავმა ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა და გუნდს სამხრეთ აფრიკაში არ გაჰყვა. ამის გამო, მწვრთნელმა შუა ხაზში ცვლილებები განახორციელა - ინიესტას ნაცვლად **სესკ ფაბრეგასმა** ითამაშა.

დელ ბოსკეს კიდევ ერთი პრობლემა **მარკოს სენას** ტრავმაა. მაგრამ თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ პირენეელებს ახალ ზელანდიასთან შეხვედრაში საუკეთესო შემადგენლობის გამოყვანა სულაც არ სჭირდებოდათ. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ევროპელებმა აღიარეს - მეტოქე ძალიან სუსტი იყო და მისი დამარცხება არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდაო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სელექსიონს კარგი ვარჯიში გამოუვიდა. ყველაზე ბედნიერი კი **ფერნანდო ტორესი** იყო. რამდენად სუსტიც არ უნდა იყოს ოპონენტი, ჰეტ-ტრიკი ყოველთვის სასიხარულოა.

„ბარსას“ ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი **ჩავი ერნანდესი** შედეგით ძალიან კმაყოფილი დარჩა: *„ახალი ზელანდია ჩვენი პრინციპული მეტოქე ალბათ კიდევ დიდხანს ვერ გახდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღევანდელი ორთაბრძოლის მოგება მნიშვნელოვანი ფაქტი არ იყო. სელექსიონი წარმატებულ სვლას განაგრძობს. ჩვენთვის ამას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. გვიხარია, რომ ყოველი შეხვედრის შემდეგ პატარ-პატარა ისტორიას ვქმნით. ახალი ზელანდიაც ამ ისტორიის ნაწილია. ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ. ჩვენი ფორვარდები არაჩვეულებრივად გრძნობენ თავს. ამის დადასტურება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. ტორესისა და ვილიას გარეშე ესპანეთის ნაკრები სულ სხვა გუნდი იქნებოდა“.*

სატრანსფერო სპეკულაციები

# ლაპორტა: ეს ტყუილია!

## კატალონიელები რეალს ვილიას ეცილებიან. ლაპორტა ისევ პერესს უპირისპირდება

შესაძლოა, **დავიდ ვილია** დიდი დაპირისპირების მიზეზი გახდეს. როგორც იცით, „ვალენსიას“ ფორვარდს „რეალი“ ეპატიჟება. თითქოს, დედაქალაქელებმა ვალენსიელ კოლეგებთან საერთო ენა გამონახეს. გაზეთებში დაიწერა კიდეც - დავიდი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მომავალ კვირაში გადაბარგდებაო. ეს ფაქტი **ხორხე ვალდანომაც** დაადასტურა, მაგრამ...



დავიდ ვილია

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვილიას აყვანა „ბარსელონასაც“ უნდა. კატალონიური კლუბის ხელისუფლება ადასტურებს, რომ „ვალენსიასთან“ ოფიციალური მოლაპარაკებები დაწყებულია. მოდით, „ბარსელონას“ პრეზიდენტ **ჟოან ლაპორტას** მოვუსმინოთ:

*„როგორც ჩანს, ფლორენტინო პერესი სასურველ ტრანსფერებს მხოლოდ ათეულობით მილიონი ევროს გადახდით ვერ ახორციელებს. „რეალის“ პრეზიდენტი დეზინფორმაციებით საზოგადოებას თავგზას უბნევს. რამდენიმე დღის ნინათ მადრიდელებმა განაცხადეს, დავიდ ვილია პრაქტიკულად გადავიბირეთ, „ვალენსიამ“ საბოლოო თანხმობა გვითხრა და კონტრაქტს მაქსიმუმ ერთ კვირაში გავაფორმებთო. ეს ტყუილია! „ვალენსია“ „რეალს“ აბსოლუტურად არაფერზე გარიგებია. ასე რომ ყოფილიყო, ისინი ჩვენთან ლაპარაკს არ დაიწყებდნენ. მე ოფიციალურად ვადასტურებ, რომ „ბარსელონას“ ვილიას შეძენა სურს და ამ საქმეს ისე გავაკეთებთ, როგორც ფეხბურთში დამკვიდრებული მორალური პრინციპები მოითხოვს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელებმა სამართლიანობა არ დავივიწყოთ. მოკლედ, ვილიას შესაძენად ყველაფერს გავაკეთებთ“.*

გუშინ კატალონიურ გაზეთებში ერთობ საგულისხმო ინფორმაცია გამოქვეყნდა. ჩვენი კოლეგები აცხადებენ, რომ ვილიას სამეფო კლუბში თამაში ძალიან უნდა, მაგრამ **რაულის** გამო იქ გადასვლის გადაწყვეტილება დღემდე ვერ მიიღო. ესპანურ ფეხბურთში გაცნობიერებულ გულშემატკივარს ეხსომება, რომ რაულსა და ვილიას შორის შავმა კატამ ჯერ კიდევ მაშინ გაირბინა, როცა „ვალენსიას“ სუპერფორვარდის გადაბირებას პერესის წინამორბედი **რამონ კალდერონი** ცდილობდა. მაშინ მთელმა ესპანეთმა გაიგო, რომ სამეფო კლუბის კაპიტანი დავიდის გადასვლის შესაძლებლობას ეჭვით შეხვდა. სკანდალის თავიდან აცილების მიზნით, ფეხბურთელებმა რამდენჯერმე გაიმეორეს - ჟურნალისტები აჭარბებენ, ჩვენ ერთმანეთის მტრები არ ვართო, მაგრამ ფაქტია, მას შემდეგ მადრიდელსა და ვალენსიელს ნორმალური ურთიერთობა აღარ აქვთ.

კატალონიელი ჟურნალისტები სწორედ ამ დაძაბულობის გათვალისწინებით ამბობენ - ვილიას რაულთან ქიშპობა არ სურს და ამიტომაც ფიქრობს სერიოზულად „ბარსელონაში“ გადასვლაზეო. სამხრეთ აფრიკაში მყოფმა ჟურნალისტებმა სელექსიონის თავდამსხმელს ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება სთხოვეს, მაგრამ დავიდისგან კატეგორიული უარი მიიღეს.

# სერესო აგუეროს გაყიდვას გამორიცხავს

## ...მაგრამ არგენტინელს თვალი მაინც ბარსასკენ გაურბის

გასული დღეების განმავლობაში ინტენსიურად ვრცელდებოდა ხმები, თითქოს **სერხიო აგუერომ** „ბარსელონასთან“ წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. პრაქტიკულად არ დარჩენილა არცერთი ესპანური გამოცემა, ეს ინფორმაცია არ გაეშუქებინა. ამბობდნენ, **ჟოან ლაპორტამ** არგენტინელი ფორვარდის სანაცვლოდ 49 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნა გამოთქვა და დედაქალაქელი კოლეგები წინასწარ კონტრაქტზე სწორედ ამ თანხით დაითანხმაო...

გუშინ კი გაირკვა, რომ არანაირი ხელშეკრულება არ გაფორმებულა და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჭორია. „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ** რამდენიმედღიანი შვებულებაც კი შეწყვიტა და სპეციალური პრესკონფერენცია გამართა. „როხიბლანკოს“ აღშფოთებულმა მეთაურმა ასეთი რამ თქვა:

*„ეს ინფორმაცია ჩემთვის სრულიად გაუგებარია. მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ „ბარსელონასთან“ სერხიო აგუეროს თაობაზე წინასწარი კონტრაქტი არ გაგვიფორმებია. უფრო მეტიც, კატალონიელები არგენტინელ ვარსკვლავთან სიტყვიერადაც არ გარიგებულან. მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდის წამყვან მოთამაშეთა ტრანსფერებზე არ ვმუშაობთ, პირიქით, დირექტორატის უპირველესი ამოცანა შემადგენლობის კიდევ უფრო გაძლიერება და ჩემპიონთა ლიგაში ღირსეულად ასპარეზობაა. ახლა მთელი ჩვენი ძალისხმევა სწორედ აქეთკენაა მიმართული. მოკლედ, საზოგადოება მორიგი ჭორის მსხვერპლი გახდა. სერხიო აგუეროს ვერავის დავუთმობთ. ეს უბრალოდ გამორიცხულია და ამაზე ნურავინ იოცნებებს. ამ რამდენიმე დღის ნინათ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ - თუ ვინმეს მესისა და „კუნის“ ერთ გუნდში ნახვა სურს, ან არგენტინის ნაკრების თამაშებს უყუროს, ან ლეო მოგვყიდოს. ეს არის და ეს, მათი გზები სხვა შემთხვევაში ვერ გადაიკვეთება“.*

საზოგადოების დიდი ნაწილი სულაც არ ფიქრობს, რომ აგუეროს ტრანსფერი მხოლოდ და მხოლოდ სერესოზეა დამოკიდებული. ამ საქმეში ძალიან დიდი მნიშვნელობა თავად „კუნის“ მოსაზრებას ექნება. არგენტინელმა ფორვარდმა კი ღიად განაცხადა, „ბარსელონაში“ თამაშზე ვოცნებობ, იქნებ, როგორმე წამიყვანოთო. სხვათა შორის, „კუნმა“ მაშინ ისიც თქვა - მესის ყოველდღე ვეხვეწები, ეგებ კატალონიელებთან სიტყვა შემაწიო და „კამპ ნოუზე“ გადასვლა გამიადვილოო. ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ენრიკე სერესო აგუეროს წასვლა-დარჩენის საკითხს ერთპიროვნულად ვერ გადაწყვეტს.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**



სერხიო აგუერო

კიოლნი

# თხების ახალი მწყემსი: ზვონე სოლდო!

## 41 წლის ხორვატმა კაპიტნად, შეიძლება, პოდოლსკი დანიშნოს

როგორც იქნა, „კიოლნმაც" იპოვა ახალი მთავარი მწვრთნელი. შაბათს, ნაშუადღევს, „თხების" ხელმძღვანელებმა კრისტოფ დაუმის შემცვლელის რანგში ხორვატიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, დღესდღეობით 41 წლის **ზვონიმირ სოლდო** წარადგინეს. სოლდომ, რომელიც ბუნდესლიგას შესანიშნავად იცნობს, „კიოლნთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მისი ასისტენტი კი **მიხაელ ჰენკე** იქნება.

*„ბუნდესლიგას ყოველთვის მშობლიურ ლიგად მივიჩნევდი. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, როცა „კიოლნის" ხელმძღვანელები დამიკავშირდნენ და მთავარი მწვრთნელის პოსტი შემომთავაზეს. ბუნდესლიგაში მწვრთნელის რანგში მუშაობა ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. „კიოლნი" უდიდესი გამოწვევაა,"* - განუცხადა სოლდომ ჩვენს გერმანელ კოლეგებს. მას ბუნდესლიგაში 1996-დან 2006 წლამდე 301 მატჩი აქვს ჩატარებული და ყველაზე დიდხანს „შტუტგარტის" ღირსებას იცავდა.

ზვონესთვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა 24 წლის **ლუკას პოდოლსკის** „მიხედვაა". მოგეხსენებათ, პოლდი „კიოლნში" „ბაიერნიდან" დაბრუნდა და ფაქტობრივად ყველაფერს ნულიდან იწყებს. პოდოლსკი ჭირვეული ფეხბურთელია და სოლდომ მას უნდა მიხედოს. *„ლუკასი გერმანიის ნაკრების წევრია, რის გამოც ჩვენთანაც განსაკუთრებული სტატუსი აქვს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ მას გარკვეული დრო დასჭირდება იმისათვის, რომ ძველი დიდება დაიბრუნოს. თუმცა ეს „კიოლნში" ძალიან გაუადვილდება, რადგან აქ ყველას უყვარს. გამორიცხული არც ისაა, რომ პოდოლსკის კაპიტნის სამკლაური ც კი გადავცე. ასე იქნება თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: ლუკასი ჩემი გუნდის ლიდერი იქნება. ნებისმიერ მწვრთნელს სჭირდება გუნდური იერარქია და პოდოლსკი მოედანზე შეფი უნდა იყოს,"* - ამბობს სოლდო, რომელიც აქტიური სპორტული კარიერის დროს მოედანზე თვითონაც შეფი გახლდათ.



ზვონიმირ სოლდო, მისი ასისტენტი მიხაელ ჰენკე და „კიოლნის" მენეჯერი მიხაელ მაიერი

განაწყენებული ვარსკვლავი

# ბაი, ბაი, იოგი!

## ჯერმეინ ჯონსი: აღარ მინდა გერმანია, ამერიკაში მივდივარ! ბალაკისა და ფრინგსის გარდა, ლიოვს ყველა ფეხბურთელი დამონებული ჰყავს!

გელზენკირხენის „შალკესა" და გერმანიის ნაკრების 27 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი** ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვზე** იმდენადაა გაბრაზებული, რომ გერმანიის ნაკრებში თამაშზე უარს ამბობს და აშშ-ის ნაკრებში მიდის. ამის უფლება კი ნამდვილად აქვს, რადგან გერმანიის ეროვნულ ნაკრებში სამი ამხანაგური მატჩი აქვს ჩატარებული, ოფიციალურ შეხვედრებში კი მონაწილეობა არასდროს მიუღია, რის გამოც, ფიფას ახალი კანონის მიხედვით, მას ნაკრების გამოცვლა შეუძლია. არადა, მას მერე, რაც ფრანკფურტის „აინტრახტიდან" „შალკეში" გადავიდა, ჯონსი გერმანიაში ძალიან დაფასებული ფეხბურთელი გახდა, ბუნდესგუნდშიც გამოიძახეს და საკმაოდ პერსპექტიულ მოთამაშედაც მიიჩნეოდა.

აღსანიშნავია, რომ შალკელი მოედანზე თავის საქმეს ყოველთვის ძალიან კარგად აკეთებს, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ ძალიან რთული პიროვნებაა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ არ წაიყვანა იოგი ლიოვმა იგი ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე. ლიოვმა ჯონსი არც ამასწინანდელ აზიურ ტურნეზე იახლა, რის შემდეგაც, როგორც ჩანს, ფეხბურთელს მოთმინების ფიალა აევსო.

*„მიუხედავად იმისა, რომ „შალკეში" რეგულარულად ვთამაშობდი და თანაც, ძალიან კარგად, ლიოვი ყურადღებას აღარ მაქცევდა. ნამდვილად არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ „შალკეში" ამ სეზონშიც ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა სეზონი ფაქტობრივად ჩააგდო. არ მესმის და ვერასდროს გავიგებ, რატომ არ მიძახებდა ლიოვი ნაკრებში. ჩემთვის არავის უთქვამს, რალაც არ მოგვწონსო. მე ჩემს ავტორიტეტს ყველაზე და ყველაფერზე მაღლა ვაყენებ, მე ჩემი სიამაყე მაქვს,* - აცხადებს ჯონსი „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში, - *როგორც ჩანს, გერმანიის ნაკრების პროფილში არ ვჯდები, რადგან მე ყოველთვის ჩემი მოსაზრება მაქვს და თავს არავის დავუხრი. მე ვარ ისეთი ფეხბურთელი, რომელიც არავის მონა არ გახდება. ბუნდესგუნდში კი ასეთი ფეხბურთელი არ სჭირდებათ. ლიოვს არ უნდა ისეთი მოთამაშე, რომელიც მისი მონა არ იქნება. დღესდღეობით ბუნდესგუნდში მხოლოდ ორი ისეთი ფეხბურთელია, რომლებიც ხელმძღვანელებს არ ემონებიან: მიხაელ ბალაკი და ტორსტენ ფრინგსი. და როცა მათაც თავიანთი მოსაზრებები ხმამაღლა გამოთქვეს, სერიოზული პრობლემები შეექმნათ. სხვა ფეხბურთელები ყოველთვის ჩუმად არიან და ვერ აძლევენ საკუთარ თავს იმის უფლებას, რომ მოსაზრებები ხმამაღლა გამოთქვან. ასეთ გუნდში თამაში არ მინდა!"*

როგორც ხედავთ, სერიოზული ბრალდებებია. საინტერესოა, რა პასუხს გასცემს ლიოვი ჯონსის ამ განცხადებებს. თვითონ ჯერმეინი კი ამერიკელი ჯარისკაცის შვილია (გვარიც ამერიკული აქვს) და აშშ-ის მოქალაქეობაც აქვს, რის გამოც ამერიკის ნაკრებში თამაში თავისუფლად შეუძლია. ჯონსი: *„ამერიკელებს ძალიან უხარიათ, რომ მათ ნაკრებში ვითამაშებ. ჩემი მიზანი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობაა."*

შალკელმა თავისი გადაწყვეტილების შესახებ გერმანიის საფეხბურთო კავშირს 9 ივნისს ამცნო. ლიოვის კომენტარი: *„მისი გადაწყვეტილება მიღებულია. ჯერმეინს ამერიკის ნაკრებში წარმატებებს ვუსურვებ!"* დიდი შანსია, რომ გაისად, მუნდიალზე ჯონსმა და ლიოვმა ერთმანეთი ისევ ნახონ, ოღონდ მეტოქეების რანგში...



27 წლის ჯერმეინ ჯონსი
აშშ-ის პირველ გუნდში ითამაშებს

### რანგელოვი დორტმუნდშიო...

„ბილდის" ცნობით, ბულგარელი თავდამსხმელი **დიმიტარ რანგელოვი** მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულ „კოტბუსს" დატოვებს. „ენერგის" გენერალური მენეჯერის, **შტეფენ ჰაიდრიხის** თქმით, რანგელოვი ერთ-ერთ ბუნდესლიგურ კლუბში გადადის. „ბილდის" ცნობით, ლაპარაკია დორტმუნდის „ბორუსიაზე" (მოგეხსენებათ, ეს გუნდი ცენტრფორვარდს ეძებს). ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ „დორტმუნდი" მზადაა, რანგელოვის სანაცვლოდ „კოტბუსს" 1.2 მილიონი ევრო გადაუხადოს. „ენერგი" კი თანახმაა, ამ ფულად ბულგარელი ფორვარდი გაყიდოს. *„დიმიტარი დორტმუნდის „ბორუსიას" იდეალურად მოერგება,"* - ეს კი რანგელოვის მრჩევლის, ფალი რამადანის სიტყვებია.

მოსალოდნელი ტრანსფერი



ედინ ჯეკო

# ჯეკო მილანს მოურიგდაო...

## როსონერი ბოსნიელს არ ეშვება, გალიანი ვოლფსბურგში ჩავა, მგლები 30 მილიონს ითხოვენ

„მილანი" „ვოლფსბურგისა" და ბოსნიის ნაკრების თავდამსხმელ **ედინ ჯეკოს** არ ეშვება და როგორც ჩანს, გერმანიის ჩემპიონატის გასულ სეზონში 26 გოლის გამტანი თავდამსხმელი **კახა კალაძის** თანაგუნდელი გახდება. იტალიური „სკაისპორტის" ცნობით, ახალგაზრდა ბოსნიელმა გოლეადორმა „მილანთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. თუმცა ეს ცნობა ოფიციალურად არ დასტურდება.

რამდენიმე დღის წინ „მილანის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ლეონარდომ** განაცხადა, ჯეკო ძალიან მომწონსო. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ამ დღეებში ვოლფსბურგში ჩავა და „მგლების" ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებს გამართავს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ჯეკომ „ვოლფსბურგის" შეფებს უთხრა, „მილანში" გადასვლა მინდაო, რის შემდეგაც, გერმანიის ჩემპიონის შეფები მზად არიან, გალიანის უმასპინძლონ და მასთან მოლაპარაკებები გამართონ. „ვოლფსბურგი" ჯეკოს ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს სთავაზობს და ხელფასს უოთხმაგებს (2.3 მილიონი ევრო წელიწადში), მაგრამ ამ უკანასკნელს „მილანისკენ" მიუწევს გული. „როსონერი" ბოსნიელს წელიწადში 2 მილიონ ევროს (პლუს პრემიები) სთავაზობს. „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ვოლფსბურგელები ჯეკოს სანაცვლოდ 30 მილიონს ითხოვენ, „მილანი" კი მხოლოდ 20 მილიონის გადახდაზეა თანახმა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ფეხბურთელის სურვილი ითამაშებს და ცნობილია, რომ ჯეკოს „მილანში" გადასვლა უნდა. შესაბამისად, „ვოლფსბურგი" იძულებული ხდება, გოლეადორი იტალიურ გრანდს შედარებით იაფად დაუთმოს.

### ბორიელო ხურდად?

სხვადასხვა იტალიური გამოცემა იტყობინება, რომ „მილანი" მზადაა, „ვოლფსბურგს" ფულთან ერთად, თავდამსხმელი **მარკო ბორიელოც** შესთავაზოს. თუმცა მათთვის უცნობია, სურს თუ არა იტალიელ ფორვარდს გერმანიაში გადასვლა. იმის გათვალისწინებით, რომ „ვოლფსბურგის" ღირსებას ორი იტალიელი (**ანდრეა ბარძალი, კრისტიან ძაკარდო**) იცავს, წესით, ბორიელომ გერმანიის ჩემპიონში გადასვლაზე უარი არ უნდა თქვას. მით უმეტეს, რომ „მგლები" ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებენ. უნდა ითქვას, რომ ბორიელოს სხვა იტალიური კლუბებიც უხმობენ.

ამასობაში, ვოლფსბურგელებმა ჯეკოს სავარაუდო შემცვლელისთვის, „ჰამბურგში" მოთამაშე **მლადენ პეტრიჩისთვის** ბრძოლა განაახლეს. „მგლების" ფინანსების განმკარგველის, **იურგენ მარბახის** თქმით, თუ ჯეკო „ვოლფსბურგს" დატოვებს, „მგლები" პეტრიჩის გადასაბირებლად ყველაფერს გააკეთებენ.

ტრანსფერი

# ახალი ბატისტუტა გლადბახში

## რაულ ბობადილა ბორუსიას გოლეადორი უნდა გახდეს



რაულ ბობადილას ახალ ბატისტუტას უწოდებენ

როგორც მოსალოდნელი იყო, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" ციურიხის „გრასჰოპერსის" არგენტინელი თავდამსხმელი **რაულ ბობადილა** იყიდა. ამ უკანასკნელმა „ბორუსიასთან" კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, მიონხენგლადბახელებს ახალ **გაბრიელ ბატისტუტად** წოდებული ბობადილას ტრანსფერი 4 მილიონი ევრო დაუჯდათ.

*„ბობადილა კარზე დაგეშილი, შესანიშნავი თავდამსხმელია, რომელმაც უკვე არაერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიო ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია. რაულს უდიდესი პოტენციალი აქვს და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გუნდის მთავარი გოლეადორი იქნება,"* - აცხადებს „გლადბახის" სპორტული დირექტორი **მაქს ებერლი**. მასთან ერთად, შენაძენით ბედნიერია გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი **მიხაელ ფრონტცეკიც**.

*„დაპირებები ჩემი სტილი არ არის, მაგრამ ერთს კი ვიტყოდი: ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ გულშემატკივრების იმედები გავამართლო,"* - განუცხადა ბობადილამ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ბობადილას გარდა, მიონხენგლადბახელებმა კიდევ ერთი ახალწვეული წარადგინეს. „გლადბახს" მეორე ბუნდესლიგაში გავარდნილი „არმინიადან" **ტორბენ მარქსმა** მიაშურა (კონტრაქტი 2011 წლამდე). ებერლის თქმით, მარქსის სახით „ბორუსიამ" გამოცდილი ფეხბურთელი მიიღო, რომელიც გუნდს აუცილებლად გამოადგება. ბობადილა და მარქსი „გლადბახისთვის" მეოთხე და მეხუთე ახალწვეულები არიან. მანამდე „ბორუსიამ" შემდეგი მოთამაშეები გადაიბირა: **მარსელ მეეუვისი** (როდა), **რომან ნოიშტედტერი** (მაინცი) და **ტიმი როისი** (ალენი).

**გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა**

დიდი ტრანსფერის ექო

# ესაა, ბიჭო, პიკასო?!

როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელებმა შეიტყვეს, რომ „რეალმა“ „მილანისგან“ **კაკა** შეიძინა, შვებით ამოისუნთქესო, წერს ინგლისური პრესა. ინგლისის ჩემპიონებს ჰგონებიათ, რომ ბრაზილიელის სარეკორდო თანხად, 62 მილიონ ფუნტად ყიდვა მადრიდელებს მადას დაუცხრობდა და მათი პორტუგალიელი ვარსკვლავის, **კრისტიანო რონალდოს** გადაბირებას აღარ შეეცდებოდნენ. გახარებულებს რონალდოსთვის მესიჯიც გაუგზავნიათ. თურმე, სატელეფონო გზავნილზე ეწერა: „მომავალ სეზონამდე“. მაგრამ მოტყუვდნენ...

*„კრისტიანოს მადრიდში გადასვლაზე ბოლო დროს სულ ლაპარაკობდნენ, მაგრამ მას მერე, რაც „რეალმა“ კაკა იყიდა, ბიჭებს ეგონათ, რომ თემა ამოიწურა. ამიტომაც რონალდოს ტრანსფერმა ყველა პირდაღებული დატოვა“,* - უთხრა ჟურნალისტებს „იუნაიტედის“ ფეხბურთელებთან დაახლოებულმა ერთ-ერთმა პირმა, რომელმაც გვარის გამხელა არ ისურვა.

აღსანიშნავია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჩემპიონობისადმი მიძღვნილ ქეიფში რონალდომ რამდენიმე მეგობარს გაანდო, რომ ის მათთან აღარ ითამაშებდა.

*„იქნებ, ვინმესთვის შორიდან ისე ჩანდა, რომ კრისტიანო ბუნებით განდეგილი იყო და თანაგუნდელებს არ უყვარდათ, სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქით გახლდათ. იგი ფრიად მხიარული კაცია, სხვებსაც ხშირად აშაყირებდა და არც ის სწყინდა, მას თუ გააშაყირებდნენ. ფეხბურთელებს კრისის წასვლამ ნამდვილად დასწყვიტა გული და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოედანზე დიდი ძალა მოაკლდებათ, არამედ იმიტომაც, რომ მის ხუმრობებს მოისაკლისებენ“.*

აი, ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** კი „რეალში“ გადასულ ვარსკვლავს... „ფეხბურთის პიკასო“ უწოდა. ამასთან, ჰერ ბლატერი ბრძანებს, რომ ფეხბურთელის გვარიანმა სატრანსფერო თანხამ არავინ უნდა დაზაფროს.

*„დღეს, როდესაც მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს, ბაზარი მგრძნობიარეა,* - თქვა მსოფლიო ფეხბურთის შეფმა, თუმცა იქვე დასძინა - *მაგრამ, ჩვენ ამ ბაზარზე ფეხბურთის სახით იმდენად კარგი პროდუქტი გაგვაქვს, რომ მასზე მაინც დიდი მოთხოვნილებაა. ფეხბურთი სახალხო სპორტია. ის ემოციებით გახლავთ სავსე და მას რონალდოს ბადალი ვარსკვლავები სჭირდება“.*

თუ გახსოვთ, დაახლოებით ათი წლის წინ, როდესაც ლუიშ ფიგუ „ბარსელონადან“ „რეალში“ გადავიდა - ამ ტრანსფერის ღირებულება 37 მილიონი ფუნტი გახლდათ - ლონდონში, სოთბის აუქციონზე პიკასოს ტილო გაიყიდა 100 მილიონად. ის ტილო ხალხისთვის დაიმალა, ფეხბურთელი კი დღენიადაგ ყველას თვალწინაა. ასე რომ, ვერავინ იტყვის, რონალდო მეტისმეტად დიდ თანხად გაყიდულაო. ეს თანხა გარშემო ყველა პირობას აკმაყოფილებს. მოდი, ნუ დაგვენანება 80 მილიონ ფუნტად შეფასება იმ ადამიანისა, რომელიც ყოველდღიურად დიდ სიამოვნებას გვანიჭებს.

## კრემში ჩავარდნილი ბედნიერი კატა

ისე, გაინტერესებთ, როგორ გუნებაზეა რონალდო მას მერე, რაც „მანჩესტერ იუნაიტედს როგორც იქნა, უგანა და **ფლორენტინო პერესის** ახალ გალაქტიკოში ანუ „რეალში“ ენითაუწერელი თანხის, 80 მილიონი ფუნტის საფასურად გადავიდა? თუმცა, რა მიხვედრა ამას უნდა: დიდებულზე! მაგრამ, შესაძლოა თქვენ არ იცოდეთ, როგორ აღნიშნა პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ნისლიანი ინგლისიდან მზიურ ესპანეთში გადაბარგება. მოგახსენებთ: ამერიკაში, უფრო ზუსტად, ლოს ანჯელესში, კიდევ უფრო ზუსტად კი მის მდიდრულ და გაპრანჭულ უბან ბევერლი ჰილზში, არც მეტი, არც ნაკლები, **პერის ჰილტონთან** გააბა რომანი. პერის ჰილტონი რომ სასტუმროთა ქსელ, „ჰილტონის“ მფლობელთა დინასტიის შთამომავალი, უმდიდრესი და გვარიანად უსაქმური ქალია, ვფიქრობ, დიდი შეხსენება არ სჭირდება. ეს 28 წლის „სელებრითი“ ძირითადად სკანდალებით, მდიდრული წვეულებებით, ათასგვარი პრეზენტაციებით და „ხმაურიანი არაფრით“ გახლავთ ცნობილი, თუმცა აქა-იქ მსახიობობს კიდეც.

ერთი სიტყვით, რამდენიმე დღის წინ რონალდომ პერის ჰილტონთან რომანი გააბა და მსოფლიო ტაბლოიდების ყურადღების ცენტრშიც მოექცა. ჰოლივუდის კლუბში My House შემდგარი პირველი პაემნისა და ხსენებულ ტაბლოიდებში საკმაოდ დაწვრილებით აღწერილი ტურფას თავგადასავლიდან კი ერთი დღე-ღამეც არ იყო გასული, რომ ჰილტონმა შინ წვეულება გამართა და სტუმართა სიაში, რასაკვირველია, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი თავდამსხმელიც შეიყვანა.

როგორც ინგლისური ტაბლოიდი „სანი“ წერს, ფეხბურთის ვარსკვლავი ჰილტონიანთ ქეიფში შუაღამეს გადაცილებულზე მივიდა და დაახლოებით ერთი საათი დაჰყო. ვითომ გამდიდრებული და ცხვირაწეული, მაგრამ მაინც უბრალო პორტუგალიელი ბიჭისთვის ბევერლი ჰილზის საზოგადოება მაინც უცხო ადგილი აღმოჩნდა? ერთი სიტყვით, აწ უკვე მადრიდელს ახალი სატრფოსთვის პატივი ერთსაათიანი ვიზიტით უცია, შემდეგ კი თავის სასტუმროში დაბრუნებულა და ხუთ ძმაკაცთან ერთად გაუგრძელებია ქეიფი. იცით, „სანი“ რა დეტალებს იტყობინება? ბიჭებმა დილის 5 საათამდე ოთხი ბოთლი შამპანური და ფორთოხლის წვენი სვესო.

*„ის კრემში ჩავარდნილ ბედნიერ კატას ჰგავდა,* - უთქვამს რონალდოს ქეიფის შემსწრე დამსვენებელს, - *ძმაკაცებს თავის ისტორიებს უყვებოდა და ახალისებდა. რაც დრო გადიოდა, ბიჭები სულ უფრო და უფრო ხმამაღლა იცინოდნენ“.*

ტაბლოიდების ცნობით, პერის ჰილტონმა რონალდოს მოჩანგვლა პირველად იმ დღეს, My House-ში როდი სცადა. ამერიკელი ქალი პორტუგალიელი ვაჟის ეშხით თურმე ერთი წლის წინაც იწვოდა, მაგრამ მაშინ ამ საქმიდან არაფერი გამოსულია - როგორც ჩანს რონალდო მაგრად დადგა. გასულ ოთხშაბათს კი ჰილტონების საამაყო შთამომავალს ძველი ბოიფრენდი, ბეისბოლის ვარსკვლავი, **დაგ რაინჰარდტი** დიდი ჩხუბით გაუგდია და კრისს ისე მისძალებია. ქალის მეგობრები ამბობენ, პერისი ახალი სატრფოთი აღტაცებულიაო. ასე რომ, სანამ ესპანეთის „სამეფო კლუბში“ თავისი უშუალო მოვალეობის აღსასრულებლად გამოიძახებენ, კრისტიანო რონალდოს ერთხანს კიდევ შეუძლია ბევერლი ჰილზის სხივებში ბანაობა.



სასიკვდილო განაჩენი



# ერთ წელიწადში გაზა... მოკვდება

**პოლ გესქოინის** ახლო მეგობარმა, ინგლისის ერთ-ერთი ბალნეოლოგიური საავადმყოფოს ხელმძღვანელმა, **სტივენ პარდიუმ** საშინელი რამ თქვა - „გაზა“ გაისად მოკვდებაო. პარდიუს თქმით, დღეს გესქოინი უფრო ცუდ დღეშია, ვიდრე ლეგენდარული **ჯორჯ ბესტი** იყო სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე. საიდან იცის? ინგლისური ფეხბურთის ორივე დიდმა ვარსკვლავმა ავადმყოფობის პერიოდი მის ხელში გაიარა. და, რაოდენ შემზარავიც არ უნდა იყოს, პარდიუს ტყუილი წინასწარმეტყველება არ სჩვევია - 2005 წელს, როცა 59 წლის ბესტს გადანერგილმა ღვიძლმა უმტყუნა, ბალნეოლოგმა მასაც იგივე უწინასწარმეტყველა და როცა პარდიუს მიერ „დათქმული“ დრო გავიდა, დიდი მანჩესტერელი წუთისოფელს გამოესალმა.

დავუბრუნდეთ გაზას ამბავს. სტივენ პარდიუმ თავისი შავი კომენტარი 42 წლის გესქოინის ამასწინანდელ ცუდად გახდომას მოაყოლა - 90-იანი წლების ვარსკვლავი მატარებელში დაეცა და დავრდომილი ნიუკასლის ვაგზალზე უახლოესმა მეგობარმა, მისმა მუდმივმა თანმდევმა და ამით ცნობილმა **ჯიმი გარდნერმა**, მეტსახელად „ხუთლიპამ“, ვაგონიდან ხელით ჩამოიყვანა. ეს ამბავი პაპარაცებს უყურადღებოდ, ბუნებრივია, არ დარჩენიათ.

პარდიუ: *„ჯორჯზეც იმავეს ვამბობდი... თუ პოლი სწორედ ახლა, საბოლოოდ არ მოიკრებს ძალებს, ერთი წლის შემდეგ ცოცხალი აღარ იქნება. ეს ნამდვილი ტრაგედიაა. პოლი დიდებული ადამიანია, მაგრამ ეს ვერაფერს შეცვლის და რასაც ვამბობ, სწორედ ისე მოხდება. განსხვავება ჯორჯსა და პოლს შორის ის არის, რომ ჯორჯი უფროსი იყო და თან, მხოლოდ ლოთობდა. ის არასდროს ყოფილა თავგადაკლული მწეველი და არც სხვა მხამებს ეძალებოდა. შესაბამისად, მან შედარებით მეტხანს იცოცხლა. პოლს კი მალე აუცილებლად უმტყუნებენ ორგანოები“.*

50 წლის სტივენ პარდიუ ის ექიმი გახლავთ, რომელმაც გასულ იანვარსა და თებერვალში გესქოინს ჰემპშირში მდებარე **ტონი ადამსის** „სპორტული შანსის კლინიკაში“ სარეაბილიტაციო მკურნალობა დაუგეგმა და მოუწყო. ტონი ადამსი გემახსოვრებათ, გესქოინის დროს ინგლისის ნაკრების მცველი იყო, თბილისშიც კი აქვს ნათამაშევი. მან ლოთობას აჯობა და გზასაცდენილ სპორტსმენთა დასახმარებლად ზემოხსენებული კლინიკა გახსნა.

პარდიუ განაგრძობს: *„პოლმა დიდძალი დრო და ფული გაფლანგა. დღეს მას ჩემი ვალიც აქვს და კლინიკისაც. არ დავაზუსტებ, რამდენი. ჩვენი სარეაბილიტაციო ცენტრის ექიმები გაოცებულნი და გულდაწყვეტილნი არიან. მათ ხომ გაზას მკურნალობაში მთელი გული ჩააქსოვეს, მაგრამ რად გინდა. გესქოინმა საკუთარ თავსაც უღალატა და იმ ხალხსაც, ვინც მას გვერდში უდგას. როდესაც ბევრი ხელშემწყობი გყავს, ლოთობისა და ნარკომანობის დაძლევა უფრო იოლია და თუ ასეთ შანსს არ იყენებ, არ ინდომებ და შენსას არ იშლი, ნელ-ნელა სიმპათიას კარგავ“.*

ფეხბურთი ფეხბურთის შემდეგ

# მალდინიმ ინგლისური ჩინებულად იცის

## პაოლოს კარლო უხმობსო...

როგორც BBC-ი იტყობინება, არ არის გამორიცხული, „მილანის“ ლეგენდარულმა კაპიტანმა **პაოლო მალდინიმ** სამუშაოდ ლონდონს, კერძოდ კი „ჩელსის“ მიაკითხოს. ინგლისური წყაროების თანახმად, მალდინის, რომელმაც „სან სიროზე“ 25 წელიწადი გაატარა, „სტემფორდ ბრიჯზე“ გადასვლისკენ“ ყოფილი მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** უბიძგებს.

შეგახსენებთ, რომ 40 წლის მარცხენა მცველმა ფეხბურთის თამაშს თავი სულ ახლახან დაანება. „მილანში“ გატარებულმა წლებმა მას სერია A-ს ჩემპიონის შვიდი ტიტული და ჩემპიონთა თასზე ხუთგზის გამარჯვება მოუტანა.

დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ მალდინისა და „ჩელსის“ წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თუმცა, კერძოდ რა როლი დაეკისრება ვარსკვლავს, ჯერ ცნობილი არ არის. BBC-ის „რადიო 5“-ის წამყვანმა, **იან დენისმა** განაცხადა:

*„რამდენადაც შევიტყვე, პაოლო მალდინიმ, კარლო ანჩელოტიმ და რომან აბრამოვიჩმა პარასკევს „ჩელსის“ საწვრთნელ ცენტრში ილაპარაკეს. საუბარი ეხებოდა გენერალურ მენეჯერობას ან რეი უილკინსთან ერთად ანჩელოტის ასისტენტობას. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საბოლოო ვარიანტზე ჯერ არ შეთანხმებულან. მალდინიმ ფეხბურთის თამაშს თავი სულ ახლახან დაანება და არ არის გამორიცხული, ერთხანს დასვენებაც კი ამჯობინოს, თუმცა ის, რომ ანჩელოტის მისი გვერდში ამოყენება სურს, ფაქტია“.*

მნიშვნელოვანია, რომ „მილანის“ შემადგენლობაში 900-ზე მეტჯერ ნათამაშევმა ვარსკვლავმა, რომელსაც იტალიის ნაკრების მაისურა 126-ჯერ ჩაუცვამს, ინგლისური ჩინებულად იცის. მეორე მხრივ, ანჩელოტის რეი უილკინსის ასისტენტობის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ თანამემამულის მხარდაჭერაც სჭირდება. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ რამდენიმე თვეა, რაც „ჩელსიდან“ მცველთა მწვრთნელი **სტივ კლარკი** წავიდა. მან „ვესტ ჰემში“ **ჯანფრანკო ძოლას** ასისტენტობა იკისრა და შესაბამისად, „ჩელსის“ უბრალოდ კაცი აკლია.

გვერდი მოამზადა
**ლუკა სიხარულიძემ**

დანიშვნა

# მოუბრეიზე მოისაუბრეს

გლაზგოს „სელტიკის“ ახალი მწვრთნელი **ტონი მოუბრეი** იქნება. ეს მას მერე გახდა ცნობილი, რაც სქოთები მის სანაცვლოდ ინგლისურ „ვესტ ბრომვიჩისთვის“ 2 მილიონი ფუნტის გადახდას დაყაბულდნენ, - ასეთი გახლდათ საკომპენსაციო თანხა, რომელიც ვესტბრომვიჩელებმა თავიანთი მწვრთნელის სანაცვლოდ მოითხოვეს.

მოუბრეის გადაბირება „სელტიკს“ მას მერე სურდა, რაც მაისში **გორდონ სტრაჩანი** წაუვიდა. სტრაჩანის წასვლის მიზეზი კი ძნელი ამოსაცნობი არ არის - მისი ხელმძღვანელობით „სელტიკი“ შოტლანდიის ჩემპიონი ვერ გახდა და ტიტული მთავარ მოქიშპე „რეინჯერსს“ ერგო.

მოუბრეის ფეხბურთელობისას, 90-იან წლებში, „სელტიკში“ ოთხი სეზონი აქვს გატარებული. რაც შეეხება „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში“ მწვრთნელის რანგში განვლილ პერიოდს, ის უიღბლოც იყო და იღბლიანიც. კერძოდ, ვესტბრომვიჩელებმა, 2008 წლის გაზაფხულზე, პრემიერლიგაში თამაშის უფლება სწორედ ამ მწვრთნელის ხელმძღვანელობით მოიპოვეს, მაგრამ „ელიტურ საზოგადოებაში“ ვერ გაძლეს და გავარდნენ. მოუბრეის დახასიათებისთვის უპრიანია იმის თქმა, რომ იგი მრავალპასიანი, კომბინაციური ფეხბურთის მიმდევარი გახლავთ.

*„ჩვენ ტონის გაშვება არ გვინდოდა, რადგან „ვესტ ბრომვიჩს“ ორგანულად შეერწყა, მაგრამ შევატყვეთ თუ არა „სელტიკში“ გადასვლის სურვილი, დავყაბულდით. მხოლოდ საკომპენსაციო თანხა მოვითხოვეთ“,* - განაცხადა ინგლისური კლუბის თავმჯდომარემ **ჯერემი პირსმა**.

ამბობენ, მოუბრეის გლაზგოში თანაშემწეებად **მარკ ვინუსი** და **პიტერ გრანტი** გაჰყვებიანო.

UNDER21 CHAMPIONSHIP

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი. U21. შვედეთი



ბოიან კრკიჩი



თეო უოლკოტი



სებასტიან ჯოვინკო



მანუელ ნოიერი

# ახალგაზრდული ვარსკვლავთცვენა

დღეიდანშვედეთის ოთხი ქალაქის (ჰალმსტადი, გიოტებორგი, მალმიო, ჰელსინგბორგი) სტადიონზე ორი კვირის განმავლობაში საინტერესო მატჩები უნდა ჩატარდეს. ახალგაზრდებს (21-წლამდე) შორის ევროპის ჩემპიონატი სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს და ამ ორი კვირის განმავლობაში შვედეთიც საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცევა. ფინალურ ტურნირზე მონაწილეობის უფლება შვიდმა ნაკრებმა - ინგლისმა, ესპანეთმა, იტალიამ, გერმანიამ, სერბეთმა, ფინეთმა და ბელარუსმა მოიპოვა, შვედეთი კი მასპინძლის სტატუსით სარგებლობს. ტურნირის რეგლამენტი მარტივია: 8 გუნდი ორ ჯგუფად არის გაყოფილი და პირველ-მეორე ადგილზე გასულები ნახევარფინალში გადიან, იქ გამარჯვებულები კი ფინალურ წყვილს შეადგენენ.

ვიდრე წლევანდელ ჩემპიონატზე და, კონკრეტულად, მონაწილე გუნდებსა თუ მათ შანსებზე ვისაუბრებდეთ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა ამ გათამაშების ისტორიაზეც გვეთქვა...

1978 წლამდე ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება 23-წლამდე ფეხბურთელებს ჰქონდათ. სხვათა შორის, 1976 წელს, როცა ამ ასაკში ევროპის ჩემპიონი სსრკ-ის ახალგაზრდული ნაკრები გახდა, გუნდის ლიდერები **დავით ყიფიანი** და **ვლადიმერ გუცაევი** იყვნენ.

აი, 1978 წლიდან კი ევროპის ჩემპიონატი უკვე 21-წლამდე ფეხბურთელებს შორის ტარდებოდა. წინდაწინ უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა ტურნირზე ერთდროულად რამდენიმე ახალი ვარსკვლავის გამოჩენას ვხედავდით, ისეთი ვარსკვლავების, მერე უფრო მაღალ დონეზეც რომ გაიბრწყინეს. ამის დასტურად წინა რამდენიმე გათამაშების გახსენებაც კმარა.

პირველი ჩემპიონატი, რომელიც იუგოსლავიის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა, **ვახიდ ჰალილჰოჯიჩის** ბენეფისად იქცა. წარმოშობით ბოსნიელ ფორვარდს მერეც ჩინებული კარიერა ჰქონდა, ხოლო ახლა მწვრთნელად მუშაობს.




1980 წელს კი, ევროპის ჩემპიონი სსრკ-ის ნაკრები რომ გახდა, სხვებთან ერთად ოქროს მედლები თბილისის „დინამოს" ვარსკვლავებმა, **რამაზ შენგელიამ** და **ვიტალი დარასელიამაც** დაისაკუთრეს.

მომდევნო ორი ჩემპიონატი ინგლისელების ტრიუმფით აღინიშნა. 1986 წელს კი ყველა იტალიის გამარჯვებაზე ფიქრობდა. **აძელიო ვიჩინის** ხომ მართლაც ჩინებული ნაკრები ჰყავდა - **რობერტო მანჩინი, ვალტერ ძენგა, ჯუზეპე ჯანინი, ჯანლუკა ვიალი, რობერტო დონადონი**... თუმცა იტალიელები ფინალში პენალტების სერიაში დამარცხდნენ ესპანელებთან.

ორი წლის მერე უკვე **ერიკ კანტონასა** და **ლორან ბლანის** საფრანგეთის ნაკრებმა გაიმარჯვა. 1990 წელს კი ფავორიტი იყო იუგოსლავიის ნაკრები, სადაც **დავორ შუკერი, რობერტ პროსინეჩკი, ზვონიმირ ბობანი, პრედრაგ მიატოვიჩი** და **რობერტ იარნი** თამაშობდნენ, თუმცა ფინალში საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ. იმ დროს ჯერ არც იუგოსლავია იყო დაშლილი და არც სსრკ, ამიტომაც, ამ უკანასკნელის შემადგენლობაში, **ანდრეი კანჩელსკისის, იგორ დობროვოლსკის, იგორ კოლივანოვის, ალექსანდრ მოსტოვოისა** და **იგორ შალიმოვის** გვერდით, **კახა ცხადაძეც** თამაშობდა...

ამის მერე კი იტალიელთა ზეობის ხანა დადგა - პატარა „სკუადრა აძურამ" ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა 1994 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი, სადაც იტალიამ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა პორტუგალიის არანაკლებ ძლიერი გუნდი. გამარჯვებულთა შორის თამაშობდნენ: **ფრანჩესკო ტოლდო, კრისტიან პანუჩი, კრისტიან ვიერი** და **ფაბიო კანავარო**, ხოლო დამარცხებულებში - **ლუიშ ფიგუ, რუი კოშტა, ჟოაო პინტუ**...

არანაკლებ ძლიერი ნაკრები ჰყავდათ იტალიელებს 1996 წელს, როცა იმავე კანავაროს, **ფრანჩესკო ტოტისა** და **ალესანდრო ნესტას** წყალობით დრამატულ ბრძოლაში აჯობეს **რაულისა** და **ივან დე ლა პენიას** ესპანეთს. სამაგიეროდ, ესპანელებმა ორი წლის მერე შეძლეს ჩემპიონატის მოგება. ჩინებულად მოასპარეზე მეკარე **არნაუსთან** ერთად ეს წარმატება **გუტის, მიჩელ სალგადოსა** და **ხუან კარლოს ვალერონის** დიდი დამსახურებაც იყო.

...ბოლო ორი ჩემპიონატი ჰოლანდიელების ტრიუმფით აღინიშნა, თუმცა, ბევრისთვის მოულოდნელად, 2009 წლის ევროპირველობა „ნარინჯისფრების" გარეშე ჩაივლის. არა უშავს - 8 გუნდიდან, სულ მცირე, ოთხი ნაკრები ტურნირის უდავო ფავორიტია. ჯერ A ჯგუფზე ვთქვათ, სადაც იტალიას შედარებით სუსტი მოწინააღმდეგეები ჰყავს - მასპინძელი შვედეთის, სერბეთისა და ბელარუსის სახით. „აძურას" ყველაზე მეტჯერ აქვს მოპოვებული ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლები და ახლაც ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევა. ამის თქმის საბაბს კი იტალიის ნაკრების შთამბეჭდავი შემადგენლობა გვაძლევს. იტალიელთა მთავარ მწვრთნელ **პიერლუიჯი კაზირაგის** სწორედაც რომ ასარჩევად აქვს საქმე - **დომენიკო კრიშიტო** (ჯენოა), **მარკო მოტა** (რომა), **ლუკა ჩიგარინი** (ატალანტა), **პაოლო დე ჩელიე, კლაუდიო მარკიზიო** (ორივე იუვენტუსი), **რობერტ აკვაფრესკა** (კალიარი), **მარიო ბალოტელი** (ინტერი), **სებასტიან ჯოვინკო** (იუვენტუსი) და **ალბერტო პალოსკი** (პარმა). ისინი სერია A-ს კლუბებში უკვე წამყვან როლებს ასრულებენ. ეს კი არა, აქედან ზოგიერთს მალე უეჭველად ვიხილავთ იტალიის ეროვნულ ნაკრებშიც. აი, როგორც **ჯუზეპე როსის**, რომელსაც ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე უნდა ესასპარეზა, მაგრამ **მარჩელო ლიპიმ** ეროვნულ გუნდში, კონფედერაციათა თასზე სათამაშოდ უხმო.

რა თქმა უნდა, მასპინძელ შვედეთის ნაკრებს ჯგუფიდან გასვლას უწინასწარმეტყველებენ. ყველაზე ცნობილი ფეხბურთელები კი შვედებს ესენი ჰყავთ - **მარტინ ოლსონი** (ბლექბერნი), **რასმუს ელმი** (კალმარი), **ოლა ტოივონენი** (ეინდჰოვენი) და **მარკუს ბერგი** (გრონინგენი). ოთხივე - უკვე შვედეთის ეროვნულ ნაკრებშიც თამაშობენ და ახალგაზრდულის მწვრთნელთა დუეტს (**ტომი სოდერბერგი, იორგენ ლენარტსენი**) მათი ეიმედება.

ტრადიციულად, ძლიერი ნაკრები ჰყავთ სერბებსაც (სხვათა შორის, სერბეთი ზედიზედ მეოთხედ მონაწილეობს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე). განსაკუთრებით აღსანიშნავი კი ამ გუნდის სამი ლიდერია - **ზორან ტოშიჩი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **გოიკო კაჩარი** (ჰერტა) და **მირალემ სულეიმანი** (აიაქსი).

რაც შეეხება A ჯგუფის მეოთხე წარმომადგენელს, თვით ის ფაქტი, რომ ბელარუსის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდა, უკვე დიდი მიღწევაა. ამ გუნდში ყველაზე ცნობილი კი... მთავარი მწვრთნელი **იური კურნენინია**, 80-იანი წლების მინსკის „დინამოს" ერთ-ერთი ლიდერი.

ახლა გადავიდეთ B ჯგუფზე, სადაც ტურნირის სამივე ფავორიტიდან ერთ-ერთს, სამწუხაროდ, ყველა ვარიანტში ნაადრევად მოუწევს ჩემპიონატის დატოვება. ინგლისელებს ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატებზე 25 წელიწადია არ გაუმარჯვია. ახლა **სტიუარტ პირსის** გუნდს საამისოდ ჩინებული შანსი აქვს. წარსულში ინგლისის ნაკრების მარცხენა მცველმა ისეთ ფეხბურთელებზე შეაჩერა არჩევანი, აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარი კლუბის ძირითადში რომ თამაშობს - **მიკა რიჩარდსი** (მანჩესტერ სიტი), **ენდრიუ ტეილორი** და **ადამ ჯონსონი** (ორივე მიდლსბრო), **ჯეიმს მილნერი, კრეიგ გარდნერი, გაბრიელ აგბონლაორი** (ყველა ასტონ ვილა), **თეო უოლკოტი** (არსენალი). ინგლისის ახალგაზრდული ნაკრებიდან ზოგიერთი ეროვნული გუნდის წევრიცაა.

არანაკლებ შთამბეჭდავი შემადგენლობა ჰყავს ესპანეთსაც, თანაც, უკვე ტრადიციასავითაა, რომ ამ ქვეყნის ასაკობრივი ნაკრებები ნებისმიერი გათამაშების მთავარ ფავორიტებად მიიჩნევიან. ახლაც, ესპანეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ხუან რამონ ლოპეს კაროს** (რომელიც რამდენიმე წლის წინ მადრიდის „რეალს" ედგა სათავეში), მართლაც ჩინებული გუნდი ჰყავს **მიგელ ტორესი** (რეალი), **მარკ ტორეხონი** (ესპანიოლი), **რაულ გარსია** (ატლეტიკო), **ხავი გარსია** (რეალი), **დიეგო კაპელი** (სევილია), **ბოიან კრკიჩი** (ბარსელონა), **ჩისკო** (დეპორტივო)...

უცნაურია, მაგრამ ფაქტია - 1982 წლის მერე გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონობისთვის აღარ უბრძოლია. მაშინაც, **რუდი ფიოლერის** ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, გერმანელებმა ინგლისელ თანატოლებთან ვერაფერი გააწყვეს და მხოლოდ ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ახლა კი ნამდვილად შეუძლიათ, მაღალ მიზნებზე იფიქრონ, მით უფრო, რომ მთავარი მწვრთნელის, **ჰორსტ ჰრუბეშის** („ჰამბურგის" და გფრ-ს ნაკრების ყოფილი ცენტრფორვარდი, რომელსაც თბილისშიც უთამაშია და გოლიც გაუტანია) განკარგულებაში არაერთი ისეთი ფეხბურთელია, ბუნდესლიგაში წარმატებით რომ ასპარეზობს - მეკარე **მანუელ ნოიერი** (შალკე), მცველები - **მათიას ჰუმელსი** (დორტმუნდი), **ანდრეას ბეკი** (ჰოფენჰაიმი), ნახევარმცველები - **დანიელ ადლუნგი** (ვოლფსბურგი), **პატრიკ ებერტი** (ჰერტა), **მარკუს მარინი** (ვერდერი). თუმცა გერმანიის ახალგაზრდული ნაკრები სხვა მხრივაც არის საინტერესო. **დენის აოგო, ჟერომ ბოატენგი** (ორივე ჰამბურგი), **ფაბიან ჯონსონი** (მიუნხენ 1860), **გონსალო კასტრო** (ლევერკუზენი), **სამი ხედირა** (შტუტგარტი), **მესუთ იოზილი** (ვერდერი), **აშკან დეიაგა** (ვოლფსბურგი), **ჩინედუ ედე** (ჰერტა), **ანიზ ბენ-ჰათირა** (ჰამბურგი) - აბა, ამათზე შეიძლება ითქვას, რომ გერმანელები არიან?..

B ჯგუფის მეოთხე წარმომადგენელზე კი რა უნდა ვთქვათ - ფინეთის ნაკრებს, ბელარუსის მსგავსად, დიდი ამბიციები არ უნდა ჰქონდეს. თუმცა ახალგაზრდული ასაკის ტურნირებზე ფავორიტისა და აუტსაიდერის დაყოფა, ხშირ შემთხვევაში, პირობითია ხოლმე. აქედან გამომდინარე, გარკვეულ სიურპრიზებსაც უნდა ველოდოთ. ისე, მართლაც და, როდის იქნება, საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ ითამაშებს?

UNDER21 CHAMPIONSHIP Sweden 2009

UNDER21 CHAMPIONSHIP

# განაცხადები

## შვედეთი

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. იოჰან დალინი | 1986 | ლინი |
| 12. პერ ჰანსონი | 1986 | ჰელსინგბორგი |
| 23. კრისტოფ ნორდფელდტი | 1989 | ბრომაპოიკარნა |
| **მცველები** | | |
| 2. მიკაელ ლუსტიგი | 1987 | რუსენბორგი |
| 3. მატიას ბიორნსმირი | 1986 | გიოტებორგი |
| 4. რასმუს ბენგტსონი | 1986 | ტრელებორგი |
| 5. ემილ იოჰანსონი | 1986 | ჰამარბიუ |
| 6. პერ კარლსონი | 1986 | აიკ |
| 8. ანდრეა ლანდგრენი | 1989 | ჰელსინგბორგი |
| 17. მარტინ ოლსონი | 1988 | ბლეკბერნი |
| 22. ჯოელ ეკსტრანდი | 1989 | ჰელსინგბორგი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 10. დენი ავდიჩი | 1988 | ელფსბორგი |
| 13. გუსტავ სვენსონი | 1987 | გიოტებორგი |
| 14. გილერმო მოლინსი | 1988 | მალმიო |
| 15. ლაბინოტ ჰარბუცი | 1986 | მალმიო |
| 16. პიერ ბენგტსონი | 1988 | აიკ |
| 18. რასმუს ელმი | 1988 | კალმარი |
| 20. ემირ ბაირამი | 1988 | ელფსბორგი |
| 21. გაბრიელ იოზკანი | 1986 | აიკ |
| **თავდამსხმელები** | | |
| 7. ოლა ტოივონენი | 1986 | ეინდჰოვენი |
| 9. მარკუს ბერგი | 1986 | გრონინგენი |
| 11. რობინ სოდერი | 1991 | გიოტებორგი |
| 19. პონტუს ვერნბლომი | 1986 | გიოტებორგი |

*მწვრთნელი: ტომი სოდერბერგი*

## ბელარუსი

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. პაველ ჩესნოვსკი | 1986 | მტზ-რიპო |
| 12. არტიომ გომელკო | 1989 | ლოკომოტივი მ |
| 22. ანტონ კოვალევსკი | 1986 | ნაფტანი |
| **მცველები** | | |
| 2. ნიკოლაი ოსიპოვიჩი | 1986 | მტზ-რიპო |
| 3. ალექსანდრ მარტინოვიჩი | 1987 | დინამო მნ |
| 4. იგორ შიტოვი | 1986 | ტორპედო ჟოდ |
| 5. მაქსიმ ბორდაჩოვი | 1986 | მტზ-რიპო |
| 16. ოლეგ ვერეტილო | 1987 | დინამო მნ |
| 18. დმიტრი ვერხოვცოვი | 1986 | ნაფტანი |
| 19. ალექსეი იანუშკევიჩი | 1986 | ტორპედო ჟოდ |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6. სერგეი ბალანოვიჩი | 1987 | შახტიორი სოლ |
| 7. სერგეი კრივეცი | 1986 | ბატე |
| 8. ალექსანდრ ვოლოდკო | 1986 | ბატე |
| 11. მიხაილ აფანასიევი | 1986 | ამკარი |
| 13. ალექსანდრ საჩივკო | 1986 | მინსკი |
| 14. ანტონ პუტილო | 1987 | ჰამბურგი |
| 15. სერგეი კისლიაკი | 1987 | დინამო მნ |
| 17. სერგეი გიგევიჩი | 1987 | დინამო მნ |
| 21. მიხაილ სივაკოვი | 1988 | კალიარი |
| 23. ანდრეი ჩუხლეი | 1987 | დინამო მნ |
| **თავდამსხმელები** | | |
| 9. ლეონიდ კოველი | 1986 | სატურნი |
| 10. დმიტრი კომაროვსკი | 1986 | ნაფტანი |
| 20. ვლადიმირ იურჩენკო | 1989 | სატურნი |

*მწვრთნელი: იური კურნენინი*

## ინგლისი

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. ჯო ჰარტი | 1987 | მანჩ სიტი |
| 13. ჯო ლიუისი | 1987 | პიტერბორო |
| 22. სკოტ ლოუჩი | 1988 | უოტფორდი |
| **მცველები** | | |
| 2. მარტინ კრეინი | 1986 | პორტსმუთი |
| 3. ენდრიუ ტეილორი | 1986 | მიდლოსბრო |
| 5. რიჩარდ სტირმენი | 1987 | ვულვზი |
| 6. ნედუმ ონუოა | 1986 | მანჩ სიტი |
| 16. ჯეიმს ტომკინსი | 1989 | ვესტ ჰემი |
| 17. მიკა რიჩარდსი | 1988 | მანჩ სიტი |
| 18. მაიკლ მენსიენი | 1988 | ჩელსი |
| 19. კირან გიბსი | 1989 | არსენალი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 4. ლი კოტერმოლი | 1988 | ვიგანი |
| 7. ჯეიმს მილნერი | 1986 | ასტონ ვილა |
| 8. კრეიგ გარდნერი | 1986 | ასტონ ვილა |
| 10. მარკ ნობლი | 1987 | ვესტ ჰემი |
| 11. ადამ ჯონსონი | 1987 | მიდლსბრო |
| 12. ფაბრის მუამბა | 1988 | ბოლტონი |
| 15. ჯეკ როდუელი | 1991 | ევერტონი |
| 20. ენდრიუ დრაივერი | 1987 | ჰართსი |
| 23. დენი როუზი | 1990 | ტოტენჰემი |
| **თავდამსხმელები** | | |
| 9. გაბრიელ აგბონლაორი | 1986 | ასტონ ვილა |
| 14. თეო უოლკოტი | 1989 | არსენალი |
| 21. ფრეიზერ კემპბელი | 1987 | მანჩესტერ იუნ |

*მწვრთნელი: სტიუარტ პირსი*

## ფინეთი

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 1. ანსი იააკოლა | 1987 | სიენა |
| 23. იუკა ლეჰტოვაარა | 1988 | ტპს |
| 12. იონ მასალინი | 1986 | ჰამ კამი |
| **მცველები** | | |
| 2. ვილე იალასტო | 1986 | ალესუნდი |
| 3. იუკა რაიტალა | 1988 | ჰიკ |
| 4. იონას პორტინი | 1986 | ასკოლი |
| 5. ტუომო ტურუნენი | 1987 | ჰონკა |
| 14. იონი აჰო | 1986 | ინტერ ტურკუ |
| 21. პეტრი ვალიანენი | 1987 | ჰაკა |
| 22. იიონა ტოივიო | 1988 | ალკმაარი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6. ტიმ სპარვი | 1987 | ჰალმსტადი |
| 7. კასპერ ჰამალაინენი | 1986 | ტპს |
| 8. მეჰმეთ ჰეთემაი | 1987 | პანიონიოსი |
| 10. ნიკოლას ოტარუ | 1986 | ჰონკა |
| 13. პირი კერკეინენი | 1986 | ჰიკ |
| 15. ილარი აიიალა | 1988 | მიუპა |
| 16. პერპარიმ ჰეთემაი | 1986 | აეკ |
| 17. იუჰა ჰაკოლა | 1987 | ჰერაკლესი |
| 18. იუსი ვასარა | 1987 | ჰონკა |
| **თავდამსხმელები** | | |
| 9. ბერათ სადიქი | 1986 | არმინია |
| 11. იარნო პარიკა | 1986 | ჰიკ |
| 19. ალექსანდრ კოკო | 1987 | ჰონკა |
| 20. ტეემუ პუკი | 1990 | სევილია |

*მწვრთნელი: მარკუ კანერვა*

## გერმანია

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. მანუელ ნოიერი | 1986 | შალკე |
| 12. ფლორიან ფრომლოვიცი | 1986 | ჰანოვერი |
| 23. ტობიას ზიპელი | 1988 | კაიზერი |
| **მცველები** | | |
| 2. ანდრეას ბეკი | 1987 | ჰოფენჰაიმი |
| 3. სებასტიან ბიონიში | 1987 | ვერდერი |
| 4. ბენედიკტ ჰიოვედესი | 1988 | შალკე |
| 5. ჟერომ ბოატენგი | 1988 | ჰამბურგი |
| 6. დენის აოგო | 1987 | ჰამბურგი |
| 14. ფაბიან იონსონი | 1987 | მიუნხენ 1860 |
| 15. მატს ჰუმელსი | 1988 | ბორუსია დ |
| 16. დანიელ შვააბი | 1988 | ფრაიბურგი |
| 21. მარსელ შმელცერი | 1988 | ბორუსია დ |
| **ნახევარმცველები** | | |
| 7. პატრიკ ებერტი | 1987 | ჰერტა |
| 8. სამი ხედირა | 1987 | შტუტგარტი |
| 10. მესუთ იოზილი | 1988 | ვერდერი |
| 17. დენის გროტე | 1986 | ბოხუმი |
| 18. დანიელ ადლუნგი | 1987 | ვოლფსბურგი |
| 19. ანიზ ბენ-ჰათირა | 1988 | ჰამბურგი |
| 20. გონსალო კასტრო | 1987 | ლევერკუზენი |
| **თავდამსხმელები** | | |
| 9. აშკან დეიაგა | 1986 | ვოლფსბურგი |
| 11. მარკო მარინი | 1989 | ბორუსია მ |
| 13. სანდრო ვაგნერი | 1987 | დუისბურგი |
| 22. ჩინედუ ედე | 1988 | ჰერტა |

*მწვრთნელი: ჰორსტ ჰრუბეში*

## იტალია

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. ანდრეა კონსილი | 1987 | ატალანტა |
| 12. სალვატორე სირიგუ | 1987 | ანკონა |
| 22. ანდრეა სეკულინი | 1990 | ფიორენტინა |
| **მცველები** | | |
| 2. მარკო მოტა | 1986 | რომა |
| 3. მარკო ანდრეოლი | 1986 | სასუოლო |
| 4. დომენიკო კრიშიტო | 1986 | ჯენოა |
| 6. ლინო მარძორატი | 1986 | ემპოლი |
| 13. ანდრეა რანოკია | 1988 | ბარი |
| 14. ფრანჩესკო პიზანო | 1986 | კალიარი |
| 15. სალვატორე ბოკეტი | 1986 | ჯენოა |
| **ნახევარმცველები** | | |
| 5. პიერმარიო მოროზინი | 1986 | ვიჩენცა |
| 7. ინიაციო აბეტე | 1986 | ტორინო |
| 8. კლაუდიო მარკიზიო | 1986 | იუვენტუსი |
| 11. პაოლო დე ჩელიე | 1986 | იუვენტუსი |
| 16. ანტონიო კანდრევა | 1987 | ლივორნო |
| 17. ანდრეა პოლი | 1989 | სასუოლო |
| 21. ლუკა ჩიგარინი | 1986 | ატალანტა |
| 23. დანიელე დესენა | 1987 | სამპდორია |
| **თავდამსხმელები** | | |
| 9. რობერტ აკვაფრესკა | 1987 | კალიარი |
| 10. სებასტიან ჯოვინკო | 1987 | იუვენტუსი |
| 18. ალესიო ჩერჩი | 1987 | ატალანტა |
| 19. ალბერტო პალოსკი | 1990 | პარმა |
| 20. მარიო ბალოტელი | 1990 | ინტერი |

*მწვრთნელი: პიერლუიჯი კაზირაგი*

## ესპანეთი

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. რობერტო ხიმენესი | 1986 | რეკრეატივო |
| 13. სერხიო ასენხო | 1989 | ვალიადოლიდი |
| 23. ანტონიო ადანი | 1987 | რეალი |
| **მცველები** | | |
| 2. მიგელ ტორესი | 1986 | რეალი |
| 3. ნაჩო მონრეალი | 1986 | ოსასუნა |
| 5. მარკ ტორეხონი | 1986 | ესპანიოლი |
| 12. სესარ ასპლიკუეტა | 1989 | ოსასუნა |
| 14. სერხიო სანჩესი | 1986 | ესპანიოლი |
| 15. ხოსე ფლორესი | 1987 | ალმერია |
| 16. ივან მარკანო | 1987 | რასინგი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6. ხავი მარტინესი | 1988 | ბილბაო |
| 7. სისი გონსალესი | 1986 | რეკრეატივო |
| 8. რაულ გარსია | 1986 | ატლეტიკო |
| 10. ხოსე ხურადო | 1986 | მალიორკა |
| 11. ესტებან გრანერო | 1987 | ხეტაფე |
| 18. მარიო სანჩესი | 1987 | მალიორკა |
| 22. პედრო ლეონი | 1986 | ვალიადოლიდი |
| **თავდამსხმელები** | | |
| 4. ხავი გარსია | 1987 | რეალი |
| 9. ბოიან კრკიჩი | 1990 | ბარსელონა |
| 17. დიეგო კაპელი | 1988 | სევილია |
| 19. ფრანსისკო ხიმენესი | 1986 | ნიუკასლი |
| 20. ჯონათან პერეირა | 1987 | რასინგი |
| 21. ადრიან ლოპესი | 1988 | მალაგა |

*მწვრთნელი: ხუან ლოპეს კარო*

## სერბეთი

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. ჟელკო ბრკიჩი | 1986 | ვოივოდინა |
| 12. ბოიან სარანოვი | 1987 | ოფკ |
| 22. ჟივკო ჟივკოვიჩი | 1989 | მეტალაკი |
| **მცველები** | | |
| 2. მარკო იოვანოვიჩი | 1988 | პარტიზანი |
| 4. გოიკო კაჩარი | 1987 | ჰერტა |
| 5. ნიკოლა პეტკოვიჩი | 1986 | აინტრახტი |
| 13. ივან ობრადოვიჩი | 1988 | პარტიზანი |
| 14. ნენად ტომოვიჩი | 1987 | ჯენოა |
| 15. ნემანია პეჩინოვიჩი | 1987 | ცრვენა ზვეზდა |
| 18. მარკო მილინკოვიჩი | 1988 | კოშიცე |
| 19. რაიკო ბრეჟანჩიჩი | 1989 | პარტიზანი |
| 21. მილან ვილოტიჩი | 1986 | ჩუკარიჩკი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 3. ლიუბომირ ფეიზა | 1988 | პარტიზანი |
| 6. ნიკოლა გულანი | 1989 | მიუნხენ 1860 |
| 7. მილან სმილიანიჩი | 1988 | ესპანიოლი |
| 11. ზორან ტოშიჩი | 1987 | მანჩესტერ იუნ |
| 17. ნემანია მატიჩი | 1988 | კოშიცე |
| 20. დუშან ტადიჩი | 1988 | ვოივოდინა |
| 22. ნემანია ტომიჩი | 1988 | პარტიზანი |
| **თავდამსხმელები** | | |
| 8. რადე ველიოვიჩი | 1986 | კლუჟი |
| 9. სლავკო პეროვიჩი | 1987 | ნანტი |
| 10. მილარემ სულეიმანი | 1988 | აიაქსი |
| 16. იაგოშ ვუკოვიჩი | 1988 | რად |

*მწვრთნელი: სლობოდან კრჩმარევიჩი*

# განრიგი

**ჯგუფური ეტაპი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.06 | B | ინგლისი-ფინეთი | 20:15 |
| 15.06 | B | ესპანეთი-გერმანია | 22:45 |
| 16.06 | A | შვედეთი-ბელარუსი | 20:15 |
| 16.06 | A | იტალია-სერბეთი | 22:45 |
| 18.06 | B | გერმანია-ფინეთი | 20:15 |
| 18.06 | B | ესპანეთი-ინგლისი | 22:45 |
| 19.06 | A | შვედეთი-იტალია | 18:00 |
| 19.06 | A | ბელარუსი-სერბეთი | 20:15 |
| 22.06 | B | ფინეთი-ესპანეთი | 22:45 |
| 22.06 | B | გერმანია-ინგლისი | 22:45 |
| 23.06 | A | სერბეთი-შვედეთი | 22:45 |
| 23.06 | A | ბელარუსი-იტალია | 22:45 |

**1/2 ფინალი**

**26 ივნისი**

**A 1 – B 2**
**B 1 – A 2**

**ფინალი**

**29 ივნისი**

**ყველა ჩემპიონი**

| | |
|---|---|
| 1978 | იუგოსლავია |
| 1980 | სსრკ |
| 1982 | ინგლისი |
| 1984 | ინგლისი |
| 1986 | ესპანეთი |
| 1988 | საფრანგეთი |
| 1990 | სსრკ |
| 1992 | იტალია |
| 1994 | იტალია |
| 1996 | იტალია |
| 1998 | ესპანეთი |
| 2000 | იტალია |
| 2002 | ჩეხეთი |
| 2004 | იტალია |
| 2006 | ჰოლანდია |
| 2007 | ჰოლანდია |

**საუკეთესო ფეხბურთელი**

| | |
|---|---|
| 1978 | ვახიდ ჰალილჰოჯიჩი (იუგოსლავია) |
| 1980 | ანატოლი დემიანენკო (სსრკ) |
| 1982 | რუდი ფიოლერი (გფრ) |
| 1984 | მარკ ჰეიტლი (ინგლისი) |
| 1986 | მანუელ სანჩისი (ესპანეთი) |
| 1988 | ლორან ბლანი (საფრანგეთი) |
| 1990 | დავორ შუკერი (იუგოსლავია) |
| 1992 | რენატო ბუზო (იტალია) |
| 1994 | ლუიშ ფიგუ (პორტუგალია) |
| 1996 | ფაბიო კანავარო (იტალია) |
| 1998 | ფრანსესკ არნაუ (ესპანეთი) |
| 2000 | ანდრეა პირლო (იტალია) |
| 2002 | პეტერ ჩეხი (ჩეხეთი) |
| 2004 | ალბერტო ჯილარდინო (იტალია) |
| 2006 | კლაას-იან ჰუნტელაარი (ჰოლანდია) |
| 2007 | როისტონ დრენტე (ჰოლანდია) |

გვერდები მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

# უცხოური ფეხბურთი

## იტალია
### სერია A/B
პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ბრეშია-ლივორნო | 2:2 |

### სერია C
პლეი ოფი

| | |
|---|---|
| რიმინი-ანკონა | 0:1 |
| კროტონე-ბენევენტო | 1:1 |
| პადოვა-პროპატრია | 0:0 |

## ესპანეთი
### II დივიზიონი
XXXXI ტური

| | |
|---|---|
| ალავესი-ალიკანტე | 1:0 |
| ხირონა-ტენერიფე | 0:1 |
| ჰერკულესი-ალბასეტე | 4:1 |
| ლას პალმასი-ვალეკანო | 0:0 |
| სევილია II-სელტა | 0:0 |
| ხერესი-უესკა | 2:1 |
| სარაგოსა-კორდობა | 3:1 |
| მურსია-სალამანკა | 2:1 |
| სოსიედადი-ლევანტე | 1:1 |
| კასტელიონი-ეიბარი | 4:0 |
| ხიმნასტიკი-ელჩე | 2:0 |

## დანია
### II დივიზიონი
XXX ტური

| | |
|---|---|
| ნაესტვედი-ნიკობინგი | 1:0 |
| აკადემისკი-ფრედერისია | 1:2 |
| ფრემი-ვიბორგი | 0:6 |
| ჰერფოლგე-ჰვიდოვრე | 3:2 |
| ლუნგბიუ-როსკილდე | 2:3 |
| სკივე-კიოლდინგი | 3:0 |
| ტისტედი-სილკებორგი | 1:2 |

## ფინეთი
X ტური

| | |
|---|---|
| კუოპიო-მიუპა | 0:2 |
| იარო-როვანიემი | 2:0 |
| ლაჰტი-მარიეჰამნი | 1:1 |

### II დივიზიონი
IX ტური

კლუბი04-კიისტო 4:1; ატლანტისი-ჰამეენლინა 1:2; პოპა-ტპ47 5:1; კემი-ტპვ ტამპერე 4:0.

## ისლანდია
VII ტური

| | |
|---|---|
| ფიოლნირი-ფილკირი | 1:3 |
| გრინდავიკი-ჰაფნარი | 0:3 |
| რეიკიავიკი-კეფლავიკი | 4:1 |
| სტიარნანი-ფრამი | 4:1 |
| ტროტური-ვესტმანაეიარი | 2:1 |
| ბრეიდაბლიკი-ვალური | დღეს |

## ნორვეგია
XIII ტური

| | |
|---|---|
| როსენბორგი-სტრიომსგოდსეტი | 3:0 |
| ოლესუნდი-ვიკინგი | 0:1 |
| ბრანი-ლინი | 2:1 |
| ლილესტრიომი-ფრედრიკსტადი | 4:2 |
| ოდ გრენლანდი-ბოდო გლიმტი | 4:0 |
| ტრომსიო-სანდეფიორდი | 1:1 |
| ვოლერენგა-სტაბეკი | 0:1 |
| სტარტი-მოლდე | დღეს |

### II დივიზიონი
XI ტური

ჰიონეფოსი-ჰამ კამი 1:1; ბრინი-კონგსვინგერი 1:0; ჰაუგესუნდი-ლოვ ჰამი 3:1; მიონდალენი-სტავანგერი 0:0; ნილი-ტრიომსდალენი 1:1; ნოტოდენი-სიოგნდალი 0:2; სარპსბორგი-მოსი 2:0; სკეიდი-ალტა 2:4.

## შვედეთი
### II დივიზიონი
XII ტური

| | |
|---|---|
| ანგელჰოლმი-სირიანსკა | 3:1 |
| ნორჩოპინგი-ლანდსკრონა | 2:4 |
| სირიუსი-ატვიდაბერგი | 1:1 |
| ვასბი-სუნდსვალი | 1:2 |
| ფალკენბერგი-იონჩოპინგი | 1:0 |
| ასირისკა-ლიუნგსკილე | 2:1 |
| მიალბიუ-ვასალუნდსი | 6:0 |
| კვიდინგი-ტროლჰატანი | 1:3 |

## შვეიცარია
### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ლუცერნი-ლუგანო | 5:0 |

## ბულგარეთი
XXX ტური

| | |
|---|---|
| ცსკა-ლოკომოტივი (მ) | 2:1 |
| ლოკომოტივი (პ)-ბოტევი | 3:0 |
| მინიორი-ჩერნო მორე | 2:2 |
| პირინი-ლევსკი | 1:1 |
| სლავია-ლოკომოტივი (ს) | 2:2 |
| სლივენი-ბელასიცა | 0:2 |
| სპარტაკი-ლიტექსი | 0:4 |
| ვიხრენი-ჩერნომორეცი | 3:5 |

## ხორვატია
### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| კროაცია-დრაგოვოლიაცი | 2:1 |

## პოლონეთი
### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| კორონა-კრაკოვია | გადაიდო |

## რუმინეთი
### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| კლუჟი-ტიმიშოარა | 3:0 |

## რუსეთი
XII ტური

| | |
|---|---|
| რუბინი-როსტოვი | 0:2 |
| სპარტაკი-ხიმკი | 1:0 |
| დინამო-ყუბანი | 1:1 |
| ტერეკი-კრილია | 3:3 |
| ტომი-ამკარი | 1:2 |
| მოსკოვი-ცსკა | 2:0 |
| სატურნი-ლოკომოტივი | 2:0 |
| ნალჩიკი-ზენიტი | 2:2 |

### II დივიზიონი
XV ტური

ლ. ენერგია-ჩერნომორეცი 2:0; ჩიტა-ვოლგა 3:2; სკა ენერგია-კრასნოდარი 1:1; ურალი-ანჟი 0:2; მედ-კამაზ 1:3; სიბირი-გაზპრომი 4:0; მეტალურგი-ვიტიაზი 0:3; ალანია-ბალტიკა 1:2; ნიჟნი ნოვგოროდი-შინიკი 0:1; სალუტი-ნოსტა 2:0.

## არგენტინა
### კლაუსურა
XVII ტური

| | |
|---|---|
| ბანფილდი-ინდეპენდიენტე | 5:0 |
| კოლონი-ხიმნასია (ლ) | 2:0 |
| რივერი-ტიგრე | 3:1 |
| არსენალი-ლანუსი | 4:1 |
| ველესი-ნიუელსი | 2:0 |
| ესტუდიანტესი-გოდოი | 1:0 |
| სან ლორენსო-ურაკანი | 0:1 |
| სან მარტინი-ხიმნასია (ხ) | 0:1 |
| რასინგი-ბოკა | 3:0 |
| როსარიო-ა. ხუნიორსი | გვ. დასრულდა |

## ბრაზილია
VI ტური

| | |
|---|---|
| ბოტაფოგო-სანტოსი | 2:0 |
| სან პაულუ-სანტო ანდრე | 1:1 |
| სპორტ რესიფე-ატ. პარანაენსე | 0:1 |
| ატ. მინეირო-ნაუტიკო | 3:0 |
| კურიტიბა-ფლამენგო | 5:0 |
| ფლუმინენსე-გრემიო | 0:0 |
| გოიაში-კორინთიანსი | 0:0 |
| ბარუერი-ავაი | გვ. დასრულდა |
| ინტერი-ვიტორია | გვ. დასრულდა |
| პალმეირასი-კრუზეირო | გვ. დასრულდა |

## ჩილე
### აპერტურა
პლეი ოფი

| | |
|---|---|
| იტალიანო-უნ. ჩილე | 1:4 |
| ო'ჰიგინსი-უნ. ესპანიოლა | 1:1 |
| მუნისიპალი-ევერტონი | 2:2 |
| უ. კატოლიკ-ს. მორნინ | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია
### აპერტურა
პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ონსე კალდასი-ტოლიმა | 2:0 |
| ჩიკო-ლა ეკვიდადი | 1:0 |
| ატ. ხუნიორი-კუკუტა | 3:0 |
| დეპ. კალი-ენვიგადო | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი
### აპერტურა
XVIII ტური

| | |
|---|---|
| მანტა-ესპოლი | 2:1 |
| ტექ. უნივერსიტარიო-პორტოვიეხო | 2:2 |
| დეპ. კიტო-ლიგა დე კიტო | 1:1 |
| ბარსელონა-ემელეკი | 0:1 |
| ოლმედო-დეპ. მაკარა | 3:3 |
| დეპ. კუენკა-ელ ნასიონალი | 1:0 |

## პერუ
### აპერტურა
XVII ტური

| | |
|---|---|
| ინტი გასი-ხუან აურიჩი | 0:0 |
| ტოტალ ჩალაკო-მელგარი | 3:2 |
| სპორტ ანკაში-უნ. პერუ | 1:2 |
| ალ. ატლეტიკო-სპ. კრისტალი | 0:2 |
| სიენსიანო-ხოსე გალვესი | 1:0 |
| სან მარტინი-სპორტი | 1:1 |
| კოლეგ.-სესარ ვალეხო | გვ. დასრულდა |
| ალ. ლიმა-ბოლონესი | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი
### კლაუსურა
XV ტური

| | |
|---|---|
| ნასიონალი-სენტრალი | 0:3 |
| სერო ლარგო-რამპლა | 1:1 |
| სერო-ბელა ვისტა | 3:0 |
| ხუვენტუდი-დეფენსორი | 1:2 |
| მონტევიდეო-რასინგი | 2:2 |
| პენიაროლი-დანუბიო | 3:1 |
| რივერი-ლივერპული | 1:2 |

## აშშ
XII ტური

| | |
|---|---|
| დი სი იუნაიტედი-ჩიკაგო | 2:1 |
| ტორონტო-ნიუ იორკი | 2:1 |
| დალასი-ჰიუსტონი | 1:3 |
| კანზასი-ნიუ ინგლენდი | 3:1 |
| ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი | 0:2 |
| სიეტლი-სან ხოსე | 2:1 |
| კოლამბუსი-ჩივასი | 2:1 |

კონფლიქტი

# როგორ გამოექიდა კრაუჩი პაერში...

ეროვნული ბიბლიოთეკა



**პიტერ კრაუჩმა** შესაძლოა „პორტსმუთის" კარი გამოიჯახუნოს... ან გამოაჯახუნებინონ. მიზეზი? თავდამსხმელმა საკუთარ კლუბს საჯაროდ შეუტია. კერძოდ, მან განაცხადა, რომ სადღეისოდ „ფრატონ პარკზე" დიდი არეულობაა - გაუგებარია, ვინ არის მწვრთნელი, ვინ არის მეპატრონე და ვინ არიან ფეხბურთელები. კრაუჩს არ სჯერა, რომ „პომპეი" (პორტსმუთელთა მეტსახელი გახლავთ) ნაგვიანევ, მაგრამ რადიკალურ ნაბიჯებს გადადგამს და კლუბში მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვლება. ერთი სიტყვით, ინგლისის ნაკრების ისტორიაში ყველაზე მაღალი ფეხბურთელი 2 მეტრისა და 1 სანტიმეტრის სიმაღლიდან სასიკეთოს ვერაფერს ხედავს და ზემოხსენებული მკაცრი განცხადებებით, როგორც ჩანს, საკუთარ ტრანსფერსაც ამზადებს - ცნობილია, რომ ფორვარდს გულსა და ხელფასს „პორტსმუთზე" გაცილებით მაღლა მდგომი გუნდები სთავაზობენ. მათ რიცხვში „ტოტენჰემ ჰოთსპურიც" გახლავთ.

აღსანიშნავია, რომ მას მერე, რაც ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში, გასულ ოთხშაბათს, ანდორას გოლი შეუგდო, კრაუჩი შებულებაშია თუმცა, „პორტსმუთის" მისამართით ნათქვამი მწარე სიტყვების გამო, ზოგი მიმომხილველის აზრით, კლუბის ოფისში დაბრუნებულს აუცილებლად მოუწევს გულახდილი საუბარი. თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს: ვის უნდა ელაპარაკოს?

*„სეზონი რომ დასრულდა, 15 ფეხბურთელს კონტრაქტის ვადა ამოეწურა. ასეთ დროს, ვითარებაში გასარკვევად საჭიროა მწვრთნელი, მაგრამ ჩვენ მისი ვინაობა არ ვიცით. მეტსაც გეტყვით, ჩვენ არც ის ვიცით, ვინ არის „პორტსმუთის" მეპატრონე. ასე რომ, ყველანი ერთმანეთს შევყურებთ და ვერ მივმხვდარვართ, რა შეიძლება მოხდეს ამ ზაფხულს. არადა, მე ამ კითხვებზე პასუხები ძალიან მჭირდება"* - შფოთავს კრაუჩი.

კრაუჩს, რასაკვირველია, თავისი წილი სიმართლე აქვს. დაახლოებით ერთი წლის წინ, როდესაც „პორტსმუთთან" 11-მილიონიან ხელშეკრულებას აფორმებდა, ყველაფერი სხვანაირად ჩანდა.

*„მართალი გითხრათ, ძალიან იმედგაცრუებული ვარ,* - განაგრძობს კრაუჩი, - *ჩვენ გვყავდა მწვრთნელი, ჰარი რედნაპი. აქ იყვნენ ჯერმან დეფო და ლასანა დიარა. გუნდი ევროპულ შეჯიბრებაში გამოდიოდა და პერსპექტივას ვგრძნობდით. სამწუხაროდ, წინ წასვლის ნაცვლად ყველაფერი უკან წავიდა. მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს. მალე უნდა ვიყიდოთ ახალი ფეხბურთელები. გუნდი უნდა გაძლიერდეს და მართალია, არ ვიცი, მეპატრონე ვინ არის, იმედი მაქვს, მას ამის გაკეთება შეუძლია".*

რაც შეეხება „პორტსმუთის" მეპატრონის ვინაობას, აქ, კრაუჩი შესაძლოა ცოტას ამლაშებდეს, რადგან საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ეს ინგლისური კლუბი არაბთა გაერთიანებული საემიროების მოქალაქემ, მავანმა ბიზნესმენმა **სულეიმან ალ-ფაჰიმმა** შეიძინა, თუმცა მეტი არავინ არაფერი იცის. და, როგორც ჩანს, არც ისაა ცნობილი, რას აპირებს ეს კაცი. *„ერთ რამეს დანამდვილებით გეტყვით, პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლას არ ვაპირებ. ეს დონე მე არაფრად მჭირდება"*, - დაავირგვინა კრაუჩმა.

**ლუკა სიხარულიძე**

მოსაზრება



# რონალდოს ფასად...

## კარგი მწვრთნელი ერთ კარგ გუნდს გააკეთებდა!

**კრისტიანო რონალდო** „მანჩესტერ იუნაიტედიდან" მადრიდის „რეალში" 96 მილიონ ევროდ გაიყიდა, რითაც პორტუგალიელი მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე ძვირფასი ფეხბურთელი გახდა.

96 მილიონი არნახულად დიდი თანხაა ერთი, თუნდაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელისთვის. თავად განსაჯეთ, ამ ფულით ერთი კარგი გუნდის გაკეთება შეიძლება. მაგალითად...

### 1. რობერტ ენკე

გერმანიის ნაკრების მეკარე რობერტ ენკე 9 მილიონი ევრო ღირს და გრანდიოზული თუ არა, დაბალი დონის გოლკიპერი ნამდვილად არ არის. ასე რომ, კარში ენკე ჩავაყენოთ.

### 2. ვეს ბრაუნი

10 წელიწადზე მეტია, რაც ვეს ბრაუნი „მანჩესტერ იუნაიტედის" ღირსებას იცავს და ფლანგის მცველის მოვალეობებს თავს იდეალურად ართმევს. ამავდროულად, ბრაუნი ინგლისის ნაკრების წევრიცაა. მისი ფასიც 9 მილიონი ევროა.

### 3. მარეკ იანკულოვსკი

დაცვის მარცხენა ფლანგი კი „მილანის" ჩეხ მცველ მარეკ იანკულოვსკის შეგვიძლია ჩავაბაროთ, რომელიც 8.5 მილიონ ევროდ ფასობს.

### 4. ფაბიო კანავარო

დაცვის ცენტრში ფაბიო კანავაროზე უკეთესი ვინ უნდა დავაყენოთ? მართალია, იტალიელი ახალგაზრდა აღარ არის, მაგრამ თავის საქმეს ყოველთვის ხუთიანზე აკეთებდა და ასე იქნება მომავალ სეზონშიც - კანავარო „იუვენტუსში" დაბრუნდა. ფაბიოს საბაზრო ფასი 8 მილიონი ევროა.

### 5. მარკ ვან ბომელი

ჰოლანდიელი საყრდენი ნახევარმცველი ციდან ვარსკვლავებს ვერ მოწყვეტს, მაგრამ შავ სამუშაოს შესანიშნავად შეასრულებს, მოწინააღმდეგე გუნდის იერიშებს ჩაშლის, გუნდს გაუძლვება და ა.შ. ვან ბომელი ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენია. მისი ფასი 8.5 მილიონი ევრო გახლავთ.

### 6. პოლ სქოულზი

34 წლის პოლ სქოულზიც აღარ არის ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშე, მაგრამ დღემდე ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი და „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაც სერ **ალექს ფერგიუსონის** იმედია. სქოულზი 9 მილიონ ევროდ ფასობს.

### 7. დევიდ ბექჰემი

ბექზის კარიერაში გაცილებით უკეთესი დროებაც გვახსოვს, მაგრამ ინგლისელი არც დღესაა ცუდ ფორმაში, რაც „მილანში" დაამტკიცა. ბექჰემის სავარაუდო ფასიც 9 მილიონი ევროა.

### 8. ჟუნინიო პერნამბუკანო

ჯარიმების ბრაზილიელი ოსტატიც 9 მილიონი ევრო ღირს. ჟუნინიო ველარ ითვლის იმ ტიტულებს, რაც „ლიონში" მოიპოვა. ის ნებისმიერ გუნდში შესანიშნავი ფეხბურთელი იქნებოდა.

### 9. ადრიანო

ადრიანო ჭირვეული ფეხბურთელია, მაგრამ საფეხბურთო მსოფლიოს ჯერ არ დავიწყებია მისი შესაძლებლობები. ახირებული და ჭირვეული ფეხბურთელის ჭკუაზე მოყვანა კი ყოველთვის შეიძლება. ადრიანოს ფასი 8 მილიონია.

### 10. მილან ბაროში

11-წლიან კარიერაში ამ თავდამსხმელმა 110 გოლი გაიტანა. მიუხედავად ამისა, „გალათასარაის" ფორვარდი არც ისე ძვირად ფასობს - ბაროშს 8 მილიონად იყიდით. არადა, შესანიშნავი, კარზე დაგეშილი გოლეადორია.

### 11. რაიან გიგზი

რაიან გიგზი „მანჩესტერ იუნაიტედის" და ზოგადად, ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდაა. უელსელს კარიერაში 600-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. მართალია, არ იყიდება და არც გაიყიდება, მაგრამ მისი ფასი სულ რაღაც 8.5 მილიონი ევროა.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი

ალექსანდრე ბითაძე:

# დროის დინებას ვერ დაველოდებით, ზოგი რამ ფორსირებულად უნდა გავაკეთოთ



მარცხნიდან: სერგო რატიანი, დიმიტრი ჯაფარიძე, მურთაზ გულედანი და ალექსანდრე ბითაძე

სანყლოსნო კომპლექს „ლაგუნა ვერეს" საცურაო აუზში დღეს დაიწყება და 19 ივნისს დამთავრდება ახალგაზრდა წყალბურთელთა საქართველოს პირველობა სამ ასაკობრივ ჯგუფში. საასპარეზოდ 1991-1996 წლებში დაბადებული სპორტსმენებით დაკომპლექტებული 15 გუნდი გამოვა. ამგვარი ტურნირი, ორგანიზატორთა თქმით, ჩვენთან 20 წელიწადია, არ გამართულა. პირველობის ინიციატორები და მხარდამჭერები არიან საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი **ალექსანდრე ბითაძე**), სეოკ-ი (პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი**), სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი (თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**) და წყალბურთის ეროვნული ასოციაცია.

წილისყრის შედეგად მედლებისთვის მებრძოლი გუნდები ქვეჯგუფში ასე განაწილდნენ:

**1991-1992 წლებში დაბადებულნი:** „ლიგამუსი", „ივერია-1, „ივერია-2", „დელფინი" და „ლაგუნა ვერე".

**1993-1994 წლებში დაბადებულნი:** „ლიგამუსი", „ივერია-1", „ივერია-2", ლაგუნა ვერე" და ასკ.

**1995-1996 წლებში დაბადებულნი:** „ლიგამუსი-1", „ლიგამუსი-2", „ლიგამუსი-3", „ივერია", ასკ.

**ალექსანდრე ბითაძე:** — ნამდვილად არ ველოდი, შეჯიბრებაში ამდენი გუნდი თუ ჩაებმებოდა. 5 დღის განმავლობაში გულშემატკივრები 225-ზე მეტ ახალგაზრდა წყალბურთელს იხილავენ „ლაგუნა ვერეზე". მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გვერდით დაგვიდგა.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ჩვენთან ასე თუ ისე წყალბურთი შეინარჩუნეს, თუმცა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა მიზეზებით შიდა პირველობების გამართვა ვერ ხერხდებოდა. არადა, როგორც ნებისმიერი სახეობის, წყალბურთის განვითარებისთვის ბავშვთა სპორტს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ეს შეჯიბრება დაგვეხმარება განვსაზღვროთ, რომელ ასაკში გვაქვს მეტი პერსპექტივა, რა უნდა გავაკეთოთ ეროვნული ნაკრებისთვის ღირსეული ცვლის მოსამზადებლად. ერთი რამ ამთავითვე ცხადია, რომ პირველობის დამთავრების შემდეგ ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ჩამოვაყალიბებთ ნაკრებ გუნდებს, რომლებიც მომავალი წლიდან საერთაშორისო ტურნირებში ჩაებმებიან.

ევროპისკენ ფანჯრის გაჭრა იოლი არ იქნება, რადგან დასავლეთში წყალბურთი სწრაფი ტემპით წავიდა წინ, ჩვენ კი ძალიან ჩამოვრჩით. ამას წინათ მალტაში ევროპის B ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის წინ ეროვნული ნაკრები საწვრთნელ შეკრებაზე სერბეთში, კერძოდ, ნოვი სადში ჩავიყვანეთ. აქაური გუნდი „ვოევოდინა" თავისი ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია. კლუბში სხვადასხვა ასაკის ბავშვებიც ვარჯიშობენ, შინაურ შეჯიბრებებსაც ატარებენ. 1997-1998 წლებში დაბადებულთა ფინალურ შეხვედრას დავესწარი და გაოცებული დავრჩი. უბრალოდ, სიტყვები არ მყოფნის მოზარდების მომზადების დონის გადმოსაცემად.

ამგვარი ქვეყნების დასაწევად მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერაფერს გავხდებით, ამიტომ გადავწყვიტეთ, ბავშვთა წყალბურთის უცხოელი სპეციალისტი მოვიწვიოთ, რომელიც ჩვენს მწვრთნელებსა და სპორტსმენებს კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმარება. დროის დინებას ვერ დაველოდებით. ზოგი რამის ფორსირებულად გაკეთება მოგვიწევს, თუ გვინდა, რომ საერთაშორისო სარბიელზე წარმატებას მივაღწიოთ და, რაც მთავარია, 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზური დავიმსახუროთ. ამ ეტაპზე ჩვენი უმთავრესი მიზანიც ხომ ეს არის.

ერთი საინტერესო იდეაც გვაქვს: ქართულ კლუბებს დავეხმარებით სერბეთის, ჩერნოგორიის, ხორვატეთისა და უნგრეთის წყალბურთელებთან მეგობრული კონტაქტების დასამყარებლად. მოგეხსენებათ, ამ ქვეყნებში წყალბურთის დონე ძალიან მაღალია. ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე გასამგზავრებლად საკმარისია, ჩვენმა გუნდებმა გზის ხარჯები დაფარონ, კვების, სასტუმროსა და აუზის თანხებს მასპინძლები გაიღებენ. სამაგიეროდ, საპასუხო ვიზიტით მათაც მოვიწვევთ მსგავსი პირობებით. დამერწმუნეთ, ამგვარი კონტაქტები სპორტსმენთა დასაოსტატებლად გაცილებით მეტ ეფექტსა და შედეგს მოგვცემს, ვიდრე წყალბურთელთა ნატურალიზება. საწყლოსნო სახეობათა ეროვნულ ფედერაციას სათანადო სახსრები თუ ექნა, შესაძლოა, კლუბებს უცხოეთში გასამგზავრებლად მატერიალურადაც შევეხიდოთ.

**დავით ნამგალაური:** — ახალ ოთხწლიან ოლიმპიურ ციკლში სათამაშო სახეობებიდან პრიორიტეტად წყალბურთი მივიჩნიეთ და არც შევმცდარვართ. უწინდელი ტრადიციების აღორძინება მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება. უპირველესად, ცხადია, ეროვნული პირველობები და ჩემპიონატები უნდა აღვადგინოთ. სწორედ აქ უნდა დაოსტატდნენ ჩვენი ათლეტები. ნამდვილად მიხარია, რომ წლევანდელ შეჯიბრებაში 15 გუნდი მონაწილეობს. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი წყალბურთის ფედერაციას ყოველთვის დაუდგება გვერდით ძველი დიდების დასაბრუნებლად.

**რამაზ გოგლიძე,** სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი: — შარშან ახალარჩეულმა ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თავიდანვე დაისახა მიზნად საქართველოში წყალბურთის განვითარება და პირობის შესასრულებლად ძალ-ღონეს არ იშურებს. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან და საწყლოსნო სახეობების საერთაშორისო ფედერაციასთან მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ ლონდონის ოლიმპიადამდე საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების შეკრებებსა და მნიშვნელოვან ტურნირებში მონაწილეობას სწორედ ისინი დააფინანსებენ, რაც ჩვენთვის უდიდესი მატერიალური და მორალური დახმარება იქნება. ასევე, გადაწყვეტილი გვაქვს, ნაკრები გუნდებისთვის უცხოელი კონსულტანტი ჩამოვიყვანოთ.

**მურთაზ გულედანი,** საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: - ჩვენმა ენთუზიასტმა მწვრთნელებმა საქართველოში ძნელბედობის ჟამს წყალბურთი შეინარჩუნეს. სწორედ ამის შედეგია, რომ დღევანდელ პირველობაში მოზარდთა 15 გუნდი ჩაება. მას შემდეგ, რაც ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, ასევე, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და სხვა ქალაქებში საცურაო აუზები ჩადგება მწყობრში, მერწმუნეთ, რომ ამგვარ შეჯიბრებებში მონაწილეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის დეპარტამენტისა და ჩვენი ფედერაციის ეგიდით ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში საწყლოსნო სახეობათა განვითარების ცენტრი შეიქმნა, რომელსაც მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სერტიფიცირების განყოფილებაც აქვს. ქართველი სპეციალისტების ცოდნის გაღრმავებაში უცხოელი პროფესიონალიც თუ დაგვეხმარება, უკეთესს ვერც ვინატრებთ.

**სერგო რატიანი,** ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: — ერთი წლის წინათ „ქარიშხალას" ბაზაზე შევქმენით წყალბურთელთა კლუბი „ლიგამუსი". ამჟამად აქ ასზე მეტი მოზარდი ვარჯიშობს, რაც მთავარია, გვყავს დიდების გუნდი, რომლის ბაზაზეც ეროვნული ნაკრები ჩამოყალიბდა. სექტემბერში ჩვენი ბიჭები ევროპის B ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ. უნივერსიტეტი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ საქართველოში წყალბურთის აღორძინებას შეუწყოს ხელი.

სხვადასხვა ასაკის სპორტსმენებთან ნაყოფიერად მუშაობენ ცნობილი მწვრთნელები — ეროვნული გუნდის თავკაცი **ვლადიმერ ისელიძე,** „ლიგამუსის" დირექტორი **ნოდარ ჩხარტიშვილი, სოსო მაისურაძე, თენგიზ ივანიშვილი.** ბატონი ნოდარი „ქარიშხალაში" წლების განმავლობაში მოღვაწეობდა. ფაქტობრივად, კლუბის შესაქმნელად სათანადო საფუძველიც ჰქონდა ჩაყრილი. ამიტომაც არ გაგვჭირვებია ამ შეჯიბრებაზე ერთბაშად ხუთი გუნდის გამოყვანა სამ ასაკში. ჩვენი მიზანი მარტო მონაწილეობა არ არის. ცხადია, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ...

მატჩები „ლაგუნა ვერეზე" დღეს 10 საათიდან დაიწყება.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ყინულის ჰოკეი

ინტერვიუ სანდრო ვაშაკიძესთან

# ოთხთა ტურნირიდან მსოფლიო ჩემპიონატამდე

ქართულ ჰოკეიში ზაფხულის სეზონი ნელ-ნელა ხურდება. მოვლენების ეპიცენტრი ბაკურიანიდან ბათუმში გადაინაცვლებს. აჭარაში ქართველი ჰოკეისტები შეკრებასაც გაივლიან და საერთაშორისო ტურნირშიც იასპარეზებენ. ჩვენი ჰოკეის დღევანდელ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმების შესახებ საქართველოს ნაკრების მენეჯერს, სანდრო ვაშაკიძეს ვესაუბრეთ.

**- ქართველებმა ჰოკეი ბოლოს წლეულს, თებერვალში, ბაკურიანის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ ითამაშეს. რა სიახლეებია მას შემდეგ?**

- უპირველესი და უმნიშვნელოვანესი სიახლე, რალა თქმა უნდა, ჩვენი საერთაშორისო ფედერაციაში მიღებაა. ეს თითოეული ჩვენგანის შრომის აღიარებაა. ქართულ ჰოკეის პერსპექტივა ნამდვილად გააჩნია და ამაში გულშემატკივარი მალე დარწმუნდება. IIHF-ში გაწევრება უდიდესი პერსპექტივების წინაშე გვაყენებს. გაისად მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მესამე ჯგუფს ერევანი უმასპინძლებს და იქ ასპარეზობის შესანიშნავი შანსი გვაქვს.

**- საზაფხულო გეგმები როგორია?**

- უკვე ბათუმში იმყოფება ბაკურიანის გუნდი, რომლის წევრებიც აქტიურად ვარჯიშობენ. მალე მათ თბილისელებიც შეუერთდებიან და ერთობლივი შეკრებაც დაიწყება. დედაქალაქში მოედანი სექტემბრამდე დაიხურა. მთელი გაზაფხული თბილისელები ინტენსიურად ვარჯიშობდნენ, ბაკურიანში კი ყინული თებერვალშივე გადნა და სამწუხაროდ, იქაურები უქმად იყვნენ. ისინი ბათუმში დედაქალაქელებზე ადრე იმიტომ ჩავიდნენ, რომ დაკარგული აინაზღაურონ.

**- ბათუმის მოედნის ზომები საერთაშორისო სტანდარტებს კვლავ არ აკმაყოფილებს?**

- იქ მოედანი გაადიდეს და მისი ზომები მსოფლიო სტანდარტებს საგრძნობლად მიუახლოვდა. ასე რომ, ოთხთა ტურნირის იქ გამართვას წინ აღარაფერი უდგას.

**- ტურნირზე რომელი გუნდები გამოვლენ?**

- ბათუმში ითამაშებს ბაკურიანული ტურნირის სამივე მონაწილე – თბილისისა და ბაკურიანის ნაკრებები, ასევე სომხეთის ახალგაზრდული ნაკრები. მეოთხე მონაწილე კი უკრაინიდან იქნება – დნეპროპეტროვსკის "დნეპროტეხსერვისი". აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და დიდ მადლობას გადავუხდი აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს, ასევე ტურიზმის დეპარტამენტს. მათ პირობა მოგვცეს, რომ სტუმარ გუნდებს სასტუმროში უფასო ცხოვრებით უზრუნველყოფენ. როცა ჩვენ ვიყავით უკრაინაში, დნეპროპეტროვსკელებმაც უფასოდ გვიმასპინძლეს.

**- სომხეთის ახალგაზრდულს ბაკურიანში ჩვენმა ორივე გუნდმა გვარიანად აჯობა. რატომ არ მოისურვეს ჩვენმა მეზობლებმა ეროვნული ნაკრების ჩამოყვანა?**



- მათი ეროვნული გუნდის თითქმის ყველა წევრი ბათუმში ჩამოვა. სომხებს რევანში განუზრახავთ და ამისთვის ლოს ანჯელესში მოასპარეზე ლეგიონერებს უხმეს.

**- რუსეთში მოასპარეზე გიორგი გელაშვილთან ხომ არ გქონიათ საუბარი?**

- როგორც ვიცი, მალე იგი საქართველოში ჩამოვა და პირადად გავესაუბრებით. აქამდე მას საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი არაერთხელ გამოუთქვამს და თუ დროულად დავდექით ფეხზე, გელაშვილი ჩვენს კარს ალბათ დაიცავს კიდეც.

**- მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში გაისად თამაში რამდენად რეალურია?**

- გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილებაა საჭირო, რასაც ალბათ შევძლებთ კიდეც. შესაძლოა, როგორც ახალი წევრისთვის, IIHF-მა ჩვენთვის გამონაკლისი დაუშვას. მოკლედ, ერევანში თამაშის შანსი საკმაოდ მაღალია. ამ საკითხზე უფრო კონკრეტულად საუბარი მას შემდეგ შემეძლება, როცა ჩვენი ფედერაციის გენერალური მდივანი ლაშა ცაგარეიშვილი მიუნხენიდან დაბრუნდება. იგი გერმანიაში 30 ივნისს გაემგზავრება, სადაც გენერალური მდივნების შეკრება გაიმართება. ეს იქნება პირველი ღონისძიება, სადაც საქართველო ჰოკეის ოფიციალურ ფორუმზე მიიღებს მონაწილეობას.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ავტორის ფოტო

ავტოსპორტი

# ბეჟაშვილი კვლავ ზემოდან იყურება



ავტოსპორტის მოყვარულები ჩვენშიც უკვე მოუთმენლად ელიან რბოლებს, რომლებიც ხანგამოშვებით, კალენდრის შესაბამისად ტარდება რუსთავის ეროვნულ ავტოდრომზე. როგორც ადრევე იყო აფიშირებული, გუშინ, 14 ივნისს აქ გაიმართა ROMPETROL Season 2009-ის წრიული რბოლის მესამე ეტაპი პროფესიონალთა შორის. აბსოლუტური ჩათვლის გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მონო კლასის მრბოლებიც.

გუშინ კვლავ ბრწყინავდა ქართული ავტოსპორტის ვეტერანი და საკმაოდ ტიტულოვანი მრბოლი **ზურაბ ბეჟაშვილი,** რომელსაც ბადალი არ ჰყავდა აბსოლუტურ ჩათვლაში. მონო კლასში კი ყველაზე მაღალი ოსტატობა **ირაკლი ვადაქარიამ** გამოავლინა.

**კვარცხლბეკი**

**აბსოლუტური ჩათვლა**

1. ზურაბ ბეჟაშვილი
2. არჩილ ბიძინაშვილი
3. მევლუდ მელაძე

**მონო კლასი**

1. ირაკლი ვადაქარია
2. დავით ჩხიკვიშვილი
3. გიგა ლორთქიფანიძე

"ლელოს" კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ზაზა ფაჩულიას სატრანსფერო საქმე




# ისევ კლივლენდი და... ბოსტონიც

განვლილ სეზონში პლეი ოფებში დამაჯერებლად თამაშის შემდეგ **ზაზა ფაჩულიამ** NBA-ს არაერთი კლუბი დააინტერესა. აქამდე უკვე გამცნეთ ატლანტური და კლივლენდური გაზეთების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმად თავისუფალი აგენტის გადაბირების სურვილი "კლივლენდ კავალიერსს" და "ატლანტა ჰოქსს" აქვთ.

ეს ინფორმაცია გუშინაც დაადასტურა კლივლენდურმა გაზეთმა "მორნინგ ჯორნალმა". მიმოხილვაში გარკვევით წერია, რომ "კავალიერსს" წინა ხაზში გაძლიერება ესაჭიროება. **ჟიდრუნას ილგაუსკასი** მართალია, კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დათანხმდა, მაგრამ იგი 33 წლისაა და სათანადო მეწყვილე სჭირდება. ამის შემდეგ ნათქვამია, რომ "კლივლენდის" სამიზნე შეიძლება ზაზა ფაჩულია გახდეს.

*"212 სმ. სიმაღლის ზაზა ფაჩულია 13 წლისა 205 სმ. იყო. იგი მას მერე სიმაღლეშიც გაიზარდა და პროფესიულადაც.*

*ფაჩულია ჩამოყალიბდა იმ ტიპის კალათბურთელად, რომლებიც ბრძოლის ხარჯზე მეტოქეს არაფერს უთმობენ. ეს საკუთარ თავზე "კლივლენდ კავალიერსმაც" გამოცადა, როცა ზაზას "ატლანტას" პლეი ოფის მეორე ეტაპზე გადაეყარა. ფაჩულიას მოქნეული იდაყვის "წყალობით" მოთამაშეები აქეთ-იქით ცვიოდნენ.*

*ვერ ვიტყვით, რომ იგი უზომოდ ნიჭიერია, მაგრამ ის კალათბურთელია, რომელსაც შეუძლია მოხსნა და დაცვაში დამაჯერებლად თამაში."*

"მორნინგ ჯორნალის" კორესპონდენტს გამორჩა ზაზას მთავარი პლუსი – ფაჩულია ხომ ცენტრთა იმ იშვიათ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებსაც სროლა კარგად შეუძლიათ. თუმცა, "ატლანტაში" საქმე ისე იყო დაყენებული, რომ ქართველს მხოლოდ შავი სამუშაოს შესრულება უწევდა. მასთან პასი იშვიათად მიდიოდა. გამოგიტყდებით, ამ სტატიის ავტორს ზაზას "ჰოქსში" დარჩენა ძალიანაც არ სურს. იმიტომ, რომ იგი ისეთი კლუბისთვის მემეტება, სადაც მისი შესაძლებლობები სრულად გამოვლინდება და შავთან ერთად თეთრ სამუშაოსაც შეასრულებს.

გუშინვე ბოსტონურმა გაზეთმა "ბოსტონ ჰერალდმა" გამოაქვეყნა პუბლიკაცია, რომელშიც ქართული გვარია ნახსენები. როგორც ირკვევა, **ედი ჰაუსი** გაისად "ბოსტონ სელტიქსში" აღარ ითამაშებს. მისი წასვლის შემდეგ გამოთავისუფლებული 5.7 მილიონი დოლარის გადახდას კი მეფარისთვის აპირებენ. სტატიიდან ასევე ირკვევა, რომ ბოსტონელები სათადარიგო ცენტრს ეძებენ და ერთ-ერთ კადიდატურად ზაზა ფაჩულიას განიხილავენ.

სხვათა შორის, ზაზას "სელტიქსთანაც" აქვს დამტკიცებული საკუთარი შესაძლებლობები – 2008 წლის პლეი ოფში **კევინ გარნეტთან** ჩხუბი დღესაც ბევრს აკერია პირზე.

ივლისამდე თავისუფალ აგენტთა ბაზარი დახურულია, ამიტომ ჯერ კონტრაქტზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმცა ერთს კი შევნიშნავთ: ზაზას თვალი ისეთმა გუნდებმა დაადგეს ("ბოსტონი", "კლივლენდი"), რომლებიც გაისად ჩემპიონობისთვის აპირებენ ბრძოლას.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართული ჭიდაობის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეს, სსრკ ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის ყოფილ წევრს, ვეტერან ფალავანს გურამ პეტრიაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

ჭადრაკი

# მაიას თასი ბელა ხოტენაშვილს

## საერთაშორისო ტურნირი ბრწყინვალედ ჩატარდა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის **მაია ჩიბურდანიძის** თასის გათამაშება (28 ათასი ლარის საპრიზო ფონდი). შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 53 მანდილოსანი მონაწილეობდა. ჩვენი დიდოსტატების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ჩინებულად გაართვეს თავი ტურნირის პერიპეტიებს და 15-დან 12 ფულადი საპრიზო ადგილი დაიკავეს. რაც მთავარია, მაია ჩიბურდანიძის თასი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტმა **ბელა ხოტენაშვილმა** დაისაკუთრა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლო ტურში იგი **მაკა ფურცელაძეს** დაუზავდა და 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მართალია, **ნანა ძაგნიძის** დამარცხების შემდეგ ამდენივე ქულა მოაგროვა საქართველოს ნაკრების წევრმა **ლელა ჯავახიშვილმა**, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მას მეორე ადგილი ხვდა, რაც ურიგო სულაც არ არის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ლელა დედა გახდა და ჭადრაკისთვის არ ეცალა.

6,5-6,5 ქულით, შესაბამისად, მესამე-მეხუთე ადგილებზე გავიდნენ უკრაინელი (ამჟამად სლოვენიის ღირსებას იცავს) **ანა მუზიჩუკი, მაკა ფურცელაძე** და **სალომე მელია**. 6-6 ქულით მომდევნო ადგილებზე მოდიან **ნანა ძაგნიძე, ლილიტ გალოიანი** (სომხეთი), **სოფიკო ხუხაშვილი** და **ნინო ხურციძე**.

სენიორებში ფულადი პრიზები ხვდათ **თამარ ხმიადაშვილსა** და **მარგარიტა თანდაშვილს**. ურეიტინგოებსა და დაბალრეიტინგიანებში ჯილდოები 10 მოჭადრაკეს ერგო.

— საინტერესო ტურნირი გამოვიდა, ანუ ისეთი, როგორიც მაია ჩიბურდანიძის სახელსა და მთელ ქართულ საჭადრაკო სამყაროს ეკადრება, — აღნიშნა შეჯიბრების საზეიმო დახურვისას ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ**. — თუნდაც ის რად ღირს, რომ თასის გათამაშებაში მსოფლიოს საუკეთესო დიდოსტატთა პირველი ათეულის ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ეს ჩვენი სპონსორების — „სოკარის," „ქართუ ჯგუფისა" და სასტუმრო „ვარაზის" დამსახურებაცაა. ყველაზე სასიამოვნო ის არის, რომ ტურნირმა ახალი სახეები წარმოაჩინა, რაც იმის იმედს გვაძლევს, რომ ეროვნულ ნაკრებს ღირსეული ცვლა ეზრდება. მთავარია, მათთან მიზანმიმართულად ვიმუშაოთ. განსაკუთრებით ქების ღირსია ბელა ხოტენაშვილი, რომელმაც პირველი ტურიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ფინიშიც ჩინებული გამოუვიდა. ის ღირსეული გამარჯვებულია.

**მაია ჩიბურდანიძე:** — ჩემთვის დიდი პატივია ამ თასის გათამაშება, რომლის იდეა ნინო გურიელს ეკუთვნის. მადლობა ორგანიზატორებსა და სპონსორებს ჩემი და ახალგაზრდა მოჭადრაკეების სახელითაც. გამოცდილების მისაღებად მოზარდებისთვის ეს ტურნირი, ვფიქრობ, დიდი სკოლა იყო და არასდროს დაავიწყდებათ.

ძალიან გაგვაკვირვა ბელა ხოტენაშვილმა, რომელმაც საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული საქართველოს ნაკრების ოთხი წევრი დაამარცხა. ღირსეულად მოიგო პირველი პრიზი. ვულოცავ.

— **თავად არ გქონიათ სურვილი, თასის გათამაშებაში გეასპარეზათ?**

— მართალი გითხრათ, დიდი ხანია, ჭადრაკისკენ მაინცდამაინც გული აღარ მიმიწევს, მაგრამ მნიშვნელოვან ტურნირებში ძალით მათამაშებენ (ეცინება).

— **გამარჯვებულის გარდა, სხვა დიდოსტატებზე რას იტყვით?**

— შესანიშნავად ითამაშა ლელა ჯავახიშვილმა. მას მცირეწლოვანმა შვილმაც კი ვერ შეუშალა ხელი. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მაკა ფურცელაძემ და სალომე მელიამ. უფრო მეტს მოველოდი ნანა ძაგნიძისგან, მაგრამ არ აუშავს. ხდება ხოლმე. იმედია, თბილისის მერიის თასზე უკეთ იასპარეზებს...

დედაქალაქის მერიის თასის გათამაშება ჭადრაკის სასახლეში დღეს დაიწყება.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო



მარცხნიდან: ანა მუზიჩუკი, მაია ჩიბურდანიძე, ბელა ხოტენაშვილი და ლელა ჯავახიშვილი

ძიუდო

# ბუნდესლიგის ქართველები ყოჩაღობენ




ძიუდოს ბუნდესლიგაში მე-4 ტურის მატჩები გაიმართა. სამხრეთის ზონაში **მინდია ხომიზურის** (66 კგ) „გროსჰადერნმა" „ვისბადენი" დაძაბულ შეხვედრაში 7:6 დაამარცხა. ეს მასპინძელთა პირველი გამარჯვება იყო სეზონში. ძალიან კარგად იჭიდავა მინდიამ, რომელმაც ჯერ **პატრიკ ბენერი** დააგდო იპონზე, შემდეგ - **სვენ ვოლშაიდი**. პირველის დასამარცხებლად ქართველ ძიუდოისტს 24 წამი (!) ეყო, მეორესთან შედარებით „გაუჭირდა" და წუთნახევარი მოანდომა ჭიდაობას. მინდიამ 7-დან 2 ქულა მოუტანა გუნდს (ხოლო ილეთისთვის - 20). „ესლონგენმა" კვლავ ლიდერის, **ვარლამ ლიპარტელიანის** გარეშე იასპარეზა, გუნდმა „რუსელჰაიმი" დაამარცხა - 7:6. **ლევან ნიკლაურის** „ტლინგენმა" სტუმრად 7:5 მოუგო როდევიხის „იპონს". **ჯარჯი ზვიადაურს** არ უასპარეზია ამჯერად, მისმა „აბენსბერგმა" „ლაიფციგს"9:4 მოუგო. „აბენსბერგი" 8 ქულით პირველია, „ესლინგენს" 7 ქულა აქვს და მეორეა, მესამეზეა „ეტლინგენი" 5 ქულით, „გროსჰადერნი" 2 ქულით ჯერჯერობით ბოლოა.

ჩრდილოეთის ზონაში „პოტსდამის" რიგებში გამოჩნდა **რევაზ ნოლაიდელი** (73 კგ). ახალგაზრდა ძიუდოისტმა „ჰამბურგთან" 5:7 წაგებულ მატჩში იასპარეზა. ნოლაიდელმა ერთხელ იჭიდავა, ის **მაქს მიუნსტერბერგთან** დამარცხდა ვაზარით. „პოტსდამი" 2 ქულით მე-5 ადგილზეა.

მეორე ბუნდესლიგაში **ავთანდილ შოშიაშვილის** (73 კგ) „რბს ლაიფციგი" „ბაკნანგს" ესტუმრა და 4:9 დამარცხდა. პირველ შეხვედრაში შოშიაშვილმა სუფთა გდებით (წუთ-ნახევარში) მოუგო **მათიას ჰედრიხს**, მეორეში კი მან ასევე იპონით დაამარცხა **მარკ კრამერი**. ანუ ქულათა ნახევარი (ორი ოთხიდან) გუნდს ქართველმა ძიუდოისტმა შემატა. „ლაიფციგი" 2 ქულით მე-7 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

*საქართველოს ჩემპიონატი*

# ორი მარცხი, ორი გამარჯვება



**აკადემია–აია 9:17**

აკადემია (15-9): სუთიძე, ი.დავითაშვილი, ნასიძე, მოლოდინაშვილი, ჭუაძე, ავლოხაშვილი, შ. დავითაშვილი (1-8) ლამბაშიძე, ნიბლაძე, დიაკონიძე, ლ.ობოლაძე (ჭანდელიძე 15), ნებულიშვილი, ჩაჩუა (დ.ობოლაძე 41), გაჩეჩილაძე, მურვანიძე (გელაძე 41).

*მწ: შ.დავითაშვილი*

აია (15-9): მშვენიერაძე, ვ.შალამბერიძე, ბალანჩივაძე, გოგლიჩიძე, გორგიძე (გოშაძე 68), სინაურიძე (შარვაშიძე 66), ხამაშურიძე. (1-8) ლომიძე, ნარიაშვილი, მოდებაძე (გურეშიძე 50), იობიძე, გ.შალამბერიძე, კიკვიძე (გუდავა 70), გოგისვანიძე, რევიშვილი.

*ლ: ლომიძე. 4ს: სინაურიძე (2), მშვენიერაძე (2).*

სინბინი: კიკვიძე.

მსაჯი: მ.ჩაჩუა

ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტურში თბილისის „აკადემიამ“, რომელიც დასაწყისში გათამაშებას ლიდერობდა კიდეც, ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. აკადემიელებმა ქუთაისის „აიას“ უმასპინძლეს და 9:17 დამარცხდნენ. ეს სტუმართა გუნდის მეორე გამარჯვება იყო მიმდინარე ჩემპიონატში.

„აკადემიას“ ქუთაისელებთან დაპირისპირებაში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა. **გიორგი ელიზბარაშვილი** და **გიორგი ლომსაძე** საქართველოს ნაკრებთან ერთად არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში. ტრავმის გამო დააკლდა გუნდს შერკინების კვაჭი და დამრტყმელი **ბექა მეკოკიშვილი** და ფულ ბეკი **დავით გურგენიძე**.

ორი მოთამაშე აკლდა „აიასაც“, **გიროგი როხვაძე** და **დავით ლოსაბერიძე** ბორჯღალოსანთა რიგებში არიან. როხვაძის არყოფნაში, ცხრა ნომრის პოზიცია „აკადემიის“ წინააღმდეგ, გუნდის მოთამაშე მწვრთნელმა **ბესიკ ხამაშურიძემ** დაიკავა. „ანტილოპამ“ ახალ ამპლუას მშვენივრად გაართვა თავი. შეტევას მიმართულებას სწორად აძლევდა და მდგომარეობასაც დროულად ამწვავებდა. მანვე რამდენიმეჯერ ინდივიდუალური გარღვევა განახორციელა, რომლებიც ლოგიკურად ლელოს გატანით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ თანაგუნდელებმა და იმავდროულად შეგირდებმაც გარჯა არ დაუფასეს.

სტუმართა გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ფლობდა. ამათი მორკინალები უფრო დინამიკურად, სწრაფად და მოხერხებულად ირჯებოდნენ. ანგარიში „აიამ“ დასაწყისშივე გახსნა. საჯარიმოდან ზუსტად **ზაზა სინაურიძემ** დაარტყა - 3:0.

ქუთაისელი მორაგბეები უფრო მონდომებულნი ჩანდენ. „აკადემიას“ ერთხელაც არ მისცემია პირველ ტაიმში სალელოვე შეტევის განხორციელების შანსი. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მათმა დამრტყმელმა **შალვა დავითაშვილმა** ოთხი საჯარიმოდან მხოლოდ ერთი გაიტანა ტაიმის 29-ე წუთზე, როცა ანგარიში უკვე - 8:0 იყო.

ლელოს გატანა „აიამ“ ცხრა წუთით ადრე მოახერხა. ქუთაისელმა მორაგბეებმა ორჯერ შეუტიეს მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში დანიშნული შერკინებიდან. რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ პირველხაზელმა **თორნიკე ლომიძემ** იგდო ბურთი ხელთ, ორ მოწინააღმდეგეს დაუსხლტა და ლელოში შეიჭრა. გარდასახვა სინაურიძემ ვერ გაიტანა. პირველი ნახევარი 8:3 დასრულდა.

მეორე ნახევარში „აკადემიის“ თამაშის ხარისხი ოდნავ გაუმჯობესდა, რაც ვეტერანი მორაგბის, ამ გუნდის მოთამაშე მწვრთნელის **დიმა ობოლაძის** მოედანზე გამოჩენით იყო გამოწვეული. თუმცა რაიმე რადიკალური ცვლილება ამას არ მოჰყოლია. აკადემიელებმა მატჩის მეორე ნახევარში ორი საჯარიმო გაიტანეს და მონაგარს მხოლოდ ექვსი ქულა შესძინეს. მაშინ, როცა „აიამ“ სამი საჯარიმო დარტყმა გამოიყენა და შეხვედრა 17:9 მოიგო.

**VII ტური**

| | |
|---|---|
| ბათუმი XV-ვისოლი ყოჩები | 3:12 |
| ხარები-უნივერსიტეტი | 13:18 |
| ლოკომოტივი-ლელო | (გადაიდო) |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 4 | 4 | 0 | 0 | +83 | 8 |
| 2. ბათუმი XV | 7 | 4 | 0 | 3 | +4 | 8 |
| 3.ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | +6 | 6 |
| 4.ვისოლი ყოჩები | 4 | 3 | 0 | 1 | +23 | 6 |
| 5.აკადემია | 7 | 3 | 0 | 4 | -11 | 6 |
| 6.აია | 6 | 2 | 0 | 4 | +10 | 4 |
| 7.ხარები | 7 | 2 | 0 | 5 | -52 | 4 |
| 8.უნივერსიტეტი | 5 | 1 | 0 | 4 | -43 | 2 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# ამერიკაში, საფრანგეთსა და თურქეთში




დღეიდან საფრანგეთის ქალაქი მონპელიე ქალთა საერთაშორისო ტურნირს (25 ათასი $) უმასპინძლებს, სადაც ორი ქართველი ჩოგბურთელი ითამაშებს. **მაკა ჩახნაშვილი** (253) ტურნირზე მე-5 ნომრად იქნება განთესილი, **სოფიო შაფათავა** (270) კი განუთესავთა შორისაა. წყვილთა ბადე უკვე გამოქვეყნდა, შაფათავა უკრაინელ **ლესია ცურენკოსთან** (289) დუეტში ფრანგულ წყვილს (**ფლორენს ჰარინგი** (293), **კონსტანს სიბელი** (762)) ხვდება.

სტამბოლში (თურქეთი) 10-ათასიანი ტურნირი იწყება, რომლის ძირითად ბადეშიც ორი ქართველია - 20 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (564) მე-4 ნომრადაა განთესილი და ის პირველ წრეში ავსტრალიელ **ჯეიდ ჰოპერს** ეთამაშება პირველ წრეში. **მანანა შაფაქიძის** (779) მეტოქე „უაილდ ქარდით“ მიწვეული 14 წლის თურქი **სედა არანთექინია**. ქვაცაბაიასა და რუსი **ავგუსტა ციბიშევას** (617) დუეტი მე-2 ნომრადაა განთესილი წყვილთა ბადეში. მათი მეტოქეები რუსი ჩოგბურთელები, **გალინა ფოკინა** (652) და **ანა მორგინა** იქნებიან. მანანა შაფაქიძე უკრაინელ **კრისტინა კაზიმოვასთან** (906) ერთად ითამაშებს. მათი მეტოქეები მე-4 ნომრად განთესილები პორტუგალიელი **მაგალი დე ლატრე** (464) და რუსი **ელინა ჰასანოვა** (776) არიან.

აშშ-ში, ქალაქ საკრამენტოში ვაჟ ჩოგბურთელთა ტურნირის (10 ათასი $) ძირითად ბადეში მოხვედრას 17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (843) ლამობს. ნიკა საკვალიფიკაციო ბატალიებში ჩაება, სადაც იგი მე-11 ნომრადაა განთესილი. პირველ წრეში ჩვენმა თანამემამულემ ამერიკელი **ჯონ ლამბლე** დაამარცხა - 6:2, 6:0. მისი შემდეგი მეტოქეც ამერიკელია - **დანიელ კოზაკოვსკი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მაკა ჩახნაშვილი

სპორტი და მედიცინა



მარცხნიდან: ზურაბ კახაბრიშვილი, მეჰმედ ბინეტი და ვალერი ახალკაცი.

# 100 წლამდე სიცოცხლის გახანგრძლივების საიდუმლო თბილისში გამჟღავნდა

გუშინ დამთავრდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის ინიციატივით მოწყობილი სპორტული მედიცინის 2009 წლის რეგიონული კონფერენცია, რომელშიც 8 ქვეყნის 120 წარმომადგენელი მონაწილეობდა. თითოეულ მათგანს სოკ-ის პრეზიდენტის **ჟაკ როგისა** და კურსის დირექტორ-ექსპერტის **ალბერტ გიუზბახერის** ხელმოწერით სათანადო სერთიფიკატები გადაეცა.

— კონფერენცია ნაყოფიერი და სასარგებლო გამოდგა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, — გვითხრა საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტმა **ზურაბ კახაბრიშვილმა.** — ბატონმა გიუზბახერმა სამი დღის განმავლობაში 12 პაციენტს (მათ შორის — 3 აზერბაიჯანელს) გაუკეთა ოპერაცია, რომლებსაც ქართველი სპეციალისტებიც ესწრებოდნენ.

თეორიულ მეცადინეობებზე განსაკუთრებით საინტერესო იყო თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის მთავარი ექიმის **მეჰმედ ბინეტისა** („სპორტული ტრავმატიზმისა და ორთოპედიის აქტუალური საკითხები“; „მუხლის სახსრის ტრანსპლანტაციისა და შემდგომი რეაბილიტაციის მეთოდიკა“) და ალბერტ გიუზბახერის („მხრის სახსრის პათოლოგიების ოპერაციული მკურნალობა და შემდგომი რეაბილიტაცია“) მოხსენებები. ორივე ექსპერტმა დამსწრეთა შეკითხვებს ამომწურავად უპასუხა.

ვფიქრობ, რომ ოთხი დღის განმავლობაში „ავერსი კლინიკაში“ ნანახი და გაგონილი ხელს შეუწყობს ჩვენი ახალგაზრდა სპორტული ექიმების ცოდნის დონის ამაღლებას.

**რამაზ გოგლიძე,** სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი: - „ავერსის“ კლინიკაში ქართველ სპეციალისტებს საშუალება ჰქონდათ, მოესმინათ, რა ხდება თანამედროვე მსოფლიო სპორტულ მედიცინაში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ათლეტების მომზადებასა და საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით ასპარეზობისთვის.

სასიამოვნო იყო ის ფაქტიც, რომ კონფერენციას ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი ესწრებოდა, რაც იმის დასტურია, რომ ჩვენი სპორტული მედიცინა 2-3 ადამიანის მხრებზე აღარ გადაივლის. ბატონი ზურაბ კახაბრიშვილი დიდი სპეციალისტია, ამოუწურავი ენერგიითა და ენთუზიაზმით, მაგრამ ხომ არ შეიძლება, ამხელა საქმეს ერთი კაცი გაწვდეს. ჩვენი სურვილია, სპორტის ყველა სახეობას ექიმთა თავისი ჯგუფი ჰყავდეს, რათა უკეთ გაითავისონ სახეობის სპეციფიკა, ესა თუ ის ნიუანსი.

ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და მისმა პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა არჩევის პირველი დღიდანვე მიზნად დაისახეს ყველა ასაკის სპორტსმენთა სერიოზული სამედიცინო შემოწმება, რადგან ტრავმირებული და ავადმყოფი ათლეტი არ გვჭირდება, არც ის გვინდა, ვინმეს ჯანმრთელობის გაუარესების ფასად მივაღწიოთ წარმატებას. სპორტსმენთა სრული სამედიცინო მომსახურება და მეტი მედიკამენტური უზრუნველყოფა — აი, რისკენაც ვისწრაფით. არც ვეტერანებს დავივიწყებთ. გვინდა, რომ ისინი ჯანსაღად იყვნენ და ჩვენ გვერდით დიდხანს იცოცხლონ.

„ავერსი ფარმას“ და „ავერსი კლინიკის“ ხელშეწყობით დიდი საქმე გაკეთდა. სასურველია, რომ რეგიონული კონფერენციები ტრადიციული გახდეს და სამომავლოდ მეტი ქვეყნის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები თუ ექსპერტები მოვიწვიოთ. მათი თეორიული მეცადინეობები და პრაქტიკული ოპერაციები როგორც სპორტსმენებს, ისე ქვეყანას გამოადგება.

**დიმიტრი ჯორბენაძე,** „ავერსის“ კლინიკის გენერალური დირექტორი: — ჩვენთვის დიდი პატივი იყო, ასეთი მაღალი დონის სპეციალისტებისთვის გვემასპინძლა. ვფიქრობ, რომ შეძლებისდაგვარად თავი გავართვით. ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ვივალდებულეთ მოქმედ სპორტსმენთა და ვეტერანთა სრული სამედიცინო შემოწმება და რეაბილიტაცია, რასაც პირნათლად ვასრულებთ. ასე იქნება მომავალშიც. მჯერა, რომ ამ კონფერენციის შემდეგ ჩვენთან მომსახურების დონე კიდევ უფრო ამაღლდება. რეგიონული კურსი ხელს შეუწყობს სპორტის ექიმთა პროფესიულ ზრდას და ბიზნესმენებსაც დაარწმუნებს, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად მათი თანადგომაც გვჭირდება.

**მეჰმედ ბინეტი:** — საქართველოში ბევრი მეგობარი მყავს. სიამოვნებით ჩამოვდივარ თბილისში, რომ კოლეგებს საკუთარი მოსაზრებები გავუზიარო, მათგანაც მოვისმინო საქმიანი რჩევა-დარიგებები.

დღევანდელ მედიცინაში მწვავედ დგას ხრტილის დაზიანებასთან დაკავშირებული პრობლემები. თუ ისინი დადებითად გადაწყდება, დარწმუნებული ვარ, ადამიანები ას წელზე მეტ ხანს იცოცხლებენ. ჩემს მოხსენებაში განსაკუთრებით გავუსვი ხაზი მუხლის სახსრის პრობლემებს, ვისაუბრე უჯრედოვან თერაპიასა და ხრტილის ტრანსპლანტაციის თემაზე. საინტერესო შენიშვნები და მოსაზრებები მოვისმინე კოლეგებისგან. თუნდაც ამიტომ ღირდა ამ კურსებზე ჩამოსვლა. დიდი მადლობა მის ორგანიზატორებს. სხვა დროსაც სიამოვნებით გეწვევით...

გუშინ კონფერენციის მონაწილე უცხოელი სტუმრებისთვის ექსკურსია მოეწყო, ცნობილმა დასტაქრებმა თბილისის და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, ასევე, შიომღვიმე და ანანური დაათვალიერეს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ივნისის ტესტები



ბურთით მაქსიმ მედარი

# ოლ ბლექსი ისევ დაძლეულია, პუმებიც

ივნისის ტესტების მეორე კვირა პირველზე ბევრად საინტერესო გამოდგა. საფრანგეთის ახალი ფორმაციის ნაკრებმა სტუმრად დაამარცხა დანიდინში ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდი - 27:22. ფრანგებმა ამ გამარჯვებით დაანახეს მსოფლიო რაგბის სამყაროს, რომ მათი ჩამოწერა ნაადრევია და მომავალ მსოფლიო თასზე, რომელიც 2011 წელს ზელანდიაშივე გაიმართება, უმთავრესი პრეტენდენტები იქნებიან.

ფრანგებმა თამაში თავიდანვე აქტიურად დაიწყეს და ანგარიში საჯარიმოდან მე-3 წუთზე გახსნეს. სამი ქულა „ლე ბლოს" ცხრა ნომერმა **ჟულიენ დიუპიუმ** მოუტანა. ზელანდიელებმა ცხრა წუთში **სტეფან დონალდის** საჯარიმოთი გაათანაბრეს - 3:3.

მომდევნო თხუთმეტი წუთი მთლიანად სტუმართა უპირატესობით წარიმართა. როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, დროის ამ მონაკვეთში დაგროვებულმა ქულებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფრანგებისთვის საბოლოოდ გამარჯვების მოპოვებაში.

მე-18 წუთზე „ოლ ბლექსს" ლელო **მამუკა გორგოძის** თანაგუნდელმა, ათმა ნომერმა **ფრანსუა ტრინ-დუკმა** გაუტანა. დიუპიუმ გარდასხვა ზუსტად დაარტყა - 10:3.

კიდევ ათ წუთში ფრანგების უპირატესობა ანგარიშში 14 ქულამდე გაიზარდა. ამჯერად თანაგუნდელების გარჯა ლელოთი შერკინების კვაჭმა **ვილიამ სერვამ** დაასრულა. დიუპიუმ ისევ ზუსტად გარდასახა - 17:3.

ზელანდიელებმა წაგების რეალური საფრთხე იგრძნეს. მთელი სიმძლავრით ამოქმედდნენ და ტაიმის დასრულებამდე ბოლო ორ წუთში საკუთარ მონაგარს რვა ქულა შესძინეს. ჯერ დონალდმა გაიტანა საჯარიმოდან. მერე ბოლო წამებზე მესამეხაზელმა **ლიამ მესამმა** ლელო გაიტანა, რომელიც დონალდმა ველარ გარდასახა - 11:17. ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმში უკვე უპირატესობა ზელანდიელებმა იგდეს ხელთ და 57-ე წუთისთვის დონალდმა ორი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა - 17:17.

66-ე წუთზე კი დიუპიუმ ისევ წინ გაიყვანა ფრანგები - 20:17. გადამწყვეტი, გამარჯვების მომტანი ლელო 71-ე წუთზე საფრანგეთის ნაკრების ფულ ბეკმა **მაქსიმ მედარმა** გაიტანა. მან მოედნის ცენტრში **ლუკ მაკალისთერის** გადაცემა ჩაჭრა და ლელომდე 50 მეტრი ირბინა. დიუპიუს გარდასახვა არ გასჭირვებია - 27:17.

ზელანდიელებმა კიდევ ერთხელ სცადეს მატჩის გადარჩენა. 75-ე წუთზე მასპინძელთა შერკინებამ მარცხენა ფრთიდან შეუტია. მერე სწრაფად გრძელ ფრთაზე უკანახაზელებს გაუტანეს ბურთი. როგორც სჩვევიათ, ბოლომდე ჩაათამაშეს და შუამარბ **მაა ნონუს** შეჩერება ფრანგებმა ველარ მოახერხეს. დონალდმა ვერ გარდასახა - 22:27.

დარჩენილ დროში „ლე ბლომ" მეტის გაკეთების საშუალება აღარ მისცა მასპინძლებს და დამსახურებულად გაიმარჯვა. მატჩის საუკეთესო მორაგბედ ფრანგთა ათი ნომერი **ფრანსუა ტრინ-დუკი** დაასახელეს.

საკმაოდ საინტერესო გამოდგა არგენტინის ნაკრების დაპირისპირება შინ ინგლისელთა გუნდთან. „პუმებმა" მატჩში ბევრად უკეთესად იასპარეზეს, თუმცა შეხვედრა ორი ქულის სხვაობით მოიგეს - 24:22.

როგორც ყოველთვის ამჯერადაც შეუდარებელი იყო მასპინძელთა ათი ნომერი **ხუან მარტინ ერნანდესი.** სწორედ მისი ბრწყინვალე თამაშის წყალობა იყო, არგენტინელები 43-ე წუთისთვის ანგარიშში თვრამეტი ქულით რომ დაწინაურდნენ - 21:3.

„პუმებმა" ანგარიში შეხვედრის დაწყებისთანავე მე-2 წუთზე გახსნეს. თავი მესამეხაზელმა **ხუან მანუელ ლეგუზამონმა** გამოიჩინა. ერნანდესს გარდასახვა გაუცუდდა. ინგლისელთა დამრტყმელმა **ენდი გუდმა** შანსი ხელიდან არ გაუშვა და საჯარიმოდან სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა.

ამას ერნანდესმა ზედიზედ სამი საჯარიმო მიაყოლა - 14:3. პირველი ტაიმი ასე დასრულდა. მეორეს დასაწყისი პირველის ანალოგიური გამოდგა. ორ წუთში არგენტინელებმა ისევ ლელო გაიტანეს. ამჯერად გარემარბმა **გონსალო კამაჩომ** იყოჩაღა, ერნანდესმა გარდასახვაც ზუსტად დაარტყა - 21:3.

ახლა უკვე ინგლისელთა დამრტყმელის ენდი გუდის ჯერი დადგა. ამან ზედიზედ ოთხი საჯარიმო გაუტანა მასპინძლებს და ანგარიშში წამოეწივნენ - 15:21.

ყოველგვარი იმედი სტუმრებს ისევ ერნანდესმა გადაუწურა. 70-ე წუთზე მან დიდოსტატური არეკნით ანგარიში მიუწვდომელი გახადა თავისი გუნდი - 24:15. თუმცა ინგლისელებმა, როგორც სჩვევიათ, ბოლომდე იბრძოლეს და 77-ე წუთზე გარემარბმა **მეტ ბანაჰანმა** ლელო მიითვალა. გუნდმა გარდასახა - 22:24.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**ივნისის ტესტები**

**ზელანდია-საფრანგეთი 22:27**

**ზელანდია:** 2ლ - მესამი, მაა ნონუ. 4ს - დონალდი

**საფრანგეთი:** 3ლ: სერვა, მედარი, ტრინ-დუკი. 3გ,2ს: დიუპიუი.

**არგენტინა-ინგლისი 24:22**

**არგენტინა:** 2ლ - ლეგუზამონი, კამაჩო. 3ს,გ,ა - ერნანდესი.

**ინგლისი:** ლ - ბანაჰანი. 5ს,გ - გუდი.

**ავსტრალია-იტალია 31:8**

**ავსტრალია:** 5ლ - ოკონორი (3), გიტო, მორთლოქი. 3გ: გიტო.

**ტონგა-ფიჯი 22:36**

**ნატალ შარქსი-ბრიტ. ლომები 3:39**

ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. VII მატჩი

# ახალი დინასტია

"პიტსბურგ პინგვინზმა" დეტროიტში მოიგო ფინალური სერიის მეშვიდე მატჩი და არსებობის ისტორიაში მესამედ დაეუფლა სტენლის თასს.

აბსოლუტურად ყველა წინასამატჩო პროგნოზი "პიტსბურგის" წინააღმდეგ იყო. ჩრდილოამერიკელი სპეციალისტები და ბუკმეიკერები უპირატესობას "რედ უინგზს" ანიჭებდნენ. "პინგვინზის" მეკარე **მარკ-ანდრე ფლერი** და სტუმართა მთელი გუნდი "დეტროიტთან" გასვლით შეხვედრებში ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. **სიკორამ** ტრავმა მიიღო და პარტნიორებს ვერ დაეხმარებოდა, **კროსბი** და **მალკინი** კი ამ სერიაში თითქმის ვერ აგროვებდნენ ქულებს. სტატისტიკაც "პინგვინების" საწინააღმდეგოდ იყო: გუნდს, რომელიც ფინალურ სერიას 0:2-ს აგებდა, აქამდე მხოლოდ ორჯერ მოეგო სტენლის თასი, თანაც, უკანასკნელად ასეთი რამ 30 წლის წინ მოხდა... მაგრამ "პიტსბურგმა" ყველანაირი პროგნოზი თავდაყირა დააყენა.

გუნდებმა სწრაფ ტემპში დაიწყეს თამაში. როგორც მატჩის მასპინძელი, "დეტროიტი" თავიდანვე წინ წავიდა, "პიტსბურგი" თავს იცავდა და დროდადრო სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდა. ამ მომენტებში ბრწყინვალედ წარმოაჩინა თავი "რედ უინგზის" მეკარე **კრის ოსგუდმა.** სწორედ მისი წყალობით შენარჩუნდა უგოლო თანაფარდობა პირველ პერიოდში.

მეორე პერიოდი "დეტროიტისთვის" კატასტროფით დაიწყო. მასპინძელთა მცველმა **სტიუარტმა** საკუთარ ზონაში სრულიად უწყინარ სიტუაციაში შაიბა დაკარგა, რომელიც მალკინის გავლით **მაქს ტელბოტს** მიუვიდა და მას არ გასჭირვებია კარის აღება.

ამის შემდეგ უკვე "პიტსბურგი" აღმოჩნდა ურთულეს სიტუაციაში. **ფრანცენმა** "პინგვინების" ლიდერის, კროსბის წინააღმდეგ ძალისმიერი ილეთი გამოიყენა და სტუმართა კაპიტანმა კოჭლობით დატოვა მოედანი. დარჩენილი დრო კროსბიმ სათადარიგოთა სკამზე გაატარა. მართალია, ამ ფორვარდს ზედიზედ სამი მატჩია ქულა არ მოუტანია გუნდისთვის, მაგრამ ძალიან ბევრ ენერგიას აცლიდა დეტროიტელ მცველებს.

კროსბის დაკარგვის შემდეგ "პიტსბურგს" ორი წუთით გაუგდეს **გილი**, მაგრამ "დეტროიტმა" წინა მატჩის მსგავსად, ვერც ამჯერად გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა და დაისაჯა კიდეც. ამჯერად "რედ უინგზის" მცველები მეტოქის ზონაში შეცდნენ, შაიბა ცისფერ ხაზთან ტელბოტმა იგდო ხელთ, გარშემო არც პარტნიორთა და არც მეტოქე ჰოკეისტების ყოფნა შეიმჩნია, ბოლომდე იარა და ოსგუდის კარის ცხრიანში გაისროლა შაიბა - 2:0. ვინ იფიქრებდა, რომ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩის გმირი არა კროსბი ან მალკინი, არამედ ერთი რიგითი "პინგვინი" გახდებოდა?!

მთელი მესამე პერიოდი "პიტსბურგის" ზონაში მიდიოდა თამაში. "დეტროიტს" კარგი კომბინაციები გამოსდიოდა, მაგრამ სტუმართა მცველებმა იყოჩაღეს, რადგან მთელი 20 წუთის განმავლობაში "რედ უინგზმა" მხოლოდ შვიდი ზუსტი დარტყმის შესრულება მოახერხა. მასპინძლებმა მხოლოდ მაშინ გაქვითეს ერთი შაიბა, როცა თავიანთ საყვარელ იარაღს - შორეულ დარტყმებს მიმართეს. საფინალო სირენამდე შვიდი წუთით ადრე, ცისფერი ხაზიდან **ერიქსონმა** გაისროლა - 1:2.

დასასრული ფანტასტიკური გამოვიდა. "დეტროიტი" საბოლოოდ დასახლდა "პიტსბურგის" ზონაში. ერთ-ერთი კომბინაციის შემდეგ შაიბა ფლერის კარის ზედა ძელმა აისხლიტა - არ გაუმართლა **კრონვალს.** ბოლოს "რედ უინგზმა" მეკარე მოხსნა და საბოლოო შტურმზე გადავიდა. და აი, ექვსი წამით ადრე **ზეტერბერგმა** მეტოქის ზონაში ჩაგდება მოიგო, შაიბა **ლიდსტრიომს** მიუგორდა, რომელმაც პრაქტიკულად ცარიელ კუთხეში დაარტყა, მაგრამ იქვე ფლერი გაჩნდა, რომელიც ზემოდან დაახტა შაიბას... სირენა. "პიტსბურგმა" სტენლის თასი ჩამოართვა "დეტროიტს".

ისტორია განმეორდა. 1984 წელს "ედმონტონმა" ახალგაზრდა **გრეტცკისა** და **მესიეს** მეთაურობით დაბერებული "აილენდერსი" დაამარცხა და ახალი დინასტიის დაარსებას დაუდო სათავე. ამჯერად, ისე ჩანს, რომ ლიგაში "პიტსბურგის" ბატონობის დრო დგება.

*"როცა გუნდს ჰყავს სიდნი კროსბი, აგრეთვე მალკინი, ფლერი, სტაალი, მას ნებისმიერი სირთულის დაძლევა შეუძლია"*, - განაცხადა ლეგენდარულმა "პინგვინმა" **მარიო ლემიემ**, რომელმაც 90-იან წლებში ორჯერ მოაპოვებინა "პიტსბურგს" სტენლის თასი.

"პიტსბურგი" გახდა მესამე გუნდი ლიგის ისტორიაში, რომელმაც სტუმრად მოიგო ფინალის მეშვიდე მატჩი. ამიერიდან, სიდნი კროსბი სტენლის თასის მფლობელი ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანია, ხოლო მალკინი პლეიოფის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, რაც ასევე პირველი შემთხვევაა რუსული ჰოკეის ისტორიაში.

**დეტროიტი-პიტსბურგი 1:2**

**0:0, 0:2, 1:0**

**გოლები:** 0:1 ტელბოტი-7 (მალკინი-22), 0:2 ტელბოტი-8 (კუნიტცი-13, სკუდერი-4), 1:2 ჯ. ერიქსონი-4 (ლიდსტრიომი-12, ჰუდლერი-8).

**სერია: 3:4**

**გია თვალაბეიშვილი**




კალათბურთი

# მიკაელ პიეტრუსი დისკვალიფიკაციას გადაურჩა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა დისკვალიფიკაციით არ დასაჯა "ორლანდო მეჯიქის" ფორვარდი **მიკაელ პიეტრუსი**, რომელმაც "ლეიკერსთან" ფინალური სერიის მეოთხე მატჩში უხეში ილეთი გამოიყენა ესპანელი **პაუ გასოლის** წინააღმდეგ. ის შეხვედრა კალიფორნიულმა კლუბმა სტუმრად 99:91 მოიგო. ინციდენტი ბოლო წამებზე მოხდა, როცა ესპანელი კალათბურთელი ბურთს კალათში ტენიდა და ამ დროს, პიეტრუსმა მას ზურგში ჩასცხო ორივე იდაყვი. ფრანგი ფორვარდი არასპორტული ფოლით დასაჯეს. ამ ეპიზოდის შემდეგ მოედანზე მცირე შეხლა-შემოხლა მოხდა, რის გამოც ორივე კალათბურთელმა ტექნიკური ჯარიმა მიიღო.

ამ ინციდენტის განხილვის შემდეგ NBA-ში გადაწყვიტეს, არ გამოიყენონ პიეტრუსის მიმართ დამატებითი სანქციები. ასე რომ, მიკაელი მონაწილეობას მიიღებს მეხუთე მატჩში, რომელიც კვლავ ორლანდოში გაიმართება. გამარჯვების შემთხვევაში "ლეიკერსი" მორიგ საჩემპიონო ტიტულს გაინაღდებს.

■ ■ ■

ამასობაში, "ორლანდო მეჯიქის" ხელმძღვანელობა საგაისოდ შემადგენლობის შენარჩუნებაზე ფიქრობს. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, გუნდის თურქმა ფორვარდმა **ჰედო თურქოგლუმ** გამოიყენა მიმდინარე კონტრაქტში არსებული პუნქტი - არ მოისურვა 2009-10 წლების სეზონში "ორლანდოში" თამაში და თავისუფალი აგენტის სტატუსის მიღება გადაწყვიტა. ევროპელ ლეგიონერს მომავალ წელს 7.1 მილიონი დოლარი უნდა მიეღო, მას კი უფრო სარფიანი კონტრაქტის გაფორმება სურს.

როგორც "ორლანდოს" პრეზიდენტი **ბობ ვანდერ ვეიდე** ამბობს, კლუბის შეფები იმ აზრისკენ იხრებიან, რომ გუნდმა ყველა ლიდერი უნდა შეინარჩუნოს, თუნდაც ამისთვის სახელფასო ბიუჯეტის მაქსიმალური ზღვარის დარღვევამ მოუწიოთ. ასე რომ, "მეჯიქი" ახალ კონტრაქტს გაუფორმებს თურქ კალათბურთელს, რომლის მიხედვითაც ჰედოს ხელფასი 10-12 მილიონი იქნება.

**გია თვალაბეიშვილი**

უცხოური სპორტი

კრივი

# კოტომ და კალდერონმა ტიტულები შეინარჩუნეს


სისხლიანი კოტო

გასულ უქმეებზე პროფესიულ რინგზე რამდენიმე საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა. მათ შორის ორი სატიტულო შეხვედრა და ორივეს ნიუ იორკის ლეგენდარულმა არენამ - "მედისონ სკვერ გარდენმა" უმასპინძლა.

დღის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის მსოფლიოს ჩემპიონი, პუერტორიკოელი **მიგელ კოტო** (33-1-0, 27 KO) და განელი **ჯოშუა კლოტი** (35-2-0, 20 KO).

გამარჯვებულის გამოვლენას 12 რაუნდის ჩატარება დასჭირდა. რინგზე დაუნდობელი ბრძოლა გაიმართა: პირველ რაუნდში კლოტი ნოკდაუნში აღმოჩნდა, მეოთხეში კი კოტოს წარბი გაუსკდა. საბოლოოდ, მსაჯების გადაწყვეტილებით კოტომ ტიტული შეინარჩუნა. ორმა არბიტრმა პუერტორიკოელს მიანიჭა გამარჯვება - 116:111, 115:112, მესამე მსაჯმა - განელს მოაგებინა - 114:113.

აფრიკელი მოკრივე მსაჯების ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და ბრძოლის დასრულებისთანავე განაცხადა, რომ ასრულებს პროფესიულ კარიერას.

*"მე მოვიგე ეს ბრძოლა, მსაჯებმა კი გამარჯვება მომპარეს. არ შემიძლია ამის დაჯერება. რინგზე აღარასოდეს გავალ. კრივიდან მივდივარ"*, - განაცხადა კლოტიმ.

■ ■ ■

მანამდე "მედისონ სკვერ გარდენის" რინგზე კიდევ ერთი საჩემპიონო ბრძოლა გაიმართა და ისიც პუერტორიკოელი მოკრივის ტრიუმფით დასრულდა. **ივან კალდერონმა** (32-0-0, 6 KO) ასევე WBO-ის ვერსიით შეინარჩუნა უმჩატეს წონაში საჩემპიონო ქამარი. მისი ბრძოლა ფილიპინელ **როდელემ მაიოლთან** (25-3-0, 19 KO) მეექვსე რაუნდში ტექნიკური ფრით დასრულდა.

მეოთხე რაუნდში მოკრივეები თავებით შეასკდნენ ერთმანეთს და კალდერონმა თავი გაიტეხა. მეექვსე რაუნდის შუაში, რეფერი იძულებული გახდა ბრძოლა შეეწყვიტა. ამ მომენტში არბიტრებს საყაიმო ანგარიში ჰქონდათ დაფიქსირებული, რისი წყალობითაც კალდერონმა ტიტული შეინარჩუნა.

■ ■ ■

შაბათს სუპერმძიმეწონოსნებს მაიამი მასპინძლობდა. პროფესიულ რინგზე დაუმარცხებლად გამოსვლას აგრძელებს პერსპექტიული კუბელი **ოდლანიერ სოლისი** (14-0-0, 10 KO). კუნძულელი რვარაუნდიან ბრძოლაში ხვდებოდა ამერიკელ **დომენიკ ალექსანდერს** (18-7-1, 9 KO).

მას შემდეგ, რაც ალექსანდერი პირველივე რაუნდში ორჯერ დაეცა რინგზე, რეფერიმ სოლისის ნოკაუტით გამარჯვება დააფიქსირა.

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| საბერძნეთი-ჩეხეთი | 62:45 |
| ესპანეთი-პოლონეთი | 67:55 |
| ლატვია-სლოვაკეთი | 69:78 |
| ბელარუსი-ლიტვა | 61:55 |
| რუსეთი-იტალია | 67:59 |
| თურქეთი-საფრანგეთი | 43:55 |
| **გერმანია** | |
| **პლეი ოფი** | |
| ოლდენბურგი-ტელეკომი | 72:74 |
| **ესპანეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| ტაუგრესი-ბარსელონა | 75:67 |
| **იტალია** | |
| **პლეი ოფი** | |
| მილანი-სიენა | 72:73 |
| **საფრანგეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| ვილერბანი-ნანსი | 62:56 |
| ორლეანი-ლე მანი | 66:60 |

| ფრენბურთი | |
|---|---|
| **მსოფლიო ლიგა** | |
| რუსეთი-იაპონია | 3:0 |
| ს. კორეა-არგენტინა | 3:2 |
| ბრაზილია-პოლონეთი | 3:1 |
| ჰოლანდია-აშშ | 3:0 |
| იტალია-ჩინეთი | 0:3 |
| კუბა-ბულგარეთი | 3:1 |
| იაპონია-რუსეთი | 1:3 |
| ს. კორეა-არგენტინა | 2:3 |
| ჰოლანდია-აშშ | 2:3 |
| ბრაზილია-პოლონეთი | 3:0 |
| სერბეთი-საფრანგეთი | 3:1 |
| ვენესუელა-ფინეთი | [illegible] |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰალე** | |
| ჰაასი-კოლშრაიბერი | 2:6, 7:6, 7:6 |
| ჯოკოვიჩი-ო. როხუსი | 7:6, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-ჰაასი | 3:6, 7:6, 1:6 |
| **ATP. ლონდონი** | |
| მიურეი-ფერერო | 6:2, 6:4 |
| როდიკი-ბლეიკი | 4:6, 0:6 |
| მიურეი-ბლეიკი | 7:5, 6:4 |
| **ATP. ისტბურნი** | |
| ჯინეპრი-გოლუბევი | 6:3, 6:4 |
| ლუბიჩიჩი-სეპი | 7:6, 7:5 |
| ისტომინი-კიმი | 7:6, 7:5 |
| მატიო-ტიპსარევიჩი | 4:6, 2:6 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| კლემანი-კუნიცინი | 2:6, 3:6 |
| კ. როხუსი-სელა | 2:6, 4:6 |
| ვერდასკო-ანდუხარი | 6:3, 7:5 |
| მიულერი-ნავარო | 5:7, 5:7 |
| **WTA. ბირმინგემი** | |
| შარაპოვა-ნა ლი | 4:6, 4:6 |
| მირზა-რიბარიკოვა | 6:3, 0:6, 3:6 |
| ნა ლი-რიბარიკოვა | 0:6, 6:7 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| ბენეშოვა-სანტანჯელო | 6:2, 6:3 |
| ვესნინა-ბაროისი | 4:6, 3:6 |
| კირსტეა-ნიკულესკუ | 5:7, 6:3, 6:3 |

TV პროგრამა

**15 ივნისი. ორშაბათი**

**I არხი**

17:50 ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ეგვიპტე. სამხრეთ აფრიკა (LIVE).
22:20 ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი. ჯგუფური ეტაპი. იტალია-აშშ. სამხრეთ აფრიკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:05 ლუიშ ფიგუს საუკეთესო მეგობრების მატჩი.
07:55 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-ურაკანი.
09:45 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
11:20 მინი-ფეხბურთი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ბორდო.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლიონი-ფიორენტინა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-ურაკანი.
18:20 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-რეალი.
20:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:40 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ზენიტი-რეალი.
23:40 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე.
01:30 საფეხბურთო ღამე.
02:00 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
03:45 ლუიშ ფიგუს საუკეთესო მეგობრების მატჩი.
05:35 მინი-ფეხბურთი.

**EUROSPORT**

10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საბერძნეთი.
11:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი.
11:45 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
12:00 ველოსპორტი. Criterium du Dauphine Libere. VIII ეტაპი.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ლონდონი. ინგლისი.
15:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
16:45 ველოსპორტი. Criterium du Dauphine Libere. VIII ეტაპი.
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ლონდონი. ინგლისი.
20:00 სნუკერი. დიდების დარბაზი.
21:15 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. უკრაინა.
22:20 მულტისპორტი.
22:30 პრო-რესტლინგი.
00:30 ბრძოლა წესების გარეშე.
01:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
03:00 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
03:15 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 მაუნტინბაიკი. ევროპის ჩემპიონატი. სლოვენია.
13:00 ახალი ამბები.
13:30 კრიკეტი. World Twenty 20. სუპერ 8. ბრიტანეთი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
15:15 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
17:00 მაუნტინბაიკი. ევროპის ჩემპიონატი. სლოვენია.
18:45 ახალი ამბები.
19:00 კრიკეტი. World Twenty 20. სუპერ 8. ბრიტანეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:15 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
20:30 კრიკეტი. World Twenty 20. სუპერ 8. ბრიტანეთი (LIVE).
23:30 ახალი ამბები.
00:00 მაუნტინბაიკი. ევროპის ჩემპიონატი. სლოვენია.
01:00 საჰაერო რბოლები. მსოფლიოს სერია. სან დიეგო. აშშ.
02:00 ახალი ამბები.

ჩოგბურთი

# ენდი უიმბლდონის მიღმა?

ზუსტად ერთ კვირაში მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ტურნირი - უიმბლდონი იწყება და ჩოგბურთელები ბოლო რეპეტიციას გადიან სეზონის მთავარი სტარტის წინ. გასულ კვირას ბალახის კორტებზე ATP-ისა და WTA-ის სამი ტურნირი მიმდინარეობდა. გუშინ ფინალური მატჩები გაიმართა, მანამდე კი რამდენიმე საინტერესო მოვლენა მოხდა.

პირველი ამბავი ამერიკელ **ენდი როდიკს** უკავშირდება. მსოფლიოს მეექვსე ჩოგანი ლონდონში "ქუინზ ქლაბის" ტურნირზე თამაშობდა და იქ ნახევარფინალში გააღწია, სადაც ვერ შეძლო თანამემამულე **ჯეიმს ბლეიკთან** მატჩის დასრულება. როდიკმა ფეხის ტრავმა მიიღო და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მისი უიმბლდონზე თამაში.

*"შევეცდები ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ უიმბლდონზე გამოსვლა შევძლო. უკვე მქონდა კონსულტაციები ჩემს მწვრთნელთან და ექიმებთან, რომლებსაც ჩემი სიტუაცია უიმედოდ არ ეჩვენებათ. პირველადმა სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ მდგომარეობა არც ისე საგანგაშოა. მყესები გაწყვეტილი არ არის და ეს ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს"*, - განაცხადა სააგენტო "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში ამერიკელმა ჩოგბურთელმა.

■ ■ ■

ამ კვირას კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა რუსი **მარია შარაპოვა**. 10-თვიანი პაუზის შემდეგ დიდ სპორტში დაბრუნებული 22 წლის ჩოგბურთელი ყოველ კვირას თამაშობს ტურნირებზე და ჩვეული სპორტული ფორმის აღდგენას ცდილობს. მაგრამ ჯერჯერობით მარია ვერ ახერხებს ფინალამდე მიღწევას.

ამჯერად შარაპოვა ბირმინგემში თავის ერთ-ერთ საყვარელ ტურნირზე თამაშობდა, სადაც წინა წლებში ორჯერ მოიპოვა მთავარი პრიზი. რუსმა ინგლისის ამ ქალაქში ჰეთ-თრიკის შესრულება ვერ შეძლო. მას ნახევარფინალში გზა გადაუღობა ჩინელმა **ნა ლიმ**, რომელმაც კარიერაში პირველად შეძლო შარაპოვას დამარცხება - 6:4, 6:4.

მარიას ყველაზე მეტად საკუთარი მოწოდებისას უჭირს. ათი თვის განმავლობაში ის მარჯვენა მხარის ტრავმას მკურნალობდა და ჯერაც ვერ ახერხებს მთელი ძალით მოწოდების შესრულებას. შედეგად, მეორე სეტში ნა ლიმ ოთხჯერ (!) მოახერხა ბრეიკის გაკეთება და ძირითადად, მეტოქის შეცდომების წყალობით გავიდა ფინალში, სადაც მისი მეტოქე სლოვაკი **მაგდალენა რიბარიკოვა** იყო.



# იოჰანსონი დაგვემშვიდობა



ცნობილმა შვედმა ჩოგბურთელმა **ტომას იოჰანსონმა** შაბათს კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. 34 წლის სპორტსმენის ყველაზე დიდ გამარჯვებად 2002 წელს ავსტრალიის ღია პირველობის მოგება (ფინალში რუს **მარატ საფინს** შეხვდა) ითვლება. გარდა ამისა, სკანდინაველის ანგარიშზეა ATP-ის რვა ტურნირში გამარჯვება და პეკინის ოლიმპიადის (2008) ვერცხლის მედალი წყვილთა თანრიგში (**სიმონ ასპელინთან** ერთად). იოჰანსონს 2005 წელს უიმბლდონის ნახევარფინალში (წააგო ამერიკელ **ენდი როდიკთან**) უთამაშია, აგრეთვე შვედეთის ნაკრებთან ერთად სამჯერ მიაღწია დევისის თასის ნახევარფინალს.

*"ბევრი ფიქრის შემდეგ, ჩოგბურთიდან წასვლა გადავწყვიტე, თანაც ეს დაუყოვნებლივ უნდა გავაკეთო*, - მოჰყავს იოჰანსონის სიტყვები ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდს. - *შარშან, შემოდგომაზე ფეხის მორიგი ოპერაცია გადავიტანე. ერთი თვის წინ კი მეორე შვილის მამა გავხდი. ბედნიერი ვარ იმით, რასაც ჩემი კარიერის განმავლობაში მივაღწიე. მთელს მსოფლიოში თამაშის შესაძლებლობა მქონდა. ბევრი ოცნება ავისრულე, მათ შორის მთავარი კი მელბურნში "დიდი სლემის" ტურნირის მოგება იყო"*.

ATP-ის რეიტინგში ტომას იოჰანსონის საუკეთესო შედეგი მეშვიდე ადგილი (2002 წლის 10 ივნისი) იყო.

# რაფამ ფავორიტობა დაკარგა

საბუკმეიკერო კანტორა Betfair-ის აზრით, დაიკლო ესპანელი ჩოგბურთელის **რაფაელ ნადალის** უიმბლდონზე გამარჯვების შანსებმა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ბოლო დროს მსოფლიოს პირველ ჩოგანს მუხლებთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და როლან გაროსის დასრულების შემდეგ, ეჭვქვეშ იდგა ესპანელის უიმბლდონზე გამოსვლა.

სანამ რაფას ტრავმა გაუმიზეზდებოდა, უიმბლდონზე მისი მოგების კოეფიციენტი 2,5-ს უდრიდა, შემდეგ ეს მაჩვენებელი 18-მდე (!) გაიზარდა, ახლა კი ნიშნული 5.3-ზე გაჩერდა.

ბუკმეიკერების აზრით, ტურნირის ფავორიტად როჯერ ფედერერი ითვლება, რომლის კოეფიციენტია - 2.3. სამეულში შედის ბრიტანეთის პირველი ნომერი, შოტლანდიელი ენდი მიურეი - 6.8.

ჰოკეი

# ვის დარჩება ჰიტლი?



ჰოკეის ეროვნული ლიგის ვარსკვლავმა **დენი ჰიტლიმ** თავის ამჟამინდელ კლუბს - "ოტავა სენატორზს" მისი სხვა გუნდში გაცვლა სთხოვა, რის შემდეგაც ამ ფორვარდით NHL-ის ოთხი კლუბი დაინტერესდა.

პირველია "ჩიკაგო ბლეკჰოქსი", რომელიც ჰიტლის სანაცვლოდ თავისი დაცვის ხაზის ლიდერს - **ბრაიან კემპბელს** შეელევა. "სან ხოსე შარქსი" "ოტავას" ლიდერში ცენტრალურ ფორვარდს **პატრიკ მარლოს** თმობს. ყველაზე საინტერესო, ალბათ, "ვანკუვერ კენაქსის" წინადადებაა, რომელიც ჰიტლის ნაცვლად თავის ლიდერს, ლიგის საუკეთესო მეკარე **პატრიკ ლუონგოს** იძლევა.

დაბოლოს, ყველაზე მასშტაბურ ტრეიდს ამზადებს "ედმონტონი". ის აპირებს გაცვლაში ჩართოს მცველები **ტომ გილბერტი, შელდონ სურეი, ლუბომირ ვიშნოვსკი** და ფორვარდი **პატრიკ ო'სალივანი**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა









ბორისის ვაჟი - ნოა ბეკერი

# ბეკერის ქორწილი

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, გერმანელმა **ბორის ბეკერმა** თავის ძველ მეგობარზე, ჰოლანდიელ მოდელ **შარლელი კერსენბერგზე** იქორწინა. საქორწინო ცერემონია შვეიცარიის სამთო კურორტ სანკტ-მორიტცში გაიმართა. უიმბლდონის სამგზის ჩემპიონმა და მისმა შეყვარებულმა ხელი ტბის პირას, ადგილობრივ მუზეუმში მოაწერეს.

პატარძალმა ტრადიციული საქორწინო კაბის ნაცვლად თეთრი პიჯაკი და შარვალი ჩაიცვა.

41 წლის ბორისმა და 32 წლის ლილიმ (ასე მიმართავენ პატარძალს მეგობრები) დაახლოებით 200 სტუმარი დაპატიჟეს. მათ შორის იყვნენ ბეკერის შვილები პირველი ქორწინებიდან. ჩოგბურთელი დააფასეს **ფრანც ბეკენბაუერმა**, უკრაინელმა მოკრივეებმა **ვიტალი** და **ვლადიმერ კლიჩკოებმა**... ბორისმა საქორწინო ცერემონიის სურათების გადაღების უფლება ტელეარხ RTL-ს, ტაბლოიდს Bild-სა და ჟურნალ Ok!-ის მისცა.

სტუმრების თქმით, როცა ახალდაქორწინებულებმა ერთგულების ფიცი დადეს, ბორისმა ცრემლების შეკავება ვერ შეძლო. როგორც სააგენტო dpa იუწყება, ბეკერმა მეუღლეს 131 ბრილიანტით მორთული პლატინის ბეჭედი აჩუქა. საქორწინო ვახშმისთვის ამ სამთო-სათხილამურო კურორტის ყველაზე მდიდრული რესტორანი - Badrutt's დაიქირავეს.

შეგახსენებთ, რომ 41 წლის ბეკერი ოფიციალურად ერთხელ იყო დაქორწინებული. მისი პირველი ცოლი გახლდათ დიზაინერი **ბარბარა ფელტუსი**, რომლისგანაც ბეკერს ორი ვაჟი ჰყავს. გარდა ამისა, ბორისი აფრიკული წარმოშობის რუსი მოდელის **ანჟელა ერმაკოვას** ქალიშვილ **ანას** მამაცაა.

ბორისი ლილის ფელტუსთან განქორწინების შემდეგ დაუახლოვდა. გასული წლის აგვისტოში გერმანელმა ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ თავისი ყოფილი მენეჯერის 25 წლის ქალიშვილზე **ალექსანდრა მაიერ-ფელდენზე** დაქორწინებას აპირებდა. მაგრამ ალექსანდრასთან დანიშვნიდან დაახლოებით სამ თვეში, სანდრა და ბორისი დასცილდნენ და ჩოგბურთელი კერსენბერგს დაუბრუნდა.

# ნასრი გოლოვინზე



რონალდოს მსგავსად, ამერიკას მიაშურეს დასასვენებლად ფრანგმა ფეხბურთელებმა - **ჟიბრილ სისემ** და **სამირ ნასრიმ**.

"მარსელის" ფორვარდ სისეს მაიამიში მეუღლე **ჟიუდე** ახლავს, "არსენალის" ნახევარმცველი ნასრი კი ოკეანის სანაპიროზე ფრანგ ჩოგბურთელ **ტატიანა გოლოვინთან** ერთად ნებივრობს.

შეყვარებულები წყალში ნებივრობდნენ. თავიდან ნასრიმ შეისვა კისერზე გოლოვინი, ბოლოს კი ფეხბურთელი აღმოჩნდა ჩოგბურთელის კისერზე (!).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა,
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge